ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 ივლისი პარასკევი 2012 №170 (13 776) ფასი 80 თეთრი

# უნადალოდ

## რაფა ოლიმპიადაზე ვერ ითამაშებს



ოლიმპიზმი. ლონდონი 2012 13

# ლხინი დილა იქა მარცხი დამე აქა



ორჰუსი-დილა 1:2



### მათე ვაწაძე: ჯერ არაფერი გადაწყვეტილა

დანიური წყაროები გორის "დილას" საგარეო გამარჯვებას ძალიან მოულოდნელს უწოდებენ. მატჩის შემდეგ დანიელებმა კომენტარი მათ კარში ერთ-ერთი გოლის ავტორ **მათე ვაწაძეს** ჩამოართვეს. "ძალიან გახარებული ვარ და გოლიც კარგი გამომივიდა, თუმცა ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. ბრძოლა კიდევ იქნება. რა თქმა უნდა, უკეთეს პოზიციაში ჩვენ ვართ, მაგრამ ძლიერი მეტოქე გვყავს, რომელსაც დღეს თამაში არ გამოუვიდა. მომავალ კვირაში იოლი საპასუხო შეხვედრა არ გველის. მოკლედ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა".

ნიკოლოზ ნეფარიძე

ევროპალიგა 2

# აი, გუნდი!

## გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა კადეტთა ნაკრებმა B დივიზიონი მოგებით გახსნა



გია კაზანჯიანი

კალათბურთი 16

# ფლაი ემირატს ბერნაბეუ?



ესპანური ABC-ის ინფორმაციით, მალე "რეალის" ხელმძღვანელობა უპრეცენდენტო გადაწყვეტილებას მიიღებს – "სანტიაგო ბერნაბეუს" სახელს გადაარქმევს. საქმის ვითარება, რა თქმა უნდა, ფულთან არის დაკავშირებული, ბევრ ფულთან. "ემირატსი" ახლახან 5 წლით გახდა "რეალის" სპონსორი. არაბები წელიწადში დამატებით 53 მილიონ ევროს გადაიხდიან, თუკი ლეგენდარულ სტადიონს "ფლაი ემირატს ბერნაბეუს" უწოდებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 7 დღე

● ევროპალიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები



დიმიტრი ტატანაშვილის გოლმა რუსთაველებს იმედი კი გაუჩინა, მაგრამ...

# განსაკუთრებული არაფერი, ძლიერმა სუსტს აჯობა

19.07. თბილისი. მ. მესხი.
3 000 მაყურებელი

მეტალურგი 1
პლზენი 3

0:1 ხორვატი (14), 1:1 ტატანაშვილი (29), 1:2 კოლარი (32), 1:3 ხორვატი (59)

| მეტალურგი 4-2-3-1 | პლზენი 4-2-3-1 |
|---|---|
| ბედიაშვილი | გოლეკი |
| ჯაფარიძე | დურიში |
| მახვილაძე | რაიტორალი |
| გავაშელიშვილი | პროჰაზკა |
| სუხიაშვილი | სევინსკი |
| რაზმაძე | ფილო |
| მაისურაძე | დარიდა |
| ქავთარაძე | ლიმბერსკი |
| მიქაბერიძე | კოლარი |
| გენაძე | ხორვატი |
| ტატანაშვილი | მალაქიანი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ჟორჟიკაშვილი | პ. ვრბა |

**მეტალურგი**

46. ქავთარაძე – **დობროვოლსკი**
67. მიქაბერიძე – **ჯანელიძე**
67. ტატანაშვილი – **სიხარულიძე**

*სათადარიგოები: თებიძე, კაკუშაძე, ლობჟანიძე, ინწკირველი*

**პლზენი**

65. მალაქიანი – **ზემანი**
85. ფილო – **სტიპეკი**
88. კოლარი – **ჰანუშეკი**

*სათადარიგოები: კოზაჩიკი, ჰეიდა, რეზნიკი, ჰორა*

გაფრთხილება: სუხიაშვილი (22), ფილო (52), დარიდა (62), რაზმაძე (90)

არბიტრი: ე. ალეკოვიჩი (ბოსნია)

ტრივიალურად რომ ვთქვათ, თავს ზემოთ ძალა არ იყო – რუსთავის "მეტალურგმა" მონდომებით ითამაშა, მაგრამ კლასით უფრო მაღლა მდგომ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო.

ჩეხები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და "მეტალურგს" აგრძნობინეს, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. "პლზენმა" რუსთაველებს ბურთი დაუმალა, განივად თუ გრძივად ისე აგორებდა ბურთს, რომ მასპინძლებს გვარიანი ჯაფა დაადგათ უბურთოდ სირბილში. აქტიურად ირჯებოდნენ ჩეხთა ფლანგელები – **ფრანჩიშეკ რაიტორალი** და **ედგარ მალაქიანი**. პლზენთაგან პირველი საგოლე შანსი კი **მიხალ დურისმა** გაანიავა.

"მეტალურგმა" თამაში ოდნავ გამოაკეთა და სტუმრებს აჩვენა, რომ რაღაც ქართულ გუნდსაც შეუძლია. **რევაზ გენაძემ** მარჯვენა ფლანგზე ჩიკორივით დააბზრიალა მეურვე, ჩააწოდა და კუთხური მოინაგრა. ამ ეპიზოდმა იმედი გააჩინა, იქნებ ჩვენებურებმა რამე გაახერხონო, მაგრამ...

"პლზენის" იერიშებმა ნაყოფი გამოიღო, რიკოშეტის შედეგად ბურთი "მეტალურგის" კარში აღმოჩნდა.

რუსთაველთა დაცვამ ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, შუა ხაზიც უსუსური ჩანდა ჩეხთა წინაშე.

"მეტალურგი" მაინც არ გატყდა, ისევ შლეგად ირჯებოდა, დასამახსოვრებელი იყო **გიორგი მიქაბერიძის** სოლო რეიდი და კარის გასწვრივ ჩაწოდება – **დიმიტრი ტატანაშვილმა** მცველს დასწრებაზე ვერ აჯობა.

გამოცდილება ფეხბურთშიც დიდი ხეირია. ტატანაშვილს არაერთი სეზონი უთამაშია ჩეხეთში და ყოფილ გუნდს სწორედ ამის ხარჯზე გაუტანა გოლი – ბურთი მცველს აართვა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და უნაკლოდაც დაარტყა.

"პლზენი" გაშვებულმა გოლმა გაახელა, ჩეხური მანქანაც უფრო მძლავრად ამოქმედდა. ერთი ერთზე ჩეხები ჯაბნიდნენ რუსთაველებს, სწორი თამაში, სისწრაფე, ორთაბრძოლა – "პლზენი" ყველა პარამეტრით აღემატებოდა "მეტალურგს" და შედეგიც – ჩეხთა გუნდი კვლავ დაწინაურდა.

თამაშის საკუთარ თავზე აღება **ირაკლი მაისურაძემაც** სცადა, ჯერ შორიდან დაარტყა არაზუსტად, მერე ჯარიმა მოიპოვა, გენაძემ საჯარიმო დარტყმა ოდნავ ააცილა კარს.

მეორე ტაიმი "მეტალურგმა" აქტიურად დაიწყო, თითქოს მუხტმა მოიმატაო, მაგრამ აქედან ვერაფერი გამოდნა. "პლზენმა" მალევე დაიბრუნა დომინანტის პოზიცია და რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნა. რუსთაველთა მუხტიც გაქრა.

დიდებულად ირჯებოდა "პლზენის" 37 წლის კაპიტანი **პაველ ხორვატი**, რომელმაც ოსტატური გოლი გაუტანა რუსთაველებს – მეტოქე "პოდ სებიათი" ჩამოიცილა და მეორე ფეხით საშუალო დისტანციიდან აუღებელი დაურტყა გრიგოლ ბედიაშვილს.

ამით ყველაფერს წერტილი დაესვა, "პლზენი" მოედანზე უკვე "კვადრატს" თამაშობდა, იყო სამწუთიანი მონაკვეთი, როცა "მეტალურგი" თითქოს აბობოქრდა, მაგრამ ანგარიშის შესაცვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**მატჩის შემდეგ**

**პაველ ვრბა**: "მეტოქე საკმაოდ ტექნიკური გამოდგა, ტაქტიკურადაც რიგიანად იყო მომზადებული, თუმცა საქმე იქითკენ წავიყვანეთ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი ჩვენ გვაქვს".

**კობა ჟორჟიკაშვილი:** "მეტოქის თამაში მოსკოვის "სპარტაკთან" საკონტროლო მატჩში ვნახე და აქაც ისე ითამაშა, როგორც მაშინ – ფლანგებიდან სწრაფად და აქტიურად მოქმედებდა და რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდა. ვცადეთ წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ჩვენი მომზადების დონე იმათსას ჩამოუვარდებოდა. ასეთ გუნდებთან თამაში ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დონეზე ვიმყოფებით. ჩამოვრჩებით ფიზიკურ მომზადებაშიც, ამ ყველაფერს შესაბამის ტესტებზე დაყრდნობით ვამბობ. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ სინამდვილეს ვერსად ვერ გავექცევით. კი ბატონო, საქმეს ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა მიხედვა, მაგრამ ამას ხშირად ვამბობთ, რეალურად კი ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად ვერ ვახერხებთ სიტუაციის გამოსწორებას. ბავშვთა ფეხბურთში კვლავ უფრო გუნდის შედეგზე მიდის მუშაობა, ვიდრე ინდივიდებზე".

**დავით თავართქილაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილი ფოტოები



პაველ ვრბა



კობა ჟორჟიკაშვილი

# დილამ ორჰუსს დაუჯობა

19.07. ორჰუსი. NRGI პარკი.
9030 მაყურებელი

ორჰუსი 1
დილა 2

1:0 კურე (3), 1:1 ვაწაძე (34), 1:2 ალადაშვილი (84)

| ორჰუსი 4-4-2 | დილა 4-4-2 |
|---|---|
| რასმუსენი | სკენდერი |
| სორინი | შაშიაშვილი |
| ჰალანდი | სალუქვაძე |
| კურე | თომაშვილი |
| ეკერსლი | კვირკველია |
| პეტერსენი | ალადაშვილი |
| იორგენსენი | ბექვაია |
| ჰიორეგაარდი | არზიანი |
| ახარაზი | გოგუა |
| იოჰანსონი | გურული |
| გრაულანდი | ვაწაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| პ. სორენსენი | თ. შალამბერიძე |

**ორჰუსი**

75. ახარაზი – **ბერგი**
75. იოჰანსონი – **სხირტლაძე**
67. გრაულანდი – **დევდარიანი**

*სათადარიგოები: ოუსაგერი, იონსონი, კირკესკოვი, სლოტი*

**დილა**

46. თომაშვილი – **ონიანი**
53. ბექვაია – **კაშია**
72. ვაწაძე – **მოდებაძე**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ახალკაცი, კაციტაძე, გვალია.*

გაფრთხილება: ალადაშვილი (5), კვირკველია (62), ვაწაძე (78)

არბიტრი: ბ. იოვანეტიჩი (სერბეთი)

გორის "დილამ", რომელიც ევროთასებზე გამარჯვებული არასოდეს ყოფილა, "ორჰუსი" მისსავე არენაზე დაამარცხა და წლევანდელი სეზონში დამწუხრებულ ქართველ გულშემატკივარს ხასიათი გამოუკეთა – გორელებმა წლეულს ევროთასებზე ჩვენი ყველაზე სოლიდური მეტოქე დაამარცხეს.

გადავხედოთ მათ შემადგენლობას: 36 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **მარტინ იორგენსენი** დანიის ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე იყო, უთამაშია იტალიურ "უდინეზესა" და "ფიორენტინაში" და ამ გუნდის ფანების ერთ-ერთი საყვარელი მოთამაშე და გუნდის ვიცე-კაპიტანი გახლდათ. დანიის ნაკრებში ჩატარებულ 102 შეხვედრაში 12 ბურთი გაიტანა. უთამაშია 1998 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე. საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრებთან წაგებულ მატჩში (2:3) გოლიც გაიტანა.

დანიის ნაკრების ფორმა მოურგია **სორენ ბერგს** (2 მატჩი), **ჰიალტე ნორეგაარდს** (4), დანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია ნახევარმცველი **კასპერ სლოტი**, "ბოხუმსა" და "ბრონდბიუში" უთამაშია 36 წლის გამოცდილ **პეტერ გრაულუნდს**, ისლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელია **არონ იოჰანსონი**.

"ენერჯი პარკზე" შეკრებილი მაყურებლის გასახარად, მასპინძლები მე-3 წუთზე დაწინაურდნენ: კუთხურის ნორეგაარდის ჩამოწოდებული ბურთი კარში **ანრდეს კურე-ვიდშერმა** გაგზავნა.

საქართველოს თასის მფლობელი არ გატყდა და მასპინძლებს შეუტია: მე-11 წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეეძლო **მათე ვაწაძეს**, რომელმაც 34-ე წუთზე საჯარიმოს გათამაშების შემდეგ მიზანს მაინც მიაღწია.

გატანა შეეძლო **კახა ალადაშვილსაც**, ტაიმის მიწურულს კი **სტეფან რასმუსენმა** "ორჰუსი" **სანდრო გურულის** დარტყმის შემდეგ გადაარჩინა.

მეორე ტაიმში "ორჰუსის" მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ სორენსენმა** შეტევის გასაძლიერებლად მოედანზე ქართველი ლეგიონერები, **დავით დევდარიანი** და **დავით სხირტლაძე** შეუშვა. მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს: 55-ე წუთზე კონტრშეტევის დაგვირგვინებას **ოსამა ახარაზი** ცდილობდა, 68-ე წუთზე კი სტეფან **პეტერსენი**, მაგრამ გორელთა მეკარე **მარინ სკენდერმა** ორივეჯერ იყოჩაღა.

**თემურ შალამბერიძის** გაწვრთნილები მაინც უკეთ გამოიყურებოდნენ: "ორჰუსის" მეკარემ მაღალი კლასი გამოავლინა 54-ე წუთზე **გოგიტა გოგუას**, 64-ე წუთზე კი ვაწაძის დარტყმების შემდეგ.

გორელთა შეტევებმა შედეგი საბოლოოდ მაინც გამოიღო: გამარჯვების გოლის გატანა **კახა ალადაშვილმა** 84-ე წუთზე **სანდრო გურულის** ჩაწოდების შემდეგ გაიტანა.



დანიელებმა ანგარიში ასე გახსნეს

წარმატებით ფრთაშესხმულმა გორელებმა მეტი თავდაჯერებით შეუტიეს და 88-ე წუთზე გატანა უკვე თავად გურულს შეეძლო, მაგრამ რასმუსენმა მასპინძლები კიდევ ერთხელ გადაარჩინა.

სერბი არბიტრის, **ბოშკო იოვანეტიჩის** საფინალო სასტვენმა "დილას" დამსახურებული და ჩვენთვის ძალიან სასიხარულო გამარჯვება დააფიქსირა – 2:1.

განმეორებითი მატჩი 26 ივლისს თბილისში, "მიხეილ მესხზე" გაიმართება. მაგრამ პირველი მატჩის მოგება ნუ მოგვატყუებს: დანიელებთან ხუმრობა და მოდუნება არ შეიძლება. ასე რომ, "დილასგან" მერე შეხვედრის მოგებასაც ველით.

**მერაბ მამულაშვილი**

ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. II საკვალიფიკაციო ეტაპი. მატჩის წინ

# მონდომება, ცოტა იღბალი და... შეუძლებელი არაფერია

## ზესტაფონის ფეხბურთელები გულშემატკივარს სტადიონზე მისვლას სთხოვენ



ზესტაფონს დიდი ბრძოლა ელის

**ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა ქვეყნის ჩემპიონმა "ზესტაფონმა" ბაქოში 0:3 დათმო. ამ მატჩის შემდეგ ძნელია იმის თქმა, რომ იმერლები მომდევნო ეტაპზე გავლენ, თუმცა ნიშანდობლივია, რომ კლუბის პრეზიდენტმა ილია კოკაიამ სიტყვა მისცა გულშემატკივრებს, რომ მომდევნო რაუნდში სწორედ "ზესტაფონი" გავა და არა - "ნეფთჩი".**

როგორც კლუბის ერთ-ერთი გამოცდილი ფეხბურთელი, **დავით მუჯირი** ამბობს, თავიანთი გაფუჭებული საქმე, ისევ მათ უნდა გამოასწორონ და ბოლომდე ბრძოლით სასწაული მოახდინონ: *"ჩვენი პროფესიული ვალია, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ, ფარ-ხმალი არ დავყაროთ. წინ 90 წუთია და მჯერა, სასწაულის მოხდენას მოვახერხებთ. აგრესიულები უნდა ვიყოთ და დაცვაში შეცდომები აღარ დავუშვათ".*

ბაქოში "ზესტაფონის" საგულშემატკივროდ ერთგული ქომაგები ავტობუსით ჩავიდნენ. იმერელთა 10 ნომერი "ლელოს" საშუალებით მათ მადლობას უხდის: *"მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ქომაგს, რომელიც ბაქოში ჩამოვიდა და მხარი დაგვიჭირა. სამწუხაროა ისაა, რომ "ნეფთჩიშიც" ვერ დავინახე გუნდი, რომელსაც ჩვენთვის 3:0 უნდა მოეგო. ეს იმიტომ მოხდა, რომ "ზესტაფონმა" უჩვეულო შეცდომები დაუშვა. მესმის, რომ გულშემატკივარს ოპტიმიზმის საფუძველი არ აქვს, მაგრამ თუკი სასწაულის მოხდენას ვაპირებთ, მოვუწოდებ, მოვიდნენ სტადიონზე და დაუდგნენ მხარში საქართველოს ჩემპიონს".*

მუჯირს ეთანხმებიან **ჯაბა დვალი** და **ზურაბ მენთეშაშვილიც**.

როგორც დვალი ამბობს, განმეორებითი შეხვედრა იქნება რთული, მაგრამ მიუღწეველი არაფერია: *"0:3 გვაქვს წაგებული პირველი მატჩი და ვიცით, იოლი არ იქნება თამაში. მონდომება და ცოტა იღბალი - შეუძლებელი არაფერია. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. მესმის, რომ შეიძლება ჩვენს თამაშზე მოსვლა არ უნდოდეს ხალხს, ძალით ვერავის მოვიყვანთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სტადიონი გაივსება და მხურვალე ქომაგობაც იქნება".*

მენთეშაშვილის აზრით, კლუბის პრეზიდენტის განცხადება, საფუძველს მოკლებული სულაც არაა და "ზესტაფონს" შემდეგ ეტაპზე გასვლა შეუძლია: *"ნეფთჩიმ" თუ სამი გოლი გაგვიტანა, ჩვენ არ შეგვიძლია ოთხი გოლის გატანა და შემდეგ ეტაპზე გასვლა? გულშემატკივარი მოვიდეს სტადიონზე - ეს თხოვნა მექნება".*

იმერლებს სატრანსფერო ბაზარზე არ უაქტიურიათ და გულშემატკივრის ნაწილი ფიქრობს, რომ წარუმატებლობა სწორედ ამის ბრალიცაა, ვინაიდან რეალურად გუნდის გაძლიერება არ მომხდარა. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი ის იყო, რომ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა ხელოვნურსაფრიან მოედანზე ითამაშა, რასაც შეჩვეულები არ არიან მარგველები, თუმცა "ზესტაფონის" გამოცდილი ნახევარმცველი ამბობს, რომ მის გუნდს ამ მიზეზების გამო ნამდვილად არ წაუგია: *"ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს ნამდვილად შეგვიძლია შემდეგ ეტაპზე გასვლა. წარუმატებლობას ამას ვერ დავაბრალებ. რაც შეეხება ხელოვნურ საფარს, ნამდვილად არსად მინახავს ასეთი კარგი ხელოვნურსაფრიანი მოედანი. არც მათ გულშემატკივარს შევუშინებივართ, შინ ვთამაშობთ, ოთხ გოლს გავიტანთ და შემდეგ ეტაპზე გავალთ".*

ბაქოში განცდილი მარცხის შემდეგ, ყველაზე მეტი კრიტიკა "ზესტაფონის" დაცვის ხაზს დაატყდა. **ზაალ ელიავა** ამბობს, რომ რომელიმე კონკრეტულ სათამაშო რგოლზე რამის დაბრალება არასწორია: *"ძალიან სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. ვინ რას ამბობს და ვის აბრალებს წაგებას, ვერ გეტყვით, ეს თამაში წააგო გუნდმა და არა რომელიმე ხაზმა. მოუთმენლად ველოდებით განმეორებით შეხვედრას, რათა ყველას დავუმტკიცოთ, რომ ეს იყო შემთხვევითობა".*

**მაგდა კლდიაშვილი**

ლეგიონერები

# სირბილაძის გმირობა და ვიტესის კარგი შანსი

ევროპის ლიგის გუშინდელ მატჩებში რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა უმრავლესობასაც განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

გამონაკლისია **ირაკლი სირბილაძე**, რომლის "ინტერ ტურკუმაც" უდიდესი სენსაცია მოახდინა და სტუმრად ჰოლანდიურ "ტვენტესთან" 1:1-ს მიაღწია. ფინელთა ქართველმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა.

"ვიტესი" ბულგარეთში პლოვდივის "ლოკომოტივთან" ოთხჯერ იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიში ოთხივეჯერ გაქვითეს. არნემელთა ქართველმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** მოედანზე 90 წუთი დაჰყო, **გიორგი ჭანტურია** თამაშში მე-80 წუთიდან ჩაერთო, **ვაკო ყაზაიშვილი** კი სათადარიგო იყო. ბუნებრივია, ეს შედეგი "ვიტესს" შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგ შანსს უტოვებს.

ბაქოს "ინტერი", სადაც ქართველები ყველაზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილი, შინ ბერძნულ "ასტერასთან" 1:1-ს დასჯერდა. "ინტერის" რიგებში **გიორგი ლომაიამ**, **ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** სრულად ითამაშეს, **გიორგი ადამია** 89-ე წუთზე შეცვალეს, **რევაზ თევდორაძე** და **ბაჩანა ცხადაძე** კი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

**ლევან კორღალიძის** "ზიმბრუ" შვეიცარიაში "იანგ ბოიზთან" 0:1 დამარცხდა. ქართველი ნახევარმცველი მოლდოველებს სათადარიგოთა შორის ჰყავდათ და მას თამაშის საშუალება არ მისცემია.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ტვენტეს ახალი მწვრთნელი ფრედ რუტენი (მარცხნივ) და კაპიტანი გურამ კაშია

სპეციალისტის აზრი



**საქართველოს ჩემპიონის, "ზესტაფონის" მარცხი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ბაქოს "ნეფთჩისგან" ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ყბად აიღო. მართლაც მარგველთა 0:3 ალბათ ყველასთვის მოულოდნელი შედეგი იყო.**

**ზაზა ზამთარაძეს გიორგი კიკნაძესთან ერთად უმაღლესი ლიგის არაერთი გუნდი გაუწვრთნია: "ოლიმპი", "ლოკომოტივი", "ტორპედო"... ზამთარაძე ამ დროისთვის მწვრთნელად არ მუშაობს, თუმცა ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებისგან განზე არ დგას და არსებული მოცემულობა კარგად იცის.**

**ზამთარაძეს "ნეფთჩი" – "ზესტაფონის" მატჩის გარდა, ზოგად საკითხებზეც ვესაუბრეთ.**

# ზაზა ზამთარაძე: უნდა შევეგუოთ იმას, რომ აზერბაიჯანმა გაგვისწრო

**. - კანონზომიერად მიგაჩნიათ "ზესტაფონის" წაგება "ნეფთჩისთან" ასეთი ანგარიშით?**

- ძალიან კი გვინდა, რომ საქართველოს ჩემპიონი აზერბაიჯანის ჩემპიონს ამარცხებდეს, მაგრამ ისიც ხომ უნდა ვიკითხოთ, რა საფუძველი აქვს ჩვენს სურვილს. რა კრიტერიუმით უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ საქართველოს ჩემპიონი "ნეფთჩის" მოუგებს?

**- ფეხბურთში გენეტიკაც რაღაცას ნიშნავს, ალბათ აზერბაიჯანელს ისე არ შეუძლია ფეხბურთის თამაში, როგორც ქართველს...**

- 20-30 წლის წინ კიდევ შეიძლებოდა ასე მსჯელობა, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა, მხოლოდ გენი არაფერს ნიშნავს, როცა საფეხბურთო გენეტიკაზე ვსაუბრობთ, ზედმეტობაში არ უნდა წავიდეთ. დღევანდელი მოცემულობით, აზერბაიჯანი ფეხბურთში ჩვენზე წინ დგას, შესაძლოა, იქ მთლად სწორად არ იხარჯება ფული ფეხბურთში, მაგრამ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ჩვენ გაგვისწრეს.

**- როგორ ფიქრობთ, ამ ეტაპზე რომელიმე ქართულ გუნდს აქვს იმის შანსი, რომ ევროპა ლიგის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვდეს?**

- თუ ვინმე ამბობს, რომ არის შანსი, მე მისი არ მჯერა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მიზანმიმართული, სწორი მუშაობა. ვნახეთ, რა გუნდიც არის ყაზახური "აქტობე", საკმაოდ ძლიერი, განსწავლული, ორგანიზებული, გამოცდილი, საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ყოველივე ეს კი უცბად არ მოდის. ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს ქართული კლუბები არ არიან მზად ევროსარბიელზე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის. არ გამოვრიცხავ, რომ ერთხელ, შემთხვევით, რომელიმე ჩვენი გუნდი მოხვდეს ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ ფეხბურთი შემთხვევითობა არ არის, შემთხვევითობის იმედზე არ უნდა ვიყოთ.

**- გიმუშავიათ რამდენიმე ქართულ კლუბში და კარგად უნდა იცნობდეთ ვითარებას – მაინც რაშია საქმე, რა არის მთავარი პრობლემა? ფაქტია, "ზესტაფონი" წლობით ნაშენები გუნდია და ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე გამართულ ფეხბურთსაც თამაშობდა, თუმცა ბაქოში სულ სხვა გუნდად წარმოაჩინა თავი...**

- გარედან უფრო ლამაზად ჩანს სიტუაცია, ვიდრე ეს სინამდვილეშია. "ზესტაფონი" ფაქტობრივად ოთხი წლის გუნდი კი არის, მაგრამ გუნდისთვის გადახალისებაც აუცილებელია. ზოგიერთმა ფეხბურთელმა საკუთარი თავი ამოწურა ამ გუნდში და ცვლილებები იყო საჭირო. არ მესმის, როგორ შეიძლებოდა ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის წინ გუნდიდან გიორგი ონიანის გაშვება, ეს მცველი სადაც უნდა მივიდეს, ყველგან საკვანძო ფეხბურთელი იქნება. გაუგებარია, როგორ შეელია "ზესტაფონი" შოთა გრიგალაშვილსაც. როცა ასეთი ფეხბურთელები მიდიან გუნდიდან და თან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში გინდა შესვლა, მაღალი კლასის ლეგიონერების მოწვევის აუცილებლობა იქმნება.

**- ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. დაახლოებით რა ბიუჯეტია საჭირო, ქართული გუნდი ევროპა ლიგის ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში რომ მოხვდეს?**

- ამისთვის კოლოსალური თანხები აუცილებელი არ არის. რუსები ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ ფეხბურთში, მაგრამ ფაქტია, რომ რუსულ კლუბებს უჭირთ ჩემპიონთა ლიგაში მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. ამას წინათ "სოვეტსკი სპორტში" დონეცკის "შახტარის" პრეზიდენტის, რინატ ახმეტოვის ინტერვიუ წავიკითხე. ისიც დიდ ფულს ხარჯავს ფეხბურთში და ამავე დროს რეალურად მსჯელობს, გაცნობიერებული აქვს, რომ მისი გუნდი, რაც უნდა დიდი ფული დაახარჯოს, "რეალის" და "ბარსელონას" დონემდე უცბად ვერ მივა. ანუ, ფულის გარდა სწორი მუშაობაცაა საჭირო - კლუბის აკადემიის გამართულად ამუშავება, ნიჭიერი ბავშვების აღზრდა და ამავე დროს გუნდში უკვე ჩამოყალიბებული, მაღალი დონის ფეხბურთელების მოწვევა, რომლებისგანაც დამწყებმა ფეხბურთელებმა მაგალითი უნდა აიღონ. როცა გუნდი მოედანზეა, ახალგაზრდა ფეხბურთელს მწვრთნელი ისე ნაყოფიერად ვერ დამოძღვრავს, როგორც გამოცდილი და კლასიანი თანაგუნდელი. მერწმუნეთ, ამ ყველაფრის გარეშე წინსვლაზე ლაპარაკი უადგილოა.

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი

# ზაზა ჭელიძე 3 წლით ტორპედოში

ქუთაისის "ტორპედომ" ნახევარმცველ **ზაზა ჭელიძესთან** კონტრაქტი გააფორმა - ხელშეკრულება 3 წელზეა გათვლილი.

25 წლის მოთამაშემ **გია გეგუჩაძის** გუნდთან ერთად ავსტრიული შეკრება გაიარა და საკონტროლო შეხვედრებშიც ითამაშა. ალსანიშნავია, რომ ჭელიძე ქუთაისურ კლუბამდე ყველგან საყრდენი ნახევარმცველი იყო, გეგუჩაძემ კი სპარინგებში ცენტრალურ მცველად გამოსცადა.

ზაზამ კარიერა გორის „დილაში" დაიწყო, მერე იყო ბათუმის „დინამო", ბოლნისის „სიონი", რუსთავის „ოლიმპი". ბოლოს, სეზონნახევარი ბელარუსის პრემიერლიგის ბრესტის „დინამო" (53 მატჩი - 5 გოლი) და ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გამოცემა "პრესბოლმა" რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელა.

მაგრამ შარშან, სეზონის დასრულების შემდეგ გუნდთან ახალ, ორწლიან კონტრაქტზე უარი თქვა და ბრესტი დატოვა. როგორც თავად გვითხრა, მიზეზი ბელარუსში არსებული ფინანსური კრიზისი იყო, რის გამოც "დინამო" ბევრმა ლეგიონერმა დატოვა.

ჭელიძეს კარიერის უკრაინაში გაგრძელების იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს ვარიანტი ჩაეშალა. თებერვალში კი ყაზახეთის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბში, ალმათის "ქაირათში" ისინჯებოდა. საბოლოოდ, მაინც საქართველოში დაბრუნდა და რუსთავის "მეტალურგში" ჩაირიცხა, მაგრამ თამაში არ უწევდა და კლუბის დატოვება მოუხდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

● ტრანსფერი

## გიორგი ხიდეშელი მეტალურგში ითამაშებს

**გიორგი ხიდეშელი**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი ბოლნისის "სიონის" შემადგენლობაში გაატარა, რუსთავის "მეტალურგთან" ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ეს თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა. ვინაიდან რუსთაველები ევროპის ლიგაზე ასპარეზობენ, კონტრაქტი სავარაუდოდ, "პლზენთან" განმეორებით მატჩამდე, ან მის შემდეგ გაფორმდება.

26 წლის ნახევარმცველი ბოლნისურ კლუბში ფინეთიდან გადმოვიდა, მანამდე კი 2009/10 წლების სეზონში რუსთავის "ოლიმპის" ღირსებას იცავდა.

**მაგდა კლდიაშვილი**

● სიონი

## უხვგოლიანი სპარინგი მუხრანში

მუხრანი. გაგრას ბაზა

**გაგრა–სიონი 2:5**

0:1 ხუბუა (20), 1:1 ჭკუასელი (50), 2:1 ნადირაძე (55. პენ.), 2:2 უგულავა (60), 2:3 უგულავა (62), 2:4 ქუცურუა (70), 2:5 გაბრიჭიძე (73)

გაგრა: ბეგაშვილი, ნადირაძე, ტყეშელაშვილი, ჯგერენაია, ხოჯაშვილი, ტეიდი, ზვიადაძე, ჭკუასელი, ყიფიანი, ივანიშვილი, ვოლკოვი.

*შეცვლაზე შევიდნენ: ყიშკარიანი, ერისთავი, როსტიაშვილი, სიჭინავა, მეტრეველი.*

სიონი: ბობლიაშვილი, ორბელაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ხუბუა, ჯოჯუა, ჭედია, მანწკავა, ფეიქრიშვილი, რეხვიაშვილი, რ. ჯიქია.

შეცვლაზე შევიდნენ: კიკაბიძე, ლობჟანიძე, უგულავა, ქუცურუა, ისიანი, გაბრიჭიძე, გ. ოქროპირიძე, ნემსაძე.

არბიტრი: ო. ხეცაძე

"გაგრამ" მუხრანში მდებარზე საკუთარ ბაზაზე ბოლნისის "სიონს" ამხანაგურად უმასპინძლა და 2:5 დამარცხდა. მასპინძლებმა სტუმრებს მხოლოდ საწყისი 60 წუთის განმავლობაში გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა, რის შემდეგაც ქვემოქართლელთა უპირატესობა აშკარა გახდა და შედეგშიც აისახა.

"სიონი" შეკრებაზე ურეკში მიემგზავრება, სადაც 4-5 ტესტ-მატჩს გამართავს. რაც შეეხება ბოლნისელთა ახალწვეულებს, კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ, მაგრამ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ "სიონის" ღირსებას დაიცავენ **რეზო ჯიქია, გელა ხუბუა, სერგი ორბელაძე** და **გიორგი მანწკავა**. აქედან "სიონში" არასდროს უთამაშია მანწკავას, დანარჩენები კი ქვემოქართლურ კლუბში არცთუ ხანგრძლივი განშორების შემდეგ ბრუნდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ვიტ ჯორჯია

## ხვალიდან თურქულ შეკრებაზე

ხვალ "ვიტ ჯორჯია" თურქეთის ქალაქ ბოლუში მიემგზავრება, სადაც ორკვირიან შეკრებას გამართავს და თურქეთის პირველი ლიგის კლუბებთან ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. შეკრებაზე წამსვლელ ფეხბურთელთა სია ცნობილი დღეისთვის გახდება, მანამდე კი ვეტერინარებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს და საკუთარ "მცხეთა პარკზე" პირველი ლიგის ბინადარ სტუ-ს 4:1 სძლიეს.



მერაბ კოჭლაშვილი გუნდს თურქეთში მოამზადებს

1:0 გურეშიძე (12), 2:0 ჩიმაკაძე (40), 3:0 ჯანელიძე (45), 4:0 ზაქრაძე (60), 4:1 კოლუა (84)

ვიტ ჯორჯია პირველ ტაიმში: დაუშვილი - ხურცილავა, გოგიაშვილი, კასრაძე, ლანიაშვილი - გეთიაშვილი - გურეშიძე, ვასაძე, ჯანელიძე - კორიფაძე, ჩიმაკაძე.

მეორე ტაიმში: სვანაძე - კალანდია, ტეტუნაშვილი, გეთიაშვილი, ჯავაშვილი - მურადაშვილი, დავლაშელიძე, ლიბრაძე, ზაქრაძე - ლობჯანიძე (72. ჯაყელი), კუხალეიშვილი (76. ჯოლოხავა)

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სამზადისი

## ჩიხურამ სპარინგების სერიალი დაგეგმა

ეროვნული ჩემპიონატისთვის საჩხერის "ჩიხურა" ურეკში ემზადება. გუნდში დაიმატეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრები, **თემურ შარაშენიძე, ნიკა მაისურაძე** და **ვაჟა ლომაშვილი**. პირველმა ორმა დასრულებულ ჩემპიონატში ცხინვალის "სპარტაკში" ჩაატარა, მცველმა ლომაშვილმა კი – ფოთის "კოლხეთში".

საჩხერლები ცხინვალის "სპარტაკის" კაპიტნის, **თემურ შონიას** გადაყვანითაც დაინტერესდნენ, მაგრამ 21 წლის ნახევარმცველი, შესაძლოა, ისრაელში წავიდეს.

"ჩიხურამ" ურეკში გუშინ საკონტროლო შეხვედრების სერიალი დაიწყო: საჩხერელები და ფოთის "კოლხეთი" ერთმანეთს მეორე შემადგენლობებით დაუპირისპირდნენ - მატჩი კოლხების გამარჯვებით დასრულდა 3:1.

დღეს გუნდები ძირითადი შემადგენლობით ითამაშებენ. 20 ივლისს საჩხერლები ქობულეთის "შუქურას" დაუპირისპირდებიან, 21-ში ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბს შეხვდებიან, რომელიც საქართველოში მოემზადება, 23-ში კი ლანჩხუთის "გურიას".

და ბოლოს: "ჩიხურაში" მართვის საკითხი ირკვეოდა. საჩხერულ კლუბს ოთხი დამფუძნებელი ჰყავს – ორი სახელმწიფოდან, ორიც - **ბიძინა ივანიშვილის** წარმომადგენლები კერძო სტრუქტურიდან. მოხდა სასწაული და ეს ორი მხარე საფეხბურთო კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე შეთანხმდა და "ჩიხურას" მართვა ძველებურად, ერთობლივად გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● 1001-ე სევდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ და აქ

## ბავშვთა ფეხბურთი გერმანიაში და პარალელები

**ისევ იქ დავბრუნდით, სადაც შარშანდელ ევროთასებამდე ვიყავით – ქართული ფეხბურთის პრობლემები არსად გამქრალა, არსებობს და ხშირად გვახსენებს თავს, უფრო ევროთასებისა და სანაკრებო ჩავარდნების შემდეგ. ეგაა, პატარა წარმატებაზე ყველაფერი გვავიწყდება და ოცნებებს მივეცემით, მაგრამ "აქტობეები" და "ნეფთჩები" ცივ შხაპს გადაგვასხამენ და ვფხიზლდებით.**

**ჩვენი ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) სატკივარი ბავშვთა ფეხბურთია, საიდანაც იწყება დიდი ფეხბურთის საფუძვლები. ვერ იქნება სიხარული, თუ არ იქნება სწორი დამოკიდებულება, კარგი სკოლები...**

ვფიქრობ, ამ კუთხით დაგაინტერესებთ გერმანიაში, "ბოხუმის" საფეხბურთო სკოლაში ნამუშევარი ახალგაზრდა ქართველი კაცის, **დავით ნიქარიშვილის** მონაყოლი - რა პირობებია და სისტემაა გერმანიაში, როგორ აფინანსებს სახელმწიფო ფეხბურთს...

ცნობისთვის: ნიქარიშვილი თამაშობდა "დინამო 2"-ში, "მორკინალში", 1995 წლიდან გერმანიაში გადავიდა და გამოდიოდა რეგიონალლიგის "ნოირკირხენში", როსტოკის "ჰანზას" დუბლშემადგენლობაში, ჰოლანდიაში "გრააპსხაფის" დუბლებში, "აპელდორნში", "სულთფენში", მერე ისევ გერმანიაში - "ბოხუმის" დუბლებში, "ვიტენში":

- ყველაზე კარგი წინადადება 2004 წელს მეორე ბუნდესლიგის "ჰანოვერიდან" მქონდა. სამწუხაროდ, კუნთი გამიწყდა, მშვენიერი ვარიანტი ჩამეშალა და კარიერა "ბოხუმის" ფარმკლუბ "ვიტენში" დავამთავრე. მანამდე ერთი წლით ადრე "ბოხუმის" ბავშვთა გუნდი ჩამაბარეს, რომელიც ტურნირზე მოეწონათ და მუშაობა შემომთავაზეს. სასიამოვნო სამუშაო აღმოჩნდა, ლიცენზია ავიღე და ამ საქმეს შემოვრჩი. საქართველოში ბოლო ხანს დავბრუნდი, ახლა ვარკეთილში, კლუბ "გოლეადორში" ვმუშაობ.

**- რა პირობებია გერმანულ საფეხბურთო სკოლებში?**

- "ბოხუმის" სკოლის მაგალითზე გეტყვით: ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში საუკეთესოა, მაგრამ მათი პირობები საქართველოში სანატრელია.

**- საფეხბურთო სკოლებს გერმანიაში ვინ აფინანსებს?**

- გერმანიის საფეხბურთო კავშირი, სხვადასხვა კომპანია.

**- სკოლაში გადასახადი რამდენია?**

- არაფერსაც არ იხდიან, თუ არ ჩავთვლით სიმბოლურ წლიურ გადასახადს, 10 ევროს. კლუბების უმრავლესობაში ასეა. არადა, სკოლებში მშვენიერი პირობებია. რაც მინახავს, ყველგან ორი ბალახის მოედანი მაინც აქვთ, გასახდელებსა და საშხაპეებზე არაფერს ვამბობ. ჩემს გუნდს 17 ფორმა ჰქონდა. 15 წლიდან გუნდს უნიშნავენ რამდენიმე მწვრთნელს, რადგან ამ ასაკში უკვე ცნობილია, ვის რა შეუძლია და ვის აქვს პერსპექტივა. ყოველი ვარჯიშის შემდეგ ბავშვებს ახვედრებენ მინერალურ წყალსა და ნატურალურ წვენს.

არალიცენზირებული მწვრთნელის მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ყველა ლიცენზირებულსაც არ სწყალობენ და ბავშვების აზრით ინტერესდებიან, ვისთან სიამოვნებთ მუშაობა და ვისთან - არა. შესაძლოა, მწვრთნელს ჰქონდეს განათლება, მაგრამ პედაგოგიური და ურთიერთობის ნიჭის გარეშე, ბავშვს ფეხბურთს შეაზიზღებს და მისგან მწვრთნელი არ დადგება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რომ მწვრთნელს საფეხბურთო წარსული ჰქონდეს.

**- სამედიცინო მომსახურებაზე რას გვეტყვით?**

- კვირაში ერთხელ მოთამაშეებს სისხლს ულებენ, საიდანაც მის მდგომარეობაზე სრული სურათი ექმნებათ.

**- ასაკის გადაკეთება მოსულა?**

- მოთამაშის ბარათის გარეშე, ვერავინ ითამაშებს. ეს დაცვის სისტემაა.



დავით ნიქარიშვილი

სხვათა შორის, საქართველოში ბარათებს ხშირად არც ამოწმებენ. აქ სხვა უცნაურობებსაც წავაწყდი. პირველად გავიგე, რომ თურმე, ბავშვმა კონტრაქტი უნდა გააფორმოს და სკოლიდან წასვლის შემთხვევაში 50 თუ 100 ათასი გადაიხადოს. ეს შუა საუკუნის მეთოდია, მსგავს რამეზე გერმანიაში კლუბს დასჯიან. გამორჩეულ ბავშვებს იქით უხდიან 200 ევროს, თავი პროფესიონალად რომ იგრძნონ.

**- ჩვენთან კლუბებსა და სკოლებს შორის საკომპენსაციო თანხის გადახდაც პრობლემურია.**

- გერმანიასა და ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, ეს საკითხი ფიფასა და ადგილობრივი საფეხბურთო კანონმდებლობით რეგულირდება, მას კი ყველა იცავს.

**- იდეალურ სურათს ხომ არ ხატავთ? გერმანელებს ყველაფერი კარგად თუ აქვთ აწყობილი, სანაკრებო ტიტულებს რატომ ველარ იგებენ?**

- ცხადია, პრობლემები არის, რადგან ბოლო წლებია, გერმანელი ბავშვები ფეხბურთს ნაკლებად ეტანებიან და ამას საფეხბურთო წრეები ძალიან განიცდიან. მიზეზი ფეხბურთში გაზრდილი დატვირთვებია. ძალიან ბევრი კარიერის შემდეგ დაავადებულია. ამიტომ, ბევრს ურჩევნია, თვეში 100 ათას ევროსა და ტიტანური შრომის ნაცვლად 5 ათასს დასჯერდეს და წყნარი ცხოვრება ჰქონდეს.

**- საქართველოში რატომ დაბრუნდით?**

- რაც უნდა კარგად იყო უცხოეთში, ქართველ კაცს სამშობლო და ჩვენი ურთიერთობები ენატრება. ბუნებრივი სურვილიც არის, ცოდნა და გამოცდილება საკუთარ ქვეყანას მოახმარო. აქ რომ ჩამოვედი, ჯერ "ბერმუხაში" ვმუშაობდი, მერე ჩემს ძმასთან, გიორგი ნიქარიშვილთან ერთად "გოლეადორში" მივედი. პრეზიდენტი, დავით ბიჩინაშვილი ყველანაირად ამყვა. შედეგად სამხრეთ ოსეთის უფროსი ასაკის, 1994-95-წლიანების ჩემპიონატში 20-დან 20 შეხვედრა მოვიგეთ. არადა, ამ გუნდს წინა ჩემპიონატში ასეთი წარუმატებით არ უასპარეზია. ახლახან თურქეთში ვიყავით და ჩვენი ორი ფეხბურთელით "ალანიასფორი" დაინტერესდა.

დღეს ფეხბურთს ის იგებს, ვინც მეტს დარბის, საამისოდ კი გამძლეობაზე ვარჯიში და ფიზმომზადების მწვრთნელია საჭირო – უამისოდ წარმატებაზე ფიქრიც წარმოუდგენელია. ჩვენ კი ფიზმომზადების მწვრთნელად ვალერი ლობანოვსკისთან ნამუშევარი თენგიზ გელდიაშვილი ავიყვანეთ და ამან შედეგი გამოიღო. სამწუხაროდ, ეს ჩვენი პრობლემაა: ამ პროფილის მწვრთნელი არათუ სკოლებს, პირველი ლიგის ბევრ გუნდსაც არ ჰყავს, კვალიფიკაციის პრობლემაც არსებობს. არადა, ფიზმომზადების გარეშე შედეგი წარმოუდგენელია.

ძალიან მნიშვნელოვანია კვების საკითხი: ბევრმა მოთამაშემ არც იცის, რომ ვარჯიშამდე რამდენი საათით ადრე უნდა ჭამოს და რა მიიღოს. სად არის ბუნებრივსაფრიანი მოედნები? გერმანიაში ხალიჩაზე არ ავარჯიშებენ, რადგან დიდია მუხლებისა და წვივების ტრავმების საფრთხე. დიდები მხოლოდ მე-6 თაობის მოედნებზე ვარჯიშობენ, რომლის მსგავსიც აქ არ მინახავს. არადა, ფეხბურთელის გაზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ასეთ ნიუანსებს აქვს.

ასეთი სხვაობის მიუხედავად, ჩვენთან ფეხბურთელები კიდევ იზრდებიან და ეს მართლაც სასწაულია. იმიტომ, რომ ბევრი ნიჭიერი გვყავს, მაგრამ თუ სწორად არ გავზრდით, მხოლოდ ტალანტის იმედად შორს ვერ წავალთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ბაიერნი

# მიუნხენს შვაინი ადარდებს

## ჰაინკესს პისაროს და მანჯუკიჩის სჯერა

მიუნხენსა და ზოგადად საფეხბურთო გერმანიაში **ბასტიან შვაინშტაიგერის** გამო ახლა უკვე სერიოზულად ნერვიულობენ. 27 წლის ნახევარმცველი გასულ სეზონში ტრავმებით დაიტანჯა, ევროპის ჩემპიონატზეც ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა და ტრავმა ახლაც არ აქვს ბოლომდე მოშუშებული. ორშაბათს „ბაიერნი" ჩინეთში მიდის და გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რეკორდმაისტერი შვაინშტაიგერს ამ ტურნეში არ იახლებს.

„მიუნხენერ მერკურის" ინფორმაციით, ბასტიანმა „ბაიერნის" თავკაც **იუპ ჰაინკესს** თავად სთხოვა, აზიაში ნუ წამიყვანთო. „ბილდი" კი იუწყება, რომ ბავარიელები შვაინის მიუნხენში დატოვებენ, სადაც ინდივიდუალურად მოემზადება. გამორიცხული არ არის, რომ მიუნხენში სხვა ფეხბურთელებიც დარჩნენ...

*„ფეხბურთელს არავისთვის არაფერი უთხოვია. ვინ უნდა წავიდეს ჩინეთში და ვინ რჩება მიუნხენში, ამას მხოლოდ მწვრთნელი და შემდეგ ხელმძღვანელები ვწყვეტთ,* - აცხადებს ბავარიელთა ახალი სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი**, - *შექმნილ ვითარებას ამ დღეებში გავაანალიზებთ და შემდეგ გადავწყვეტთ, უნდა წამოვიდეს თუ არა ჩინეთში ესა თუ ის მოთამაშე."*

*„ჩვენთვის ყველაზე მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ახალ სეზონს ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად კარგად მომზადებული და ჯანმრთელი შეხვდეს. ბასტიანს მძიმე სეზონი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ კარგად დაისვენა, მენტალურად არ არის ისეთ დონეზე, როგორსაც ჩვენ მისგან ვითხოვთ. მასზე განსაკუთრებით ვიზრუნებ და დარწმუნებული ვარ, რომ ახალ სეზონში ფანები ისევ ძველ შვაინშტაიგერს იხილავენ,"* - ეს ჰაინკესის სიტყვებია.

ორი ვარიანტია: შვაინის მიუნხენში დატოვების მიზეზი ან რისკის თავიდან აცილებაა, ანაც ფეხბურთელის ტრავმა, რომელსაც არ ახმაურებენ. „ბაიერნის" ფანებს ნერვიულობის მიზეზი ორივე შემთხვევაში აქვთ...

### მანჯუკიჩმა და პისარომ დონ იუპი აღაფრთოვანეს

ზოგადად, ბავარიული გიგანტის 67 წლის მწვრთნელი ბევრ რამეშია დარწმუნებული - გარდა სრულყოფილი შვაინშტაიგერის დაბრუნებისა, ჰაინკესს ისიც სჯერა, რომ ახალი თავდამსხმელები **მარიო მანჯუკიჩი** (26 წლის) და **კლაუდიო პისარო** (33) რეკორდმაისტერს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ, რაც სეზონის დაწყებისთანავე გამოჩნდება.

*„გავრისკავ და ვიტყვი: გასულ სეზონში მანჯუკიჩი და პისარო ჩვენი ფეხბურთელები რომ ყოფილიყვნენ, მინიმუმ ერთ ტიტულს მაინც მოვიგებდით. მათ ყველაფერი შეუძლიათ, რაც კარგ თავდამსხმელს უნდა შეეძლოს: აქვთ ტექნიკა, კარგი დარტყმა, საგოლე ალღო, შესანიშნავად თამაშობენ თავით და ბრძოლისუნარიანებიც არიან. მარიო გომესს არ ვაკნინებ, ის ჩვენი მთავარი გოლეადორია, მაგრამ მისი ალტერნატივები ძალიან გვჭირდებოდა - განსაკუთრებით ისეთ მეტოქეებთან, რომლებიც დაცვით ფეხბურთს გვეთამაშებიან. ასეთ დროს ორი ასეთი ჯოკრის ყოლა ნებისმიერი მწვრთნელისთვის ბედნიერებაა,"* - ამბობს ჰაინკესი „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



მარიო მანჯუკიჩმა და კლაუდიო პისარომ მწვრთნელს თავი მოაწონეს



იუპ ჰაინკესი ბასტიან შვაინშტაიგერზე განსაკუთრებით იზრუნებს

ვოლფსბურგი

# დიეგო უნომროდ...

## ნალდო კი ვოლფსბურგელია



როგორც ჩანს, ბრაზილიელ გამთამაშებელ **დიეგოს** „ვოლფსბურგში" მართლაც არ აქვს მომავალი. დიეგო გუნდთან ერთად ვარჯიშობს და გუნდურ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ მხოლოდ მას არ აქვს ნომერი. „მგლების" თავკაცი **ფელიქს მაგათი** ამბობს, ამას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთო, მაგრამ ფაქტია, რომ ბრაზილიელი ერთადერთია, ვისაც მაისურზე არც ნომერი აწერია და არც გვარი.

ამასობაში, ვოლფსბურგელებმა **ნალდოს** ტრანსფერი სრულყვეს. როგორც იცით, 29 წლის ბრაზილიელმა მცველმა, რომელიც „მგლებში" ბრემენის „ვერდერიდან" გადადის, პირველი სამედიცინო შემოწმება წარმატებით ვერ გაიარა, რის გამოც ტრანსფერს ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. გუშინ „ვოლფსბურგის" ექიმებმა ნალდოს დეტალური გამოკვლევა ჩაუტარეს და ტრანსფერს მწვანე შუქი აუნთეს. ცნობილია, რომ „ვერდერი" ნალდოს სანაცვლოდ 4 მილიონ ევროს მიიღებს.

პსჟ. ტრანსფერის გამოხმაურება

# იბრამ პარიზი გადარია

## ფრანგული პრესის ეპითეტები: გენიოსი, მაგიური ფეხბურთელი, წმინდა მონსტრო, მესია...



ზლატან იბრაჰიმოვიჩის პომპეზური პრეზენტაცია პარიზში

**პარიზი მოჯადოებულია: ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერმა საფრანგეთის დედაქალაქში უდიდესი საფეხბურთო ბუმი გამოიწვია. პსჟ-ს გულშემატკივრები ეიფორიაში არიან, მწვრთნელი და ხელმძღვანელები კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტენ, ჟურნალისტებმა აღარ იციან, რომელი ეპითეტით შეამკონ პარიზელთა მორიგი ძვირად ღირებული ახალწვეული, პოლიტიკოსებს კი სალაპარაკო მიეცათ - ფეხბურთელისთვის წელიწადში 14-15 მილიონი ევროს გადახდა ბოროტი ანეკდოტიაო.**

**„იბრაკადაბრამ" პარიზი გუშინწინ მოიცვა: პარიზელებმა ზლატანი ოფიციალურად ოთხშაბათს ნაშუადღევს წარადგინეს. *„ყველამ იცის, რომ ამ გუნდს უდიდესი მომავალი აქვს და მე მინდა, რომ ამ გრანდიოზული კონცეფციის ნაწილი ვიყო,"* - ამ სიტყვებით მიმართა იბრამ პსჟ-ის ქომაგებს ფრანგულ გრანდთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, რაც მას ჯამში მინიმუმ 42 მილიონ ევროს მოუტანს - ზლატანის ხელფასი წელიწადში 14 მილიონით განისაზღვრა.**

### ასტრონომიული, არაპოლიტკორექტული ხელფასი

მისი ჯამაგირი დღეს საფრანგეთში ლამის ნომერ პირველი სალაპარაკო თემაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იბრაჰიმოვიჩის ხელფასზე ფრანგი პოლიტიკოსებიც ალაპარაკდნენ - რა თქმა უნდა, ნეგატიურად.

*„ამბობენ, ზლატან იბრაჰიმოვიჩს შთამბეჭდავი ხელფასი დაუნიშნესო. მე ვიტყოდი: შთამბეჭდავი კი არა, კატასტროფულად მაღალი ხელფასი დაუნიშნეს. ფეხბურთელისთვის წელიწადში 14-15 მილიონის გადახდა ყველანაირ ჩარჩოებს სცდება,"* - ეს საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის, **ჟერომ კაუზას** სიტყვებია. ზლატანის ტრანსფერი პსჟ-ის ჯამში 70 მილიონამდე უჯდება, რაც ამ უკანასკნელის აზრით, ზედმეტად დიდი თანხაა: *„მთელი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ებრძვის და ამ დროს ერთ კლუბს ერთი ფეხბურთელი 70 მილიონი ევრო უჯდება. ზლატან იბრაჰიმოვიჩის საფეხბურთო შესაძლებლობებს ეჭვქვეშ არ ვაყენებ, უბრალოდ მიმაჩნია, რომ ფეხბურთელში ამდენი ფულის გადახდა არ არის სწორი და ფეხბურთელს ასეთი ხელფასი არ უნდა ენიშნებოდეს."*

ზლატანის ტრანსფერს, მის სატრანსფერო ღირებულებას და ხელფასს საფრანგეთის სპორტის მინისტრი **ვალერი ფურნეირონიც** გამოეხმაურა - მან იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერში დახარჯულ თუ დასახარჯ თანხებს ასტრონომიული და არაპოლიტკორექტული უწოდა.

### იბრაჰიმოვიჩი: პარიზში დიდი ეპოქა იწყება

ფრანგული მედია კი თავის სტიქიაშია. პსჟ-ის სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** და ფეხბურთელის მრჩეველმა **მინო რაიოლამ** ზლატანის ტრანსფერი სამშაბათ საღამოს დაადასტურეს და მას მერე ფრანგული გაზეთები ერთმანეთს იბრაჰიმოვიჩისთვის მეტსახელების მოძებნასა და ორიგინალური ეპითეტების მოფიქრებაში ეჯიბრებიან. „ეკიპმა" შვედს Geant (გიგანტი) უწოდა, სხვა გაზეთებმა კი იბრა „გენიოსად", „მაგიურ ფეხბურთელად", „წმინდა მონსტრად" და „მესიადაც" კი მოიხსენიეს.

*„ბედნიერი ვარ, რომ პსჟ-ის ფეხბურთელი გავხდი. კლუბის ხელმძღვანელებს მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ ჩემ გამო ყველაფერი გააკეთეს. ეს ჩემს კარიერაში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კიდევ ერთი ოცნება ამიხდა, საფრანგეთში თამაშის საშუალება რომ მეძლევა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ერთად დავწერთ პსჟ-ის ისტორიას. აქ მხოლოდ იმიტომ ჩამოვედი, რომ დიდი გამარჯვებები ვიზეიმო და მჯერა, რომ პარიზში დიდი საფეხბურთო ეპოქა იწყება,"* - განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა პრესკონფერენციაზე.

ზლატანის თქმით, ის პსჟ-ის ხელმძღვანელებთან პირველივე სატელეფონო საუბრისას მიხვდა, რომ ამ კლუბში გადასვლა უნდოდა, 30 წლის შვედი პსჟ-ს „ოცნების გუნდს" უწოდებს - გუნდი უკვე ძალიან ძლიერია და სუპერგრანდებთან ჭიდილი შეუძლია, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია, თეორია, რაც პრაქტიკაში უნდა გადავიტანოთ, ახლა მოედანზე უნდა დავამტკიცოთ, რომ ძალიან მაგრები ვართო.

შთამბეჭდავი სიტყვებია და პრინციპში, სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი, თუმცა იბრაჰიმოვიჩმა არც მისი ყოფილი კლუბი, „მილანი" დაივიწყა: *„მილანი" ცხოვრების ბოლომდე მეყვარება, რადგან ამ გუნდში ვიგრძენი ის, რასაც დიდი ხნის განმავლობაში ველარ ვგრძნობდი. მადლობა „მილანს" იმისათვის, რომ „ბარსელონაში" გატარებული ჩემთვის საშინელი პერიოდის შემდეგ გადამიბირა და ძველი დიდების დაბრუნებაში დამეხმარა. „მილანს" და მილანისტებს არასდროს დავივიწყებ. ვიცი, რომ „როსონერის" ფანებს გული დავწყვიტე, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ პსჟ-ის გრანდიოზული პროექტის ნაწილი ვყოფილიყავი. ხელმძღვანელები მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდულობენ და დღეს ყველას ამ გუნდში თამაში უნდა,"* - ასე დაასრულა ზლატანმა პრესკონფერენცია.

პსჟ-ის პრეზიდენტი **ნასერ ალ ხელაიფა** და სპორტული დირექტორი ლეონარდო ახლა უკვე თამამად აცხადებენ, მთელი ევროპა საფრანგეთის ლიგაზე რომ ლაპარაკობს, ეს სწორედ პსჟ-ის დამსახურებააო და მართლებიც არიან. შეგახსენებთ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩამდე პარიზელებმა „მილანიდან" **ტიაგო სილვაც** გადაიბირეს და ზოგადად, ვარსკვლავებს მხოლოდ იტალიიდან მიერეკებიან. „პესკარას" 19 წლის ნახევარმცველ **მარკო ვერატიში** პსჟ-მ 12 მილიონი ევრო გაისროლა, ხოლო „ნაპოლიდან" **ესეკილ ლავეცი** 30 მილიონად შეიძინა. ამბობენ, პსჟ-ის სატრანსფერო აქტივობა ჯერ არ დაუმთავრებიაო...

სავარაუდო ტრანსფერი

# ვაგნერი ბერლინში მიდის

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ბრემენის „ვერდერის" თავდამსხმელი **სანდრო ვაგნერი** კარიერას მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ ბერლინის „ჰერტაში" გააგრძელებს. 24 წლის ფორვარდი გერმანიის დედაქალაქში გუშინ ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა, რის შემდეგაც დასკვნითი მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო - **ლევან კობიაშვილის** გუნდი ვაგნერის ტრანსფერს ოფიციალურად ალბათ დღეს დაადასტურებს. სანდრო ვაგნერი, რომელიც გასული სეზონის მეორე წრეში „კაიზერსლაუტერნში" იყო განათხოვრებული, ბერლინელებს ტრავმირებული **პიერ-მიშელ ლასოგას** შემცვლელად სჭირდებათ. „ვერდერში" ვაგნერი ბოლოს მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობდა...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ინტერვიუ. ნიკ პაუელი

# რიგითი პაუელის მოლოდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაიცანით მანჩესტერ იუნაიტედის ახალწვეული

**დიდი დრო** არ გასულა მას მერე, რაც ნიკ პაუელი საზოგადოებას "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელის რანგში წარუდგინეს. 18 წლის ნახევარმცველი "ოლდ ტრეფორდზე" "ქრიუ ალექსანდრიიდან" გადავიდა და ბუნებრივია, მას კიდევ დიდი ჯაფა დაადგება არათუ ძირითად შემადგენლობაში, არამედ მთავარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად.



**- როგორი იყო პირველი კვირა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელის სტატუსით?**

- დიდებული. ყველანი ძალიან მეგობრულები იყვნენ ჩემთან, მაქსიმალურად ცდილობდნენ, ყველაფერში დამხმარებოდნენ. ვგრძნობ, რომ საერთო ენა ყველასთან გამოვნახე. სანვრთნელი პროცესიც განსხვავდებოდა იმისგან, რასაც აქამდე ვიყავი შეჩვეული.

**- რა განცდა გქონდა პირველი სანვრთნელი დღის დადგომამდე?**

- სიმართლე თუ გინდათ, გეტყვით, რომ საერთოდ არ მძინებია. ვნერვიულობდი, თითქოს სკოლაში პირველად უნდა წავსულიყავი. წინადღეს ვცდილობდი, კონტაქტი ყველასთან დამემყარებინა და ამან ცოტა მიშველა, რადგან, როგორც გითხარით, ყველა გულთბილად მომეპყრო.

**- მოგვიყევით კერინგტონის ბაზაზე გატარებულ პირველ დღეზე.**

- გასახდელში შესვლა და კარადაზე ჩემი გვარის წაკითხვა დაუჯერებელი გრძნობა იყო. პირველები, ვისაც იქ შევხვდი, გიგზი და სქოულზი იყვნენ. შეჩვეული ვიყავი, რომ ისინი ტელევიზორში მენახა. პირადად მათი გაცნობა უჩვეულო იყო. მოსასალმებლად თავად მოვიდნენ ჩემთან. მოუთმენლად ველოდები, როდის მომეცემა შანსი, რომ მათთან ერთად ვითამაშო.

**- ყველაზე მეტად რა გხიბლავთ "მანჩესტერ იუნაიტედში"?**

- ის, რომ არა მარტო ინგლისის ყველაზე დიდ, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს შევუერთდი. ამ კლუბმა უამრავი ტიტული მოიგო და მეც მინდა, რომ მისი ნაწილი გავხდე.

**- აქ ყველაფერი "ქრიუსგან" განსხვავებით არის მოწყობილი?**

- დიახ, დიდი სხვაობაა. კლუბში მომუშავეთა რიცხვიც განსხვავდება. ერთი სიტყვით, "იუნაიტედი" სულ სხვა განზომილებაა.

**- რაშია კარდინალური სხვაობა?**

- მაგალითად, ბაზის უზარმაზარ ფართობსა და ვარჯიშების ინტენსივობაში. ადრე, როცა "იუნაიტედს" ტელევიზორში ვუყურებდი, მხოლოდ ვოცნებობდი, რომ მათ გვერდით ვყოფილიყავი და საქმე მათთან ერთად მეკეთებინა. ახლა ამ ბიჭებს უკვე ყოველდღე ვხედავ. დაუჯერებელია...

**- მოგვიყევით აქაურ ვარჯიშებზე?**

- თავიდანვე პირველ გუნდთან ერთად ვვარჯიშობდი. მუშაობა დავიწყეთ ბურთის ფლობის ტექნიკაზე. შემდეგ "კვადრატი" ვითამაშეთ, სადაც პირველ დღეს ყველამ დამამარცხა. სქოულზი ამ მხრივ ყველაზე ძლიერია. გასაოცარია განწყობა, რაც აქ სუფევს. გუნდში ყველას მხოლოდ გამარჯვება სურს, უბრალო ვარჯიშზეც კი. ასეთი დამოკიდებულება ძალიან მომწონს და ვფიქრობ, რომ პროფესიულ წინსვლაში ხელს შემიწყობს. "ქრიუში" ბევრად უფრო მოშვებული ვიყავი. აქ უკვე ვისწავლე, რომ ყოველდღე ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო და ყოველ ჯერზე მაქსიმალურად დავიხარჯო. სწორედ ეს არის პროგრესის წინაპირობა.

**- სერ ალექსთან პირველმა შეხვედრამ როგორ ჩაიარა?**

- ცოტა შეშინებული ვიყავი, თუმცა ძალიან სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა. მისი აქ ყოფნა ერთ-ერთი ის მიზეზი იყო, რატომაც გადავწყვიტე "იუნაიტედში" კარიერის გაგრძელება. მან მითხრა, რომ ყველაფერი ჩემს ხელში იყო და თავის გამოსაჩენად შანსს აუცილებლად მივიღებდი, თუკი დავიმსახურებდი. იმედია, შევძლებ ამას.

**- დაგისახათ თუ არა მწვრთნელმა კონკრეტული ამოცანები?**

- დიახ, მაგრამ არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი.

**- წინასასეზონო შეკრებისგან რას ელით?**

- მშვენიერი იქნება ახალ თანაგუნდელებთან გარკვეული დროის გატარება, რათა ისინი უკეთ გავიცნო. ამას გარდა რამდენიმე ქვეყანას ვესტუმრები.

**- მოგიყვნენ თუ არა გამოცდილი თანაგუნდელები, ფანებისგან რა რეაქციას უნდა ელოდოთ?**

- დიახ, მითხრეს, რომ ჩინეთში გულშემატკივართა სიმრავლის გამო ქუჩაში თავისუფლად გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ვფიქრობ, რომ ეს კლუბის პოპულარობის მაჩვენებელია.

**- რომელ პოზიციაზე უფრო წარმოგიდგენიათ თქვენი თავი. ნახევარდაცვაში თუ თავდასხმაში?**

- მირჩევია, რომ ჩემს თავს ნახევარმცველი ვუწოდო. შეიძლება შემტევი ნახევარმცველიც კი. იმ სტილის ფეხბურთელებს მივეკუთვნები, რომელთაც უყვართ მომენტების შექმნა და მუდამ თავისუფალ ზონებს ეძებენ.

ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი

# მაკედას გასროლა



ფედერიკო მაკედა

| ამაზულუ–მანჩესტერ იუნ. | 0:1 |
| --- | --- |

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ლინდეგორი, ვესელი, ვუტონი, ფერდინანდი, ბრედი (ბლეკეტი 58), კერიკი, სქოულზი (ტანიკლიფი 71), ლინგარდი (პეტრუჩი 71), ბერბატოვი, ჩიჩარიტო (კაგავა 89), მაკედა (ანდერსონი 58)

**გოლი:** 0:1 მაკედა (20)

მართალია, "მანჩესტერ იუნაიტედმა" სამხრეთაფრიკული ტურნე გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ ეს არ იყო იოლი. თამამად შეიძლება თქმა, რომ არა **ანდერს ლინდეგორი**, "ეშმაკებს" ალბათ ფრეც სანატრელი ექნებოდათ. პრინციპში გასაკვირი აქ არაფერია, რადგან **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვიდა სათამაშოდ. იმის თქმას ნამდვილად არ ვაპირებთ, რომ "ამაზულუმ" მეტოქეს აჯობა, უბრალოდ მანკუნიანელები დაცვის ხაზში მოიკოჭლებდნენ. შეტევას რაც შეეხება, საგოლე მომენტების განიავება მათაც საკმაოდ მოახერხეს. მოულოდნელად სასტარტოს მიღმა აღმოჩნდა **შინჯი კაგავა**. სერ ალექსმა იაპონელს მხოლოდ 2-3 წუთი მისცა სათამაშოდ. სკამზე გაატარა მთელი თამაში **ნიკ პაუელმა**. ერთადერთი გოლი შეხვედრის მე-20 წუთზე **ფედერიკო მაკედამ დიმიტარ ბერბატოვის** პასით გაიტანა. იმის გათვალისწინებით, რომ თამაში სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპზე პირველი იყო, თანაც მოედანზე დებიუტანტების მთელი "ბატალიონი" გამოვიდა, რომელთა შორის თვალში საცემად სუსტად არცერთს არ უთამაშია, "ეშმაკების" თავკაცი კმაყოფილი ჩანდა და ეს ლოგიკურიც იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ მატჩს 50 ათასამდე ადამიანი დაესწრო.

ამხანაგური მატჩი. ჩელსი

# ბელგიური ჩელსი

| სიეტლ საუნდერსი–ჩელსი | 2:4 |
| --- | --- |

**ჩელსი (I ტაიმი):** ილარიუ, ჩალობა, ივანოვიჩი, ლუისი, ფერეირა, მიკელი, მაკეხრანი, ბენაიუნი, აზარი, მარინი, ლუკაკუ **II ტაიმი:** ბლექმენი, ჰატჩინსონი, ივანოვიჩი (კეიჰი 63), კეპილი, ფერეირა (სევილი 63), ესიენი, ლემპარდი, აზარი (კაკუტა 63), დე ბრუინი, ლუკაკუ (პიაზონი 63)

**გოლები:** 0:1 ლუკაკუ (3), 0:2 აზარი (11), 1:2 მონტერო (13), 2:2 მონტერო (31), 2:3 მარინი (39), 2:4 ლუკაკუ (44)



დე ბრუინი ან მარინი

"ჩელსიმ" 2012/13 წლების სეზონისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე პირველივე შეხვედრაში იოლად იმარჯვა **ედენ აზარის, მარკო მარინისა** თითო და **რომელუ ლუკაკუს** დუბლის წყალობით. ანგარიში **ჯოშ მაკეხრანის** კარგი პასით (მეტოქეს ცენტრში ბურთი ფეხებიდან გამოლლიტა) ბელგიელმა თავდამსხმელმა გახსნა, ვინც ცივსისხლიანად გაუსწორდა მეტოქის მცველებს და ბურთი ცარიელ კარებში შეაგორა. მალე ანგარიში მეორე ბელგიელმა აზარმა გაზარდა. მას დიდწილად გაუმართლა კიდეც, როცა საჯარიმოს გარედან დარტყმული "საუნდერსის" მცველს მოხვდა და ისე აღმოჩნდა ბადეში. ამის შემდეგ "ჩელსი" რატომღაც მოეშვა და მასპინძელს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. ორჯერვე 25 წლის კოლუმბიელმა **ფრედი მონტერომ** გამოიჩინა თავი. პირველი ტაიმის მიწურულს "ლურჯები" ხელახლა გაიყვანა წინ მარკო მარინმა, ვინც სისწრაფის წყალობით შეძლო მცველებს გაქცეოდა. ზუსტად 5 წუთში კი გერმანელმა საგოლე გადაცემაც მიითვალა. მისი პასით ისევ ლუკაკუმ ისარგებლა.

მეორე ტაიმში საინტერესო აღარაფერი მომხდარა. **რობერტო დი მატეოს** დავალებით გუნდი უფრო მეტად ბურთის კონტროლს აქცევდა ყურადღებას, ვიდრე შეტევებს. ამიტომაც იყო, რომ პირველი ნახევრის გახსნილი ფეხბურთი (15-15 დარტყმა კარის მიმართულებით) უფრო ჩაკეტილ და მოსაწყენ სანახაობად რომ გადაიქცა. უახლოეს მატჩს "ჩელსი" 22 ივლისს აწ უკვე **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** "პარი სენ-ჟერმენთან" გამართავს.

ამბები

## ვან პერსიმ იუნაიტედი ისურვა



"მირორის" ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" 29 წლის **რობინ ვან პერსისთვის** ბრძოლა მოიგო და თუკი საბოლოოდ ჰოლანდიელმა "არსენალს" ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა, კარიერას ის სწორედ "ოლდ ტრეფორდზე" განაგრძობს. გამოცემა ამტკიცებს, რომ აღნიშნულ თემაზე სერ **ალექს ფერგიუსონი** თავის მეგობრებს გამოუტყდა. თუკი ეს ამბავი დადასტურდა, "ეშმაკებს" მათ წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრა ერთი-ორად გაუადვილდებათ, რადგან **უეინ რუნისა** და ვან პერსის დუეტი ნამდვილად ყველაზე მრისხანე იქნება მთელ პრემიერლიგაში.

## ელერდაისი კინს უჩივის

"ვესტ ჰემის" მთავარმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** თავის კოლეგას, "ბლექბერნის" თავკაც **სტივ კინს** სასამართლოში უჩივლა. "დიდი სემი" "ივუდ პარკიდან" 2010 წლის დეკემბერში გაათავისუფლეს, ჩვენს ამბიციებს არ შეეფერებაო და მის ნაცვლად გუნდში კინი მიიყვანეს. ელერდაისის დათხოვნის მომენტში გუნდი პრემიერლიგაში მე-13 ადგილზე იყო, საბოლოოდ 2010/11 წლების სეზონი შოტლანდიელის თავკაცობით "ვარდებმა" მე-15 ადგილზე ჩაამთავრეს. წელს კი რაც მოხდა, თავადაც უწყით, "ბლექბერნი" პრემიერლიგიდან გავარდა. რაც შეეხება სასამართლოში ჩივილის მიზეზს... გაზაფხულზე ინტერნეტში გავრცელდა კადრები, სადაც სტივ კინი თავის წინამორბედს გულშემატკივართა წრეში თავშეუკავებლად ლანძღავს და მის პროფესიულ თუ პიროვნულ ღირსებებს ეჭვქვეშ აყენებს. ელერდაისისთვის ამ ვიდეოს არსებობის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. ის ადვოკატების დახმარებით თავისი რეპუტაციის აღდგენას შეეცდება.



## ჯეკო: არავითარი მოლაპარაკება

"მანჩესტერ სიტის" ბოსნიელმა თავდამსხმელმა, 26 წლის **ედინ ჯეკომ** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს მან ამ დღეებში "მილანთან" წამოიწყო მოლაპარაკება და კარიერის გაგრძელებას იტალიის სერია A-ს ვიცე-ჩემპიონის რიგებში გეგმავს. *"ბოლო დღეებში პრესაში რამდენჯერმე წავიკითხე, რომ თურმე "სიტის" დატოვებას ვაპირებდე. ხმამაღლა ვაცხადებ. არც მე და არც ჩემს აგენტს არც ერთ კლუბთან მოლაპარაკება არ გვიწარმოებია. მე მხოლოდ "სიტიში" გამოსვლაზე ვარ კონცენტრირებული. მეტად მსგავს ამბებზე კომენტარს აღარ გავაკეთებ,"* – დაწერა ფეხბურთელმა "ტვიტერში".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

სერია A

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ტრანსფერები სრული სვლით

## სანამ კულმინაცია დადგებოდეს

იტალიურ ფეხბურთში სატრანსფერო ციებ-ცხელებაა და ბუნებრივია, რომ სპორტული პრესის დიდი ნაწილი სწორედ ფეხბურთელთა მიდი-მოდის ეთმობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლუბები გახურდნენ და კარგი ტემპი აკრიფეს, კულმინაციას კი აგვისტოს მეორე ნახევარში უნდა ველოდოთ. თუმცა, საინტერესო ტრანსფერები უკვე არაერთი შედგა და სალაპარაკოც ბევრია. მაგალითად, "მილანმა' ნახევარი გუნდი პენსიაზე გაუშვა და მეორე ნახევარი ზედ მიაყიდა – ასე რომ, ლომბარდიელებს პრაქტიკულად ახალი გუნდი აქვთ გასაკეთებელი და სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურება მოუწევთ; აქტიურობენ კიდეც, კარლოს ტევესის თემამ წამოიწია წინ და აგერ, რობინ ვან პერსის ვარიანტიც გამოჩნდა – ამბობენ, "არსენალი" მთავარ ფორვარდს 15 მილიონად ყიდის და ლომბარდიელებიც შანსს არ გაუშვებენ ხელიდანო. ვნახოთ... პრაქტიკულად ახალ გუნდს ქმნის "ინტერიც", აი "იუვენტუსმა" კი ახალი გუნდის საფუძველი გასულ ზაფხულს ჩაყარა და წელს, ძლიერდება; დანარჩენზე ქვემოთ...



### იუვენტუსი

**წავიდნენ:** თ.ა; დელ პიერო – 4.0 მლნ; იმობილე (ჯენოა) – თ.ა; მანინგერი - გროსო (კარიერა დაასრულა) – 1.5 მლნ; პასკუატო (უდინეზე), 5.5 მლნ; ელია (ვერდერი, გერმანია) – ა; ბორიელო (რომა).

**მივიდნენ:** 9 მლნ; ასამოა (უდინეზე) - 9.4 მლნ; ისლა (უდინეზე) – 3.8 მლნ; ლეალი (ბრეშა) – თ.ა; პოგბა (მანჩესტერ იუნაიდეტი, ინგლისი) – 11 მლნ; ჯოვინკო (პარმა) – 8 მლნ; კასერესი (სევილია) – თ.ა; ლუსიო (ინტერი) – ა; მარტინესი (ჩეზენა) – დ.ა; იაკვინტა (ჩეზენა) – დ.ა; პაციენცა (უდინეზე).

### მილანი

**წავიდნენ:** თ.ა; პაზინი (ჯენოა) - თ.ა; მისკევიჩი (ვისლა, პოლონეთი) – ოდო კარიერა დაასრულა) – თ.ა; ნესტა – თ.ა; გატუზო (სიონი, შვეიცარია) - ინძაგი (კარიერა დაასრულა); თ.ა; ვან ბომელი (პსვ, ჰოლანდია) – თ.ა. ზეედორფი (ბოტაფოგო, ბრაზილია) – თ.ა; ძამბროტა – თ.ა; რომა – 42 მლნ; ტიაგო სილვა (პსჟ, საფრანგეთი) – (?) მლნ; იბრაჰიმოვიჩი (პსჟ, საფრანგეთი).

**მივიდნენ:** 4 მლნ; აჩერბი (კიევო) – ა; კონსტანტი (ჯენოა) – 0.5 მლნ; გაბრიელი (კრუზეირო, ბრაზილია) – თ.ა; მუნტარი (ინტერი) – თ.ა; მონტოლივო (ფიორენტინა) – თ.ა; ტრაორე (ნანსი) – დ.ა; ოდუამადი (ტორინო).

### უდინეზე

**წავიდნენ:** ა; პასკუატო (ბოლონია) – 9 მლნ; ასამოა (იუვენტუსი) – 9.4 მლნ; ისლა (იუვენტუსი) – 5 მლნ; დენისი (ატალანტა) – ა; ფლორო ფლორესი (გრანადა, ესპანეთი) – 3 მლნ; დუბაი (სოშო, საფრანგეთი) – თ.ა; ვუადინოვიჩი (შტურმი, ავსტრია) – თ.ა; ზლამალი (სიგმა, ჩეხეთი) – ა; პაციენცა (იუვენტუსი) – 11 მლნ; ჰანდანოვიჩი (ინტერი).

**მივიდნენ:** 1.5 მლნ; პასკუატო (იუვენტუსი) – 3 მლნ; ვილიანსი (ფლამენგო, ბრაზილია) – 3 მლნ; ორტო (კანი, საფრანგეთი) – 3 მლნ; აპლანი (მალდონალდო, ურუგვაი) – 0.5 მლნ; პავლოვსკი (ლეგია, პოლონეთი) – 4 მლნ; ფარაონი (ინტერი) – დ.ა; კვადრადო (ლეჩე) – დ.ა; მურიელი (ლეჩე).

### ლაციო

**წავიდნენ:** თ.ა; სევიერი (ლუმეცანე) – თ.ა; მაკინვა – თ.ა; დელ ნერო – თ.ა; არტიპოლი..

**მივიდნენ:** თ.ა; ედერსონი (ლიონი, საფრანგეთი) – დ.ა; კარიცო (კატანია) – დ;ა; სარატე (ინტერი) – დ.ა; სტენდარდო (ატალანტა) – დ.ა; ფლოკარი (პარმა) – დ.ა; ფოჯა (სამპდორია) – დ.ა; სკული (ჯენოა) – თ.ა; კავანდა (ბარი) – დ.ა; ჩეკარელი (იუვე სტაბია) – დ.ა; პერპეტუინი (ფოჯა) – დ.ა; მონდონიკო (ტარანტო) – დ.ა; ტუია (ფოლინო) – დ.ა; ჩინელი (ლუმეცანე) – დ.ა; ჩინკვე (მანტოვა) – დ.ა; ლუჩიანი (ლუმეცანე).

### ნაპოლი

**წავიდნენ:** 26 მლნ; ლავეცი (პსჟ, საფრანგეთი) – თ.ა; ლუკარელი – ა; სანტანა (ტორინო) – ა; ფიდელეფი (პარმა).

**მივიდნენ:** თ.ა; ბარიტე (ვიჩენცა) – 7.5 მლნ; პანდევი (ინტერი) – დ.ა; ინსინიე (პესკარა) – დ.ა; რინაუდო (ნოვარა) – დ.ა; ჩავესი (სან ლორენსო, არგენტინა) – 4 მლნ; გამბერინი (ფიორენტინა) – 5 მლნ; ბერამი (ფიორენტინა).



### ინტერი

**წავიდნენ:** 7.5 მლნ; პანდევი (ნაპოლი) – თ.ა; მუნტარი (მილანი) – კორდობა (კარიერა დაასრულა) – თ.ა; ფორლანი (ინტერნასიონალი, ურუგვაი) – თ.ა; ლუსიო (იუვენტუსი) – დ.ა; სარატე (ლაციო) – ორლანდონი (კარიერა დაასრულა) – დ.ა; პალომბო (სამპდორია) – 4 მლნ; ფარაონი (უდინეზე) – ა; ვივიანო (ფიორენტინა) – დ.ა; პოლი (სამპდორია).

**მივიდნენ:** თ.ა; ბარდი (ლივორნო) – 11 მლნ; პალასიო (ჯენოა) – 11 მლნ; გუარინი (პორტუ, პორტუგალია) – 8 მლნ; სილვესტრი (პალერმო) – 11 მლნ; ჰანდანოვიჩი (უდინეზე) – დ.ა; კოუტინიო (ესპანიოლი) – დ.ა; მარიგა (პარმა) – დ.ა; ჯონათანი (პარმა) – დ.ა; ბარდი (ლივორნო).

### რომა

**წავიდნენ:** თ.ა; სისინიო – 0.25 მლნ; პეტინარი (კროტონე) – 0.3 მლნ; სტოიანი (ბარი) – 0.25 მლნ; ფლორენცი (ბარი) - 1.2 მლნ; კაპრარი (პესკარა) – თ.ა; კასეტი – თ.ა; ანტუნეში (პაკუშ ფერეირა, პორტუგალია) – ა; დალესანდრო (სიენა) – ა; ბრიგი (ტორინო) – დ.ა; კიაერი (ვოლფსბურგი, გერმანია) – დ.ა; ვივიანი (პადოვა) – ა; კურჩი (ბოლონია) – 13 მლნ; ბორინი (ლივერპული, ინგლისი).

**მივიდნენ:** 3.5 მლნ; მარკინიო (ფლუმინენსე, ბრაზილია), 1 მლნ; ტალო (კიევო) – 0.1 მლნ; მალომო (ალბინოლეფე) – 3 მლნ; დოდო (კორინთიანსი) – 2.5 მლნ; კასტანი (კორინთიანსი) – 0.3 მლნ; სვედკაუდკასი (სუდუვა) – 1 მლნ; ფლორენცი (კროტონე) – დ.ა; ოკაკა (პარმა) – დ.ა; ბორიელო (იუვენტუსი) – დ.ა; პისარო (მან. სიტი, ინგლისი) – 2.5 მლნ; ტაჩტიდისი (ჯენოა) – დ.ა; გუბერტი (ტორინო) – დ.ა; ბერტოლაჩი (ლეჩე) – დ.ა; ჟულიო სერჟიო (ლეჩე) – 3.75 მლნ; ბრედლი (კიევო).

### პარმა

**წავიდნენ:** ა; ფელშერი (პადოვა) – ა; სკიავი (სპეცია) – 11 მლნ; ჯოვინკო (იუვენტუსი), თ.ა; ლაპადულა (ჩეზენა) – დ.ა; ფლოკარი (ლაციო) – ა; კოპოლა (სიენა) – ა; ბრანდაუ (ჩეზენა) – ა; პერეირა (როდა, ჰოლანდია) – თ.ა; რისპოლი – თ.ა; ფელტშერი – თ.ა; ზე ედუარდო – დ.ა; ოკაკა (რომა) – დ.ა; მარიგა (ინტერი) – დ.ა; ჯონათანი (ინტერი).

**მივიდნენ:** თ.ა; ამაური (ფიორენტინა) – 3.5 მლნ; ბიაბიანი (სამპდორია) – 2.5 მლნ; ბელფოდილი (ლიონი, საფრანგეთი) – 3.8 მლნ; პავონი (ნასიონალი, ურუგვაი) – 1 მლნ; ჰაიმე ვალდესი (სპორტინგ, პორტუგალია) – თ.ა; ნინისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი) – დ.ა; პელე (სამპდორია) – დ.ა; როსინი (ჩეზენა) – თ.ა; ნინისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი) – ა; აკვა (პალერმო).

### ბოლონია

**წავიდნენ:** თ.ა; დი ვაიო (მონრეალი, კანადა) – თ.ა; რაჯი (მონაკო, საფრანგეთი) – თ.ა; ბერნაჩი – 1.75 მლნ ჟილე (ტორინო) – თ.ა; ვიტალე (ნაპოლი) – დ.ა; რუბინი (ტორინო) – თ.ა; ლორია – ა; კრესპო (მოდენა).

**მივიდნენ:** ა; პასკუატო (უდინეზე) – თ.ა; რივეროლა (ბარსელონა B) – 0.15 მლნ; მარკი (პიაჩენცა) – დ.ა; პიზანო (პრატო) – 3.36 დიამანტი (ბრეშა) – ა; პასკუატო (უდინეზე) – დ.ა; გავილანი (პიაჩენცა) – დ.ა; კოდა (სირაკუზა) – ა; კურჩი (რომა) – ა; აბერო (ნასიონალი, ურუგვაი).

### კიევო

**წავიდნენ:** 1 მლნ; ტალო (რომა) – 4 მლნ; აჩერბი (მილანი) – დ.ა; გულანი (ფიორენტინა) – დ.ა; სამარკო (სამპდორია) – 3.75 მლნ; ბრედლი (რომა).

**მივიდნენ:** თ.ა; ტანალია (ჯაკომენსე) – 0.2 მლნ; ფარიასი (ნოჩერინა) – დ.ა; 1.2 მლნ; ჰეტემაი (ბრეშა) – თ.ა; დი მიკელე (ლეჩე) – 0.25 მლნ; სტოუანი (რომა).

### კატანია

**წავიდნენ:** 1 მლნ; კოშოცკი (ნოვარა) – დ.ა; მოტა (იუვენტუსი) – დ.ა; კარიცო (ლაციო) – დ.ა; სეიმური (ჯენოა) – დ.ა; ებაგუა (ტორინო) – ა; მაქსი ლოპესი (სამპდორია).

**მივიდნენ:** ა; სალიფუ (ფიორენტინა) – ა; სალიფუ (ფიორენტინა) – თ.ა; დუკარა (ვარეზე) – ანდუხარი (ესტუდიანტესი, არგენტინა) – დ.ა; ალვარესი (სარაგოსა, ესპანეთი) – დ.ა; მაქსი ლოპესი (მილანი) – დ.ა; ანტენუჩი (ტოირინო) – დ.ა; მორიმოტო (ნოვარა) – დ.ა; მარტინი (ჩეზენა) – 2.5 მლნ; კასტრო (რასინგი, ესპანეთი) – ა; კრეშენცი (რომა).

### ატალანტა

**წავიდნენ:** თ.ა; ბასელი (ჩიტადელა) – თ.ა; ბაშა (ტორინო) – ა; სუაგერი (პიზა) – დონი (კარიერა დაასრულა) – თ.ა; მუტარელი.

**მივიდნენ:** 5 მლნ; დენისი (უდინეზე) – 1 მლნ; კაცოლა (იუვე სტაბია) – ა; ჩიგარინი (ნაპოლი) – დ.ა; კონე (პესკარა) – დ.ა; რადოვანოვიჩი (ნოვარა) – 2.5 მლნ; ბრივიო (ლეჩე).

### ფიორენტინა

**წავიდნენ:** თ.ა; ამაური (პარმა) – ა; სალიფუ (კატანია) – თ.ა; კროლდრუპი – თ.ა; მონტოლივო (მილანი) – თ.ა; ნატალი – თ.ა; ბორუცი – თ.ა; მარკიონი – 0.25 მლნ; დე სილვესტრი (სამპდორია) – 4 მლნ; გამბერინი (ნაპოლი) – 5 მლნ; ბერამი (ნაპოლი).

**მივიდნენ:** 3.5 მლნ; კასანი (პალერმო) – დ.ა; ხარჯა (ჯენოა) – დ.ა; გულანი (კიევო) – დ.ა; სეფეროვიჩი (ლეჩე) – 0.85 მლნ; ელ ჰამდაუი (აიაქსი, ჰოლანდია) – თ.ა; რონკალია (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა) – ა; ვივიანო (ინტერი) – თ.ა; ლუპატელი (ჯენოა) – 1 მლნ; კუადრადო (უდინეზე).

### სიენა

**წავიდნენ:** 1.5 მლნ; როზეტინი (კალიარი) – თ.ა; ოდიბე (არსენალი, უკრაინა) – 1.2 მლნ; ბრიენცა (პალერმო) – 1 მლნ; სანსონე (სასუოლო) – 2.6 მლნ; გაცი (ტორინო).

**მივიდნენ:** 1.3 მლნ; დესტრო (ჯენოა) – ა; დალესანდრო (რომა) – 1 მლნ; დელაფიორე (პარმა) – 0.8 მლნ; რუბინი (ტორინო).

### კალიარი

**წავიდნენ:** დ.ა; გოცი (მოდენა) – 2.5 მლნ; კანინი (ჯენოა).

**მივიდნენ:** 5.5 მლნ; რიბეირუ (რენტისტასი) – 3.2 მლნ; პინილია (პალერმო) – 1.5 მლნ; როზეტინი (სიენა) – 2 მლნ; დესენა (სამპდორია) – ა; აველარი (კარპატი, უკრაინა).



### პალერმო

**წავიდნენ:** 3.2 მლნ; პინილია (კალიარი) – 3.5 მლნ; კასანი (ფიორენტინა) – თ.ა; გონსალესი (ნოვარა) – თ.ა; ლარიბი (სასუოლო) – 8 მლნ; სილვესტრი (ინტერი) – ა; ბაჩინოვიჩი (ვერონა) – ა; აკვა (პარმა).

**მივიდნენ:** 0.8 მლნ; მორგანელა (ნაპოლი) – 1.3 მლნ; ბრიენცა (სიენა) – 1.2 მლნ; დიბალა (ინსტიტუტო) – დ.ა; დი მატეო (ლეჩე) – დ.ა; სეტო (ლილი, საფრანგეთი).

### ჯენოა

**წავიდნენ:** თ.ა; ედუარდო (ისტანბულსფორი, თურქეთი) – 0.2 მლნ; კარაჩოლო (ბრეშა) – 1.3 მლნ; დესტრო (სიენა) – თ.ა; პარფე (ჩეზენა) – ა; კონსტანტი (მილანი) – 11 მლნ; პალასიო (ინტერი) – 5 მლნ; პაპასტატოპულოსი (ვერდერი, გერმანია) – დ.ა; სკული (ლაციო) – თ.ა; ლუპატელი (ფიორენტინა).

**მივიდნენ:** თ.ა; დიეგო როსადუ (სპორტინგ, პორტუგალია) – თ.ა; პაზინი (მილანი) – 1 მლნ; ანსელიმუ (პალმეირასი, ბრაზილია) – თ.ა; ფონ ბერგენი (ჩეზენა) – 4 მლნ; იმობილე (პესკარა) – 1.13 მლნ; პოპო (უნივერსიტარიო, პერუ) – თ.ა; ტოშერი (გენკი, ბელგია) – 2.5 მლნ; ბერტოლაჩი (რომა).

### პესკარა

**წავიდნენ:** თ.ა; სანსოვინი (სპეცია) – დ.ა; იმობილე (ჯენოა) – დ.ა; ინსინიე (ნაპოლი) – დ.ა; კონე (ატალანტა) – 12 მლნ; ვერატი პსჟ, საფრანგეთი).

**მივიდნენ:** თ.ა; ბერარდოკო (პიზა), 1.2 მლნ; კაპრარი (რომა) – 8 მლნ; აბრუსკატო (ვიჩენცა) – 0.3 მლნ ჩოსიჩი (ცსკა, რუსეთი) – 1 მლნ; კოლუჩი (ჩეზენა).

### ტორინო

**წავიდნენ:** თ.ა; ებაგუა (ვარეზე) – დ.ა; ანტენუჩი (კატანია) – დ.ა; ბენუსი (პალერმო) – დ.ა; გუბერტი (რომა) – დ.ა; ოდუამადი (მილანი) – დ.ა; სურაკო (უდინეზე) – 0.8 მლნ; რუბინი (სიენა).

**მივიდნენ:** თ.ა; ბაშა (ატალანტა) – 1.75 მლნ; ჟილე (ბოლონია) – თ.ა; რუბინი (ბოლონია) – ა; სანტანა (ნაპოლი) – 1.5 მლნ; სანსონე (სასუოლო) – 2.6 მლნ; გაცი (სიენა).

### სამპდორია

**წავიდნენ:** 3.5 მლნ; ბიაბიანი (პარმა) – 2 მლნ; დესენა (კალიარი) – დ.ა; ფოჯა (ლაციო).

**მივიდნენ:** 3.2 მლნ; ედერი (ჩეზენა) – დ.ა; პალომბო (ინტერი) – დ.ა; სამარკო (კიევო) – ა; მაქსი ლოპესი (კატანია) – დ.ა; კაჩატორე (ვარეზე) – დ.ა; მაკარონე (ემპოლი) – 0.25 მლნ; დე სილვესტრი (ფიორენტინა) – დ.ა; პოლი (ინტერი).

*შენიშვნა: ა – არენდა; დ.ა – დაუსრულდა არენდა; თ.ა – თავისუფალი აგენტი.*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი

# მეთოთხმეტედ ამერიკაში

## რეალმა ბრაზილიელი მონადირა და გაგო გაასაღა



ფაბინიო (შუაში) უკვე რეალში ვარჯიშობს

**მადრიდის „რეალში" მატებაა - თუმცა ახალწვეული ჯერჯერობით „რეალ კასტილიას" წევრი იქნება და მერე ვნახოთ. საუბარია, 18 წლის ბრაზილიელ განაპირა მცველ ფაბინიოზე, რომელიც პორტუგალიური „რიუ ავედან" იჯარით „სამეფო კლუბში" მოხვდა. მარჯვენა მცველი ფაბინიო „ფლუმინენსეს" აღზრდილია, ის „პაულინიას დე ბრაზილში" თამაშობდა. ფაბინიოს თამაშმა ფიფას აგენტი ჟორჟე მენდეში მოხიბლა, მან მთლიანად გამოისყიდა ფეხბურთელის კონტრაქტი და ივნისში ის „რიუ ავეში" გაუშვა. თუმცა როგორც აღმოჩნდა, ფაბინიოს უკეთესი ბედი ელოდა და მალე მისით „რეალი" დააინტერესეს. ასე რომ, პორტუგალიურ გუნდში უთამაშებლად, ფაბინიო „რეალის" სარეზერვო გუნდს სეზონის ბოლომდე ათხოვეს. ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრმა უკვე ივარჯიშა „რეალ კასტილიაში". ის სეზონის დასაწყისში დანი კარვახალს შეცვლის, რომელიც „ლევერკუზენში" 5 მილიონ ევროდ გადავიდა.**

**„დიარიო ას"-ს თუ დავუჯერებთ, დღე-დღეზე ფაბინიოს შეუერთდებიან „რეალ კასტილიაში" „კორდობას" 21 წლის გარემარბი ბორხა გარსია და „კარპატის" 23 წლის ნახევარმცველი ლუკას პერესი.**

### გაგო კონტრაქტს წყვეტს და ვალენსიაში გადადის

**ფერნანდო გაგოს** მომავალი რომ არ იქნება „რეალთან" დაკავშირებული, უკვე დიდი ხანია ცხადია - არგენტინელი ნახევარმცველი თავიდანვე აითვალწუნა **ჟოზე მოურინიომ** და პორტუგალიელის გეგმებში ის არც ახლა შედის. ახლა კი ის გაირკვა, რომ გაგო სულ მალე დატოვებს „სამეფო კლუბს", მისი აგენტი „რეალის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა. **მარსელო ლომბილიამ** შეხვედრამდე პრესასთან არც ის დამალა, რომ განხილვის საკითხი მხარეებს შორის




ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტის შეწყვეტა იქნება. 26 წლის გაგომ შარშანდელი სეზონი „რომაში" გაატარა, სადაც ჯამში 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა. არგენტინის ნაკრების ნახევარმცველი, სავარაუდოდ, „ვალენსიაში" გააგრძელებს კარიერას, რადგან მისით ძალიან არის დაინტერესებული თანამემამულე **მაურისიო პელეგრინო**.

### სიტის შიშები

„მანჩესტერ სიტი" ცდილობს, როგორმე აიცილოს თავიდან **მიკა რიჩარდსის** დაკარგვა, რადგან ცნობილია, რომ ამ მცველის აყვანა „რეალს" სურს. ესპანურ გრანდს 24 მილიონი ევროს გაღება მოუხდება, თუკი ნამდვილად სურს რიჩარდსის წაყვანა.




ამდენს კი „რეალი" არ გადაიხდის - „სამეფო კლუბს" სურს დაცვის მარჯვენა ფლანგზე კონკურენციის შექმნა 10 მილიონ ევროზე მეტი არ ულირს. **ალვარო არბელოა** ასე თუ ისე თავის მოვალეობას ასრულებს, თანაც არის კიდევ **სერხიო რამოსი**, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია დაბრუნება ფლანგზე. არის შანსი, რომ **ლასანა დიარა** ან **რიკარდო კარვალიო** დარჩეს გუნდში. მოკლედ, ეს ფლანგი არც ისეთი საპრობლემოა, რომ 24 წლის ინგლისელში 24 მილიონი გადაიხადონ.

### რა, სად როდის

ამასობაში „რეალი" აგრძელებს ახალი სეზონისთვის მზადებას. ჟოზე მოურინიოს განკარგულებაში უკვე 23 ფეხბურთელია, რომელთაგანაც 14 „რეალ კასტილიას" წევრია. მოურინიომ „რეალს" ორმხრივი მატჩი ათამაშა, „ცისფერმა" გუნდმა „თეთრის" წინააღმდეგ გრანეროს გოლის წყალობით მოიგო. მადრიდელები ზაფხულის ტურნეში ამერიკაში მიდიან, უკვე მე-14-.დ! პირველი ამერიკული ტურნე „სამეფო კლუბმა" 1927 წელს მოაწყო, როცა ნიუ იორკში „გალისიას" ეთამაშა (1:1).

გთავაზობთ, „რეალის" ტურნეს კალენდარს: 24 ივლისს ჟოზე მოურინიოს გუნდს პირველი ამხანაგური მატჩი აქვს ესპანეთშივე - ოვიედოში „რეალ ოვიედოს" წინააღმდეგ. გალისიიდან გუნდი პორტუგალიაში გადავა, სადაც ლისაბონში „ბენფიკას" ესტუმრება, ეს მატჩი 27 ივლისს გაიმართება. მეორე დღეს „რეალის" თვითმფრინავი ოკეანეს გადასერავს და ლოს ანჯელესში ჩაფრინდება, სადაც მოურინიო და კომპანია ბანაკს დასცემს. 2 აგვისტოს „რეალის" პირველი მეტოქე ამერიკულ ტურნეზე „ლოს ანჯელეს გელექსია". 5-ში ლას ვეგასში „რეალს" „სანტოს ლაგუნა" დაუპირისპირდება, 8-ში ნიუ იორკში ესპანელთა მეტოქე „მილანია", 11-ში ფილადელფიაში „რეალი" ტურნეს ბოლო მატჩს გამართავს შოტლანდიურ „სელტიკთან" და იმავე დღეს სამშობლოში დაბრუნდება.

### ჭორ-მართალი

იტალიურ წყაროებს თუ დავუჯერებთ, ლასანა დიარას მომავალი ნავსაყუდელი, შესაძლოა, „მილანი" იყოს. მასიმო ალეგრი ერთობ მონადინებულია თავის გუნდში ლასანა იხილოს. ალეგრის ნახევარდაცვის ხაზში ძალიან უჭირს. **შტრასერი** და **მუნტარი** დაშავებულები არიან და მათ შემცვლელი სჭირდებათ. თუმცა ესპანური წყაროები სულ სხვას ამტკიცებენ - მათი აზრით, მოურინიოს ფრანგის გაშვება არ სურს.

„რეალის" თურქი ფეხბურთელი **ნური შაჰინი** კი ამტკიცებს, რომ ახლაც არ ნანობს ესპანურ გრანდში გადასვლას. ნური ფიქრობს, რომ წლეულს მოიპოვებს სასტარტო შემადგენლობაში ადგილს.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ტოტენჰემი" **ლუკა მოდრიჩს** ასე იოლად არ დათმობს, კლუბმა ახალი ფორმების პრეზენტაცია მოაწყო და შერჩეულთა შორის მაინცდამაინც ლუკა მოდრიჩის 14-ნომრიანი მაისურაც იყო.

***P.S. წუხელ გაირკვა, რომ ფერნანდო გაგო კარიერას "ვალენსიაში" გააგრძელებს. დაწვრილებით ამის შესახებ ხვალინდელ ნომერში იხილეთ.***

დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული დამამშვიდებელი, საძილე საშუალება

ჩვენებები:

- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა
- აკვიატებული აზრები, ფსიქიკური გაღიზიანებადობა.
- დეპრესია.




Nabros
Pharma Pvt. Ltd.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

● ბარსელონა

# კა და ლე

მატებაა „ბარსელონაშიც", როგორც „რეალში", აქაც სარეზერვო გუნდში - „ბარსამ" ლისაბონის „სპორტინგიდან" ორი ნიჭიერი ახალგაზრდა გადაიბირა - აგოსტინიო კა და ედგარ ლე. კა გვინეა ბისაუში 1993 წელს არის დაბადებული, პორტუგალიის მოქალაქეა. ახლახან მან ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა 19-წლამდელთა შორის. ედგარ ლე პორტუგალიელია და კაზე ერთი წლით უმცროსია. ევროპის ჩემპიონატზე მან ტრავმის გამო ვერ ითამაშა. კა ნახევარმცველია, ლე - მცველი.



გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ტოტენჰემი

# ბოლო ფასი 35 მილიონი ფუნტი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ, "ტოტენჰემის" 26 წლის ხორვატ ნახევარმცველ **ლუკა მოდრიჩზე** რომ წელს ამბებია ამტყდარი, მსგავსი რამ ძნელად გვახსენდება. ხუმრობა ხომ არ არის, ფეხბურთელის შეძენას "მანჩესტერ იუნაიტედი" და "რეალი" ცდილობენ. "ალისფერი ეშმაკები" ბრძოლას დიდი ხანია ჩამოშორდნენ. აი, სამეფო კლუბი კი სცენაზე დარჩენას ბოლომდე აპირებს. "ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვის უნდა ჩვენი ფეხბურთელის შეძენა. მთავარია, მისით დაინტერესებულმა კლუბმა 35 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. ასეთ შემთხვევაში ტრანსფერს წინ ველარაფერი დაუდგება. ლუკას დღეს პირისპირ ველაპარაკე. მან დაწვრილებით ამიხსნა თავისი პოზიცია. კარგია, რომ თავადაც ესმის "ტოტენჰემის". ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის ღირებულებებს, უფლებებსა და ინტერესებს. მოდრიჩი ნამდვილად ჭკვიანი ადამიანია და შესანიშნავად აცნობიერებს, რომ საკმაოდ რთულ სიტუაციაში ვართ. არაერთხელ გვითქვამს, ნებისმიერ წინადადებას მოვისმენთ ტრანსფერზე, თუკი ის ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს," – განუცხადა "ტელეგრაფს" **ანდრე ვილაშ ბოაშმა.**

ზემოთ ხსენებული პირისპირ შეხვედრა ვილაშ ბოაშსა და ლუკა მოდრიჩს შორის გუშინ "ტოტენჰემის" საწვრთნელ ბაზაზე, ლონდონის გარეუბან ჩიგველში დილის 9:30 წუთზე დაიწყო და რამდენიმე საათი გაგრძელდა. ესპანური AS იუწყება, ფეხბურთელმა მას პირადად დაუდასტურა, რომ ამ ზაფხულს "უაით ჰართ ლეინიდან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლას აპირებს. ესპანურ გაზეთს საინტერესოდ მოეჩვენა ის ფაქტიც, რომ ფეხბურთელს ბაზაზე დაბრუნების მიუხედავად, არ უვარჯიშია.

**ლევან ბიბილაშვილი**

პარი სენ-ჟერმენი

# ვერატის პარიზული ჩვენება



"პარი სენ-ჟერმენმა" "პესკარადან" შეძენილი **მარკო ვერატის** პრეზენტაცია გუშინ მოაწყო. 19 წლის ნახევარმცველმა დრო ჟურნალისტებთან ურთიერთობისთვისაც გამონახა და მათ შეკითხვებს გულწრფელი პასუხები გასცა.

- პსჟ ერთადერთი კლუბი იყო, რომელიც ჩემით რეალურად იყო დაინტერესებული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მისი წარმომადგენლები ძალიან მონდომებულები ჩანდნენ. როცა ეს დავაფიქსირე, აგენტს ვუთხარი, რომ სწორედ პსჟ-ის განვიხილავდი ფავორიტად. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ იტალიურებისგან განსხვავებით უცხოური კლუბები ახალგაზრდა ფეხბურთელებს უფრო მეტად ენდობიან. საბოლოოდ ნამითაც არ დავეჭვებულვარ, უნდა მიმეღო თუ არა კარლო ანჩელოტის შემოთავაზება. ამაყი ვარ, რომ ამხელა ტრადიციების კლუბის წევრი გავხდი. ბევრი ისეთი თანაგუნდელი მყავს, რომელთაც უკვე ძალიან ბევრს მიაღწიეს და იმისთვის, რომ მათ გვერდით თამაშის უფლება მოვიპოვო, ჩემი საუკეთესო თვისებები უნდა ვაჩვენო. მოუთმენლად ველოდები, როდის მომეცემა ამის შანსი. პირობას გაძლევთ, რომ როცა მინდორზე გავალ, ბოლომდე ვიბრძოლებ. ნამდვილად მაქვს უფლება, საკუთარი თავით ვიამაყო, რადგან ჩემს ასაკში ისეთი ფეხბურთელების თანაგუნდელი გავხდი, როგორებიც არიან იბრაჰიმოვიჩი, ლავესი, პასტორე, სილვა და სხვები. მსგავსი შანსი ნამდვილად ცოტას თუ მიეცემა ცხოვრებაში. ვალდებულად ვგრძნობ თავს, რომ იმედები, რასაც მწვრთნელთა შტაბი მიკავშირებს, ბოლომდე გავამართლო. პსჟ-ის ნამდვილად შეუძლია, რომ მიმდინარე სეზონის აღმოჩენად იქცეს. ჩვენი პროგრამა მინიმუმი ლიგა 1-ის მოგებაა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ინდონეზიელი ესპანიოლში

„ესპანიოლის" სარეზერვო გუნდში ინდონეზიელი **არტურ ირავანი** გადაიყვანეს. ირავანი „ესპანიოლის" სკოლის ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელია, 19 წლის აზიელი უმთავრესად დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობს. შარშან მან „ესპანიოლის" ჟუვენილ ა გუნდში 20 მატჩი ჩაატარა. „ესპანიოლის" სარეზერვო გუნდს **რაულ ლონგი** თავკაცობს.

## დიოპი ლევანტეში გადავიდა

ევროპალიგაზე მოასპარეზე „ლევანტე" ძლიერდება - ვალენსიურმა კლუბმა კანტაბრიული „რასინგიდან" **პაპე დიოპი** გადაიბირა. 26 წლის სენეგალელი ნახევარმცველი მომავალ 3 სეზონს „ლევანტეში" გაატარებს. აფრიკელს ფრანგული პასპორტიც გააჩნია. ესპანეთში მას „ხიმნასტიკში" უთამაშია. დიოპი „ლევანტეს" ძალზე იაფი დაუჯდა - 200 ათასი ევრო.

## რუბენი რაიოს კარში ჩადგა

გოლკიპერი **რუბენ მარტინეს ანდრადე** „მალაგადან" იჯარით „რაიო ვალეკანოში" გადავიდა. 28 წლის გალისიელი „ბარსელონას" აღზრდილია, თუმცა დაბალ ლიგებში უთამაშია, ბოლო ორი სეზონი რუბენი „მალაგაში" ირიცხებოდა. რუბენს „მალაგას" სასტარტოში თამაშის შანსი არ ჰქონდა, რადგან მისი კონკურენტები **ვილი კაბალიერო** და **კარლოს კამენი** იყვნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

## ჩელსის სამიზნეები

"ჩელსის" "მარსელისა" და ესპანეთის ოლიმპიური ნაკრების მარჯვენა მცველის, 22 წლის **სესარ ასპილიკუეტას** შეძენა სურს. "დეილი მეილის" ინფორმაციით, კლუბი მზადაა, ფინანსურ კრიზისში ჩაძირულ პროვანსელებს 14 მილიონი ევრო გადაუხადოს. სამხრეთელებისთვის ეს თანხა ნამდვილად მისწრება იქნება. ფრანგული პრესა ჯერ კიდევ 2011/12 წლების სეზონის დასრულების შემდეგ წერდა, რომ ოლიმპიკელთა საბიუჯეტო დეფიციტი 28 მილიონ ევროს აღწევდა, რომლის დაფარვა საბოლოოდ კლუბის მესაკუთრე **მარგარიტა ლუის დრეიფუსს** მოუხდა.

ESPN კი წერს, რომ ლონდონელებმა "უიგანისგან" მესამედ მიიღეს უარი 21 წლის **ვიქტორ მოზესის** ტრანსფერზე. თავდაპირველად "ლურჯებს" ნიგერიელის 4 მილიონ ფუნტად ხელში ჩაგდება სურდათ. ახლა ისინი 6 მილიონს იხდიან, მაგრამ კლუბის პრეზიდენტ **დეივ უილანს** არც თანხა აკმაყოფილებს.

## კინგი ფეხბურთიდან წავიდა

მას შემდეგ, რაც "ტოტენჰემის" 31 წლის ცენტრალურმა მცველმა **ლედლი კინგმა ანდრე ვილაშ ბოაშისგან** ახალ კონტრაქტზე უარი მიიღო, ფეხბურთელმა პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. პორტუგალიელი მწვრთნელის გადაწყვეტილება გასაგებია, რადგან ნამდვილად არავის სჭირდება მოთამაშე, ვისაც "უაით ჰართ ლეინზე" მოსვლის დღიდან, ანუ 14 წლის განმავლობაში ტრავმები ტანჯავს. ექიმებმა კინგს მარცხენა მუხლს ვერაფერი მოუხერხეს. "მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, მაგრამ განსაკუთრებით გულშემატკივრებს. ბოლო წლებში ძალიან დიდ დროს ვატარებდი საავადმყოფოებში და ამ პერიოდში მათი გვერდში დგომა არ მომკლებია. "ტოტენჰემში" ჩემი ცხოვრების 17 წელიწადი გავატარე. აქაურობა ჩემთვის მეორე სახლად იქცა. ბედნიერი ვარ, რომ აქედან არსად მივდივარ, რადგან კლუბმა თავის სტრუქტურაში შემომთავაზა სამსახური," – აცხადებს "დეზების" ყოფილი კაპიტანი.

**ლევან ბიბილაშვილი**



ლედლი კინგი



ოლიმპიზმი. სეოკ-ის სესია





# ნინასაოლიმპიადო შეჯამება

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რიგგარეშე სესია გაიმართა, რომლის დღის წესრიგშიც შემდეგი საკითხები შედიოდა:

- ლონდონის ოლიმპიადაზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლა; - სეოკ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა;

- სადისციპლინო და სააპელაციო საბჭოების, აგრეთვე - სეოკ-ის პრეზიდენტის მრჩევლის დამტკიცება და ოლიმპიური ორდენით დაჯილდოება.

ამავე ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ოლიმპიური სპორტული ეკიპირების წარდგინება.

განვლილი ოლიმპიური ციკლი სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** შეაჯამა. სულ მოპოვებულია 35 ლიცენზია სპორტის 12 სახეობაში. ამ 35-დან 27 თამაშების დებიუტანტია. ცხადია, სეოკ-ის პრეზიდენტის ქება იმ ფედერაციებმა დაიმსახურეს, რომლებმაც ლიცენზიები მოიპოვეს. უპირველესად




ეკიპირების დემონსტრირება

- ძიუდოსა და ჭიდაობის ფედერაციებმა, რომელთა წილადაც საგზურების უმეტესობა - 20 მოდის. ქება დაიმსახურეს მშვილდოსნობამ, ტყვიის სროლამ, ცურვამ, ტანვარჯიშმა, ძალოსნობამ და მძლეოსნობამ. შექების პარალელურად, გააკრიტიკეს რიგი ლიცენზირებული ფედერაციები, რადგან მათგან მეტს ელოდნენ. მაგალითად, კრივი, სადაც მხოლოდ ერთი საგზური მოვიპოვეთ და პეკინური შედეგი გავანახევრეთ. ამის სავარაუდო მიზეზად საწვრთნელ პროცესში დაშვებული შეცდომები დაასახელეს, თორემ ფედერაციამ ნაკრებს მოსამზადებლად ყველა პირობა შეუქმნა, მერე კი სალიცენზიო შეჯიბრებებზე სანატრელ წილისყრაზეც იზრუნა. ამ სახეობების გარდა, საგზურები მოვიპოვეთ ჩოგბურთსა და ველოსპორტში, ოლონდ ამ უკანასკნელში - „ნუგეშის ბარათით", ხოლო ჩოგბურთში რა გზითაა მოპოვებული, ამაზე ნაცვლიშვილმა იხუმრა, ზუსტად ვერც მე გეტყვითო. წყვილებში **ანა ტატიშვილმა** და **მაკა ჩახნაშვილმა** ნამდვილად „ნუგეშის ბარათით" რომ მიიღეს, ეს საკამათო არაა, მაგრამ გაურკვეველია ერთეულთა თანრიგში ტატიშვილის ამბავი. ის სალიცენზიო სიაში ნომერ პირველი სათადარიგოა, თუმცა ლიცენზირებულთაგან ზოგი ტრავმის, ზოგიც კი პირადი მოსაზრებით უარს ამბობს ლონდონში გამოსვლაზე. სამ შემთხვევაში ტატიშვილი თავისითაც შედის სალიცენზიო რეიტინგში და ეს კვოტა ნაჩუქარ ბარათად არ ეთვლება.

ნაცვლიშვილმა ის ფედერაციები თუ სახეობებიც დაასახელა, სადაც ახლა იქნებ ვერ მოვიპოვეთ ლიცენზია, ან - ლონდონში მედლის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ რიო დე ჟანეიროს თამაშებზე ისინი აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას. ასეთთა შორის მოხვდნენ ცურვა, ძალოსნობა, მხატვრული ტანვარჯიში, ფარიკაობა და მშვილდოსნობა, სადაც ამჯერად ქალების პარალელურად ვაჟებზეც იმედიანად ალაპარაკდნენ - მათ ამჯერადაც სულ ცოტა დააკლდათ საგზურამდე. ტყვიის სროლის მაგალითზე ნაცვლიშვილმა სპორტული ბაზების პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება - პრაქტიკულად, ამ სახეობას სავარჯიშო ბაზა არ აქვს და სომხეთში ემზადებიან, თუმცა ანალოგიურ ვითარებაში, ანუ მოსამზადებელი პირობების გარეშე კიდევ რამდენიმე სახეობაა. ნაცვლიშვილმა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზით დაკარგულ საგზურებზეც სინანულით ილაპარაკა. მაგალითად, ბატუტისტმა **თენგიზ კოშკაძემ** სალიცენზიო ტურნირამდე ორი დღით ადრე ფეხი იტკინა; მშვილდოსნების ამბავს შეხსენებაც არ სჭირდება, როცა მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს; წყალში ხტომაში თავიდანვე გაირკვა, ვის აძლევინებდნენ ლიცენზიებს, თორემ ჩვენი სპორტსმენი არაფრით იყო იმათზე ნაკლები, ვინც ეს საგზურები მოიპოვეს. წყალში ხტომის, მხატვრული ტანვარჯიშისა და კიდევ რამდენიმე სახეობის მაგალითზე, სადაც ძალზე დიდია მსაჯთა სუბიექტურობის საფრთხე, პრეზიდენტმა ფედერაციებს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთა კორპუსის გაზრდისა და საერთაშორისო ფედერაციებთან უფრო აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

კონკრეტულად ლონდონის ოლიმპიადის შედეგებთან დაკავშირებით ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ის ახლა უფრო იმედიანად უყურებს თამაშებს, ვიდრე - ორი წლის წინათ. ამჯერად თურმე 7-8 მედალს მოელის, ოლონდ ხარისხსა და კონკრეტულად - ოქროზე დაზუსტებით ლაპარაკი უჭირს.

წესდებაში ცვლილებების შეტანა ოფისის შეცვლამ გამოიწვია. ამასთან უფრო დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, ვინ უნდა იყოს სეოკ-ის წევრი. ამიერიდან წესდებაში ჩაიწერა, რომ ამის უფლება აქვთ საერთაშორისო ოლიმპიურ სტრუქტურებში თუ ფედერაციებში ინტეგრირებულ პირებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს, სეოკ-ის რეგიონულ ფედერაციებს, ოლიმპიურ აკადემიას, ოლიმპიურ მუზეუმს, ოლიმპიური ფილატელიისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციებს, მოძრაობას "სპორტი ყველასათვის", ანტიდოპინგურ კომისიას, სპორტული მედიცინის ასოციაციას, პარალიმპიურ კომიტეტს, იმ სამ არაოლიმპიურ ფედერაციას, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ საქართველოში სპორტის პოპულარიზაციაში - ჭადრაკს, ქართულ ჭიდაობას და სამბოს, ბიზნესის თუ სხვა კუთხით ქართული სპორტის წინაშე დამსახურებულ პიროვნებებს და სხვას, რომელთა სახელებიც



რობერტ შავლაყაძის დაჯილდოება

უკვე პირდაპირ ჩაიწერება წესდებაში, ოლონდ მათ ავტომატურად არ ენიჭებათ წევრის სტატუსი - საამისოდ განცხადებით უნდა მიმართონ სეოკ-ის ალმასკომს. ამასთან შეიქმნა სადისციპლინო და სააპელაციო საბჭოები სპორტული სადამსჯელო ღონისძიებების მისაღებად, თუ ამის საჭიროება დადგება დღის წესრიგში. სადისციპლინო საბჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **შენგელი ფიცხელაური** უხელმძღვანელებს. მისი მოადგილე ექიმი და სასამართლო ექსპერტი **ლევან ჩაჩუა** იქნება. საბჭოშია სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **ელგუჯა ბერიშვილიც**. სააპელაციო საბჭოს ცნობილი ადვოკატი **ზვიად კორძაძე** ჩაუდგა სათავეში, საბჭოს წევრები კი მწერალი **დათო ტურაშვილი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **რამინ ყურაშვილი** და დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში **გურამ პაპიტაშვილი** იქნებიან. პაპიტაშვილი ნაცვლიშვილის მრჩევლადაც დაამტკიცეს. სხდომის დასასრულს ღირსების ორდენით ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში **რობერტ შავლაყაძე** დააჯილდოეს.

**ირაკლი თავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილისა და კახაბერ ბერიძის ფოტოები*

ლიცენზიატი

# ფავორიტი ყაზბეგიდან

## ოლიმპიადაზე მოსაგებად მივდივარ - ამბობს დავით მარსაგიშვილი

**დავით მარსაგიშვილი**

**თავისუფალი ჭიდაობა, 84 კგ.**

**დაიბადა:** 1991 წლის 30 მარტს ყაზბეგის რაიონის სოფელ არშაში.

ევროპის ჩემპიონი (2012) და ვიცე-ჩემპიონი (2011), მსოფლიოს მესამე პრიზიორი (2011); ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი (2011) და ვიცე-ჩემპიონი (2009), მსოფლიოს ჩემპიონი (2011) და მესამე პრიზიორი (2009); ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი (2007). ჭაბუკთა შორის ევროპის ვიცე-ჩემპიონი (2007).

**პირველი მწვრთნელი:** ლევან მარსაგიშვილი; მწვრთნელი: დავით ხურცია.

**ჰობი:** მუსიკა.

ოლიმპიადის დებიუტანტი

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ სტილით მოჭიდავე **დავით მარსაგიშვილი** (84) ერთ-ერთი მათგანია, ვინც ამ 10-12 წლის წინათ მოსულ ტალღას მოჰყვა ყაზბეგიდან. საქართველოს ამ ულამაზესი მონაპირე კუთხიდან მაშინ ნიჭიერ მოხევეთა მთელი რაზმი ჩამოვიდა თბილისში სავარჯიშოდ, რომელთა შორის სეთურიძეების, მგელაძეებისა და სხვათა გვერდით არშაში, საკუთარი მამის მიერ მოჭიდავეებად დაფრთიანებული სამი ძმა მარსაგიშვილიც იყო, რომელთაგანაც ყველაზე დიდ წარმატებას შუათანამ, დავითმა მიაღწია. **ლევან მარსაგიშვილი** ადრე თვითონაც ჭიდაობდა და იმდენად სურდა, შვილებიც მოჭიდავეებად გაეზარდა, ალბათ, ღმერთს მხოლოდ გოგოები რომ მიეცა, იმათაც ავარჯიშებდა, ბიჭებს კი სულაც ხმალშემართული ადგა თავზე. შეიძლება ითქვას, პატარა დათოს არჩევანი არც ჰქონდა, მამა იმდენად მკაცრი მწვრთნელი იყო - საკუთარ სახლში პატარა დარბაზი მოაწყო და სპორტის სხვა სახეობების გაგონებაც არ უნდოდა, შვილებს გამუდმებით ჭიდაობაში ავარჯიშებდა. პატარა ბიჭის ცხოვრებაშიც ხშირად ყოფილა მომენტი, როცა ჭიდაობა ეჯავრებოდა, მაგრამ მშობელს ხათრს ვერ უტეხდა. დღეს იმ დროს ღიმილით იგონებს და ღმერთს მადლობას სწირავს, რომ მამა არ მოეშვა, ბოლომდე მიჰყვა და აიძულა ევარჯიშა. ახლა მისი ყველაზე ერთგული და ემოციური ქომაგი მამაა - იყო შემთხვევები, როცა მან შვილის ფინალურ შეხვედრებს ნერვიულობის გამო ვერ უყურა.

### ახალგაზრდულიდან ეროვნულისკენ - ჩავარდნის გავლით

15 წლისა იყო დავით მარსაგიშვილი, როცა თბილისში გადმოიყვანეს სავარჯიშოდ და **დავით ხურციას** ჩააბარეს. მან იმთავითვე მიიქცია ყურადღება და ჭაბუკთა ნაკრებშივე მოიპოვა წარმატება, თუმცა მისი ვარსკვლავი მთელი სიკაშკაშით მაინც ახალგაზრდულში ამობრწყინდა. იმ პერიოდში მარსაგიშვილს ერთდროულად უწევდა გამოსვლა ახალგაზრდულსა და ეროვნულ გუნდებში. ორივეგან წარმატებით გამოდიოდა, თუმცა სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება პირველი და ერთადერთი ჩავარდნა, რაც, სავარაუდოდ, ორ გუნდში გამოსვლას, ძალების არათანაბარ განაწილებას უკავშირდება. 2010 წელს მას ახალგაზრდებში ელოდა ჯერ ევროპის, მერე კი მსოფლიოს პირველობა, პარალელურად, უფროსებში მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც ამზადებდნენ, თუმცა მანამდე - ივნისში თბილისის


დავით მარსაგიშვილი

>> მე-11 გვერდზე

სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

# გაგამარუს კაჩი კოში



25 ᲬᲚᲘᲡ **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** ნაგოიას ბაშოზე მიზანს მიაღწია - გუშინ ბრაზილიელ **კაისეის** აჯობა და დადებითი ბალანსი (კაჩი კოში) დაიბევა. ამასთან ერთად, გაგამარუ აუცილებლად დაწინაურდება რეიტინგში, ახლა კი ის მე-7 მაეგაშირაა. კაჩი კოშის მიღწევა შეეძლო მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძე)**, მაგრამ ჩვენებური ყოფილ ოძეკი **მიაბიამასთან** დამარცხდა და ახლა 7-5 ბალანსი აქვს. მეორე დივიზიონში მე-9 მარცხი იწვნია **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**.

ბაშოს 12-0 ბალანსით ორი მონღოლი ლიდერობს: დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და **ჰარუმაფუჯი**. რადგან ეს ორი რიკიში ერთმანეთს აუცილებლად დაუპირისპირდება, მდევრებს იმპერატორის თასის მოგების თეორიული შანსიც აღარ აქვთ.

**XII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-კაკურიუ (უვატენაგე), კისენოსატო-ბარუტო (ოშიდაში), კოტოოშუ-მიოგირიუ (ცუკიოტოში), ოკინოუმი-ტოჩიოძანი (კოტენაგე), გოეიდო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ამინიშიკი-ტოიონოშიმა (ცუკიოტოში), ტაკეკაძე-აოიამა (სუკუინაგე), შოჰოზანი-ვაკაკოიუ (ოკურიდაში), მიაბიამა-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), ტაკაიასუ-ტამავაში (უვატენაგე), **გაგამარუ**-კაისეი (იორიკირი). **ძურიო:** მასურაუმი-**კოკაი** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**12-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჰარუმაფუჯი (ოძეკი).

**9-3**: კისენოსატო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), არანი (მაეგაშირა 5), კაისეი (მ 8).

**8-4**: ბარუტო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), გაგამარუ (მ 7), ტოკიტენკუ (მ 9), დაიდო (მ 13), მასუნოიამა (მ 13)... **7-5**: ტოჩინოშინი (მ 4).

**XIII დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ბარუტო, კოტოშოგიკუ, კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-კაისეი, კოტოოშუ-კაკურიუ, **ტოჩინოშინი**-გოეიდო, ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი, მიოგირიუ-არანი, კიოკუტენჰო-ამინიშიკი, აოიამა-შოტენრო, ოკინოუმი-შოჰოზანი, **გაგამარუ**-ვაკანოსატო. **ძურიო: კოკაი**-ტაკანოივა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



« მე-10 გვერდიდან

სპორტის სასახლეში **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირზე გამოვიდა. ამას ახალგაზრდულის თავკაცი **ნუგზარ სხირელი** ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ეროვნულის ხელმძღვანელობა დასაშვებად მიიჩნევდა და აჭიდავეს. მარსაგიშვილი კარგადაც გამოვიდა - მხოლოდ ფინალში დამარცხდა უკრაინელ ევროპის ჩემპიონთან, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან **ტარას დანკოსთან.** ამის მიუხედავად, მისი გამოსვლა მაინც დადებითად შეფასდა, რადგან ფინალამდე სხვებთან ერთად თურქთა ნაკრების მაშინდელი ლიდერი **სერდარ ბოკეც** ჩამოიცილა და თან ასაკიდან გამომდინარე, არც ვერცხლი იყო ურიგო შედეგი. ამ მედალმა ყველა ოპტიმიზმით დამუხტა, მაგრამ მარსაგიშვილი ისე ერთბაშად მოიშალა, როგორც აწყობილ მანქანას გაუფუჭდება ხოლმე რალაც მექანიზმი. ეროვნულს ვინლა დაეძებდა, ახალგაზრდულშიც კი წააგო ევროპისა და მსოფლიოს პირველობები. 2010 წელინადი მის კარიერაში მხოლოდ ეროვნულში სადებიუტო წლად დარჩა - მსოფლიოზე იჭიდავა მოსკოვში. თავად იმ ჩავარდნის მიზეზად გადაღლას მიიჩნევს, თუმცა ახლა მთავარი ისაა, რომ პრობლემა გამოსწორდა და შარშან სპორტსმენს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა.

### მარსაგიშვილი VS რუსები

მსაჯთა უნამუსობა რომ არა, მარსაგიშვილი ახლა ევროპის ორგზის ჩემპიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 2011-ში უსამართლობით ისედაც განთქმულმა საჭიდაო თემიდამ საერთოდ გააკვირვა ევროპა - დორტმუნდში, კონტინენტის პირველობის ფინალში რუს **ანზორ ურიშევთან** შეხვედრაში ლეიბის მსაჯი გამარჯვებულად ქართველს აცხადებდა, მაგრამ მაგიდის არბიტრმა და მსაჯთა გილდიამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღეს. ნახევარი წუთით ვიყავი ევროპის ჩემპიონიო, ხუმრობდა თბილისში დაბრუნებული მარსაგიშვილი.

რუსებთან მარსაგიშვილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაპირისპირება შარშანვე გაიმართა მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე, სადაც ფინალში დედით ქართველი ოსი **გიორგი რუბაევი** ისე გააცამტვერა, მეტოქე სიმწრისგან ტიროდა და წამოდგომა არ უნდოდა. სიმწრისა თუ სირცხვილის ცრემლებს ის ვერც ფიცარნაგიდან ჩასვლისას იკავებდა.

2011 წელი ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მის კარიერაში - თამაშ-თამაშ, უპრობლემოდ მოიგო ევროპისა და მსოფლიოს პირველობები ახალგაზრდებში, უფროსებში ევროპაზე ვერცხლი, მსოფლიოზე კი ბრინჯაო მოიპოვა, თუმცა ჭიდაობის ხარისხის მხრივ წლეულს გაცილებით მაღალ დონეზეა, ბევრად უფრო დახვეწილი და დაოსტატებულია. ბელგრადში ისე მოიგო კონტინენტის პირველობა, სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. მას ძალიან წაადგა ეროვნულ ნაკრებში გაზრდილი ფიზიკური დატვირთვები, თუმცა „ფიზიკა“ მაინც მის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად რჩება. იმავე ურიშევთან ამანაც აზარალა, თორემ იქნებ ბევრად იოლად მოეგო. ის ძირითად დროს ბევრად იოლად უმკლავდება, მაგრამ საქმე თუ დამატებით მესამე პერიოდზე მიდგა, ეს მისთვის უკვე სერიოზული პრობლემაა.

### იმედების ოლიმპიადა

მარსაგიშვილი წლეულს პირველად იჭიდავებს ოლიმპიადაზე და რა გასაკვირია, ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის გულდაგულ რომ ემზადება, თუმცა ამ გზაზე მცირე პრობლემებიც არის.

- ფიზიკური მომზადებისთვის განკუთვნილ პირველ შეკრებაზე სომხურ წახკაძორში კოჭი ვიტკინე - გვიყვება მარსაგიშვილი. ჯერ ერთ ფეხზე და იმის მოფრთხილებაში, როცა სიმძიმე მეორეზე გადამქონდა, ისიც ამტკივდა. ამიტომ ის შეკრება სრულყოფილად ვერ გავიარე, მომდევნოებში კი არავითარი პრობლემა არ მქონია. ტრავმებიც მომირჩა და ორი დღის წინ საკონტროლო შეხვედრებიც კარგად ჩავატარე - სუნთქვაც ნორმალური იყო, გამძლეობაც და დიდად არც დაღლა მეტყობოდა.

შეიძლება, ის შეფერხება კარგიც იყო, რადგან სხვანაირ, სპეციფიკურ ვარჯიშებს ვაკეთებდი, უფრო გამძლეობაზე, ელასტიკურობაზე, სუნთქვაზე ორიენტირებულს. თან იქ მეორე ფეხი შეკრების ბოლოს ვიტკინე და მზადება არც გამიცდენია. საბედნიეროდ, ახლა იმ დაზიანებების კვალიც აღარაა დარჩენილი.

ოლიმპიადაზე პირველად ვიჭიდავებ, მაგრამ ჯერჯერობით მშვიდად ვემზადები, ემოციურად დატვირთული არ ვარ. არც იმაზე ვფიქრობ, რომ ეს განსხვავებული ტურნირია და ნეტავ, როგორ იქნება-მეთქი. ვემზადები ჩვეულებრივად და მოსაგებად ვარ განწყობილი. ვნახოთ, რა იქნება. ვიცი, რომ ფავორიტად მიმიჩნევენ, მაგრამ ეს, პირიქით, იქნებ სტიმულიცაა. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტორი არ მთრგუნავს. ეს შემაფერხებელი უფრო ახალგაზრდებში იყო, როცა პარალელურად ორ გუნდში გამოვდიოდი. ოლიმპიადაზე მთავარ კონკურენტად აზერბაიჯანელ მსოფლიოს ჩემპიონ **შარიფ შარიფოვს** მივიჩნევ, რომელსაც კარიერაში არასოდეს შევხვედრივარ. შარიფოვის შემდეგ რუს **ურიშევსა** და უზბეკ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ **ანზორ სოხიევს** დავასახელებ. ცხადია, სხვებიც ძლიერები არიან, მაგრამ ამ სამეულს გამოვარჩევ. ბოლო შეკრებაზე აქცენტს სისწრაფესა და ამგვარ ფაქტორებზე გავამახვილებთ, დატვირთული ვარჯიში არ მექნება.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი

# გამარჯვებულებს ბოლო ტური გამოავლენს

ფოთში დღეს დამთავრდება სახელოვანი ქართველი დიდოსტატის - **ნანა ალექსანდრიას** ტრადიციული მე-7 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც მთავარი პრიზებისთვის უფროსებთან ერთად 8-12 წლის გოგო-ბიჭებიც იბრძვიან.

ღია ტურნირში 7 ტურის შემდეგ 6,5 ქულით ერთპიროვნულად გიგა ყუფარაძე მეწინავეობდა. 4 მოჭადრაკე მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა, 5 მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა ჰქონდა. მე-8 ტურში მათი შეხვედრები ასე დამთავრდა: დაზავდნენ გიგა ყუფარაძე - დავით მალალაშვილი, მაია ლომინეიშვილი - არმენ ჰაირაპეტიანი (სომხეთი), ზურაბ ჯავახაძე (6) - ჰოვიკ აირაპეტიანი (5,5), ხოლო სარგის მანუკიანმა (სომხეთი, 5,5) ზაურ მამადოვი (აზერბაიჯანი, 5,5) დაამარცხა, დავიდ კალაშიანმა (სომხეთი, 5,5) - მაკა ფურცელაძე (5,5).

ბოლო ტურის წინ: ყუფარაძე - 7, მალალაშვილი, ლომინეიშვილი, არმენ ჰაირაპეტიანი, ჯავახაძე, მანუკიანი, კალაშიანი - 6,5-6,5 ქულა. დღეს მე-9 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ჯავახაძე-ყუფარაძე, მალალაშვილი-ლომინეიშვილი, ა. ჰაირაპეტიანი-კალაშიანი, ჰ. ჰაირაპეტიანი-მანუკიანი.

**8-წლიან** გოგონებში დიანა ლომაიას წინსვლა მე-7 ტურში ელენე იოსელიანმა შეაფერხა. ელენე გაბესკირიამ კი თათევიკ ადამიანი (სომხეთი) დაამარცხა და ქულებით ლომაიას გაუთანაბრდა. მე-8 ტურში ორივე ლიდერმა გაიმარჯვა: გაბესკირიამ ელენე ცომაიას მოუგო, ლომაიამ კი თეკლე ბეჭვაიას სძლია. ბოლო ტურის წინ ორივეს 7-7 ქულა აქვს. იოსელიანმა ლილე გუმბერიძესაც აჯობა და 6 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. დღეს ბოლო ტურში საპრიზო ადგილების ბედს ეჰენ გევორქიანი (სომხეთი) - ელენე გაბესკირიას, დიანა ლომაია - მარტა ქათამაძის, ელენე იოსელიანი - თეკლა ვადაქარიას შეხვედრათა შედეგები გადაწყვეტს. ამ ასაკის ბიჭებში ზედიზედ რვა გამარჯვება მოიპოვა ევროპის თასის მფლობელმა ნიკოლოზ კაჭარავამ. გუშინ მან მონაგარი 2 ქულით გაიმდიდრა - თევდორე ნადარეიშვილი და რაფი ხაზარიანი დაამარცხა. ჩვენებურს არც სომეხი გორ გრიგორიანი ჩამორჩა - გიორგი მესხიას და საბა ლომსაძეს სძლია და 8 ტურის შემდეგ 7 ქულას მოუყარა თავი. 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს დავით გაბუნია, ახმად ახმადზადე (აზერბაიჯანი) და გიორგი მესხია იყოფენ. კაჭარავას მთავარი პრიზის მოსაპოვებლად ბოლო ტურში გაბუნიასთან შეხვედრაში ყაიმიც ყოფნის.

**10-წლიან** გოგონებში ვადამდე შეძლო სხვებისთვის მიუწვდომელი ყოფილიყო ანასტასია სიდამონიძეს, რომელმაც მე-7 ტურში აზერბაიჯანელი ეითაჯ ჰეიდაროვა დაამარცხა და 7 ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობდა, მაგრამ მე-8 ტურში თეთრი ფიგურებით ანი მიქაძესთან წააგო და პირველობის შანსი ამ უკანასკნელსაც გაუჩნდა.

ბიჭებში 7 ქულით ნიკოლოზ პეტრიაშვილი დაწინაურდა (მე-8 ტურში მან ნიკოლოზ ჯანელიძეს სძლია), რადგან 6,5-ქულიანმა მათე თოდაშვილმა დავით კამკიასთან წააგო. ბოლო ტურში საპრიზო ადგილების ბედს ოთხი შეხვედრა გადაწყვეტს: გორ გრიგორიანი (სომხეთი, 6) - ნიკოლოზ პეტრიაშვილი (7), მათე თოდაშვილი (6,5) - გიორგი იმნაძე (5,5), დავით კამკია (6) - დავით ქვარცხავა (5,5), ანტონ ნადირაძე (6) - გორ მელქონიანი (5,5).

**12-წლიან** გოგონებში მთავარი პრიზის გათამაშება სტუმრებმა საშინაო საქმედ აქციეს: 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულით ერევნელი მარიამ ავეტისიანი მეწინავეობს, ნახევარი ქულით მას ანი ივანიანი (სომხეთი) ჩამორჩება. მესამე ადგილზე მყოფ მარიამ დოლიძეს მხოლოდ 5,5 ქულა და ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი შერჩა.

ბიჭებში შვიდი ტურის შემდეგ 6 ქულით გურამ კოკაია მეწინავეობდა, მაგრამ გუშინ თეთრი ფიგურებით გურამ ჭელიძესთან წააგო. ასევე თეთრებით დამარცხდა 5,5 ქულით მეორე ადგილზე მყოფი დავით გვენეტაძე - მას არმენაკ ნაზარიანმა (სომხეთი) აჯობა. აშოტ ფარვანიანმა (სომხეთი) კოკა ბუკიას გააჩერებინა საათი. ამდენად, ბოლო ტურის წინ ოთხმა მოჭადრაკემ მოაგროვა 6-6 ქულა. ესენი არიან გურამ ჭელიძე - აშოტ ფარვანიანი, არმენაკ ნაზარიანი - გურამ კოკაია. უძლიერესიც მათ შეხვედრებში გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

# მესამედაც დამარცხდა




მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკისა (რუსეთი) და მსოფლიოს ჩემპიონ ჟუ ჩენის (ყატარი) უარის შემდეგ ფიდემ ქალთა გრან-პრის გათამაშების მე-4 ეტაპში მათ ნაცვლად ქართველი დიდოსტატი **ნინო ხურციძე** და ერევნელი ლილით მკრტიჩიანი ჩართო, თუმცა სომხურ ჯერმუკში მიმდინარე ბატალიები ჩვენებურისთვის ჯერჯერობით უიღბლოდ მიმდინარეობს. ხურციძემ გუშინ ზედიზედ მესამე პარტია წააგო - ამჯერად თეთრი ფიგურებით 42-ე სვლაზე ჩინელ ჟაო სიუს დანებდა. მისთვის უჩვეულოდ თამაშობს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) - პირველ ტურში იგი ასპარეზობის ერთ-ერთ აუტსაიდერ ბათჰუიაგ მონგონთუულს დაუზავდა, გუშინ კი თანამემამულე ცზიუ ვენძიუნს შეუთანხმდა ყაიმზე, თანაც თეთრი ფიგურებით. ასევე მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს რუსი ნადეჟდა კოსინცევა და ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა). ზედიზედ მეორე პარტია წააგო ლილით მკრტიჩიანმა - ჩინელ ლუფეი რუანთან, სამაგიეროდ, მისმა თანამემამულე ელინა დანიელიანმა პირველი მარცხი აგემა ინდოელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ჰამფი კონერუს. ეკატერინა კოვალევსკაიამ (რუსეთი) 22-ე სვლაზე (!) ბათჰუიაგ მონგონთუული (მონგოლეთი) დაამარცხა.

სატურნირო მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ: ვენძიუნი, რუანი - 2,5-2,5, კონერუ, ჰოუ იფანი, კოვალევსკაია, ლაგნო - 2-2, დანიელიანი, კოსინცევა - 1,5-1,5, ჟაო სიუ - 1, მონგონთუული, მკრტიჩიანი - 0,5-0,5, ხურციძე - 0 ქულა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუ - კატერინა ლაგნო, ბათჰუიაგ მონგონთუული - ნადეჟდა კოსინცევა, ლილით მკრტიჩიანი - ეკატერინა კოვალევსკაია, ცზიუ ვენძიუნი - ლუფეი რუანი, ჰამფი კონერუ - ჰოუ იფანი, ნინო ხურციძე - ელინა დანიელიანი.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ფინალები უჩვენოდ

ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** შვედეთის 220.000-იანი ტურნირზე წყვილთა თანრიგში რუს ვალერია სოლოვიოვასთან ერთად მხოლოდ პირველი ბარიერი გადალახა. მართალია, სტარტზე მე-3 ნომრად განთესილ დარია ჯურაკისა (ხორვატია) და კატალინ მაროშის (უნგრეთი) დუეტს სძლია, მაგრამ მეოთხედფინალში სანდრა კლემენტცისა (ავსტრია) და ტატიანა მალეკის (გერმანია) წყვილთან სამ სეტში დამარცხდა (3:6, 7:5, 5:10) და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანის 25.000-იან ტურნირს სამი თბილისელი ჩოგბურთელიდან გუშინდლამდე მხოლოდ ერთი შემორჩა - **ოქსანა კალაშნიკოვა.** იგი რუს მარტა სიროტკინასთან ერთად წყვილთა შორის ნახევარფინალში გავიდა, იქ კი ლუსიკა კუმკუმისა და ვარაჩაია ვონგტინჩაის (ტაილანდი) დუეტს დანებდა - 4:6, 6:2, 6:10.

იტალიის ქალაქ მოდენაში ვაჟთა 15-ათასიან საერთაშორისო ტურნირზე 18 წლის **ალექსანდრე მეტრეველმა** საკვალიფიკაციოში რუმინელ ვასილი ანტონესკუსა (4:6, 6:4, 6:3) და იტალიელ დავიდე მელჩიორეს (7:5, 6:2) სძლია, ძირითადი ბადის სტარტზე კი იოლად აჯობა მასპინძელ ლუკა პანკალდის - 6:0, 6:0. მე-2 წრეში მე-2 ნომრად განთესილ რიკარდო სინიკროპის (იტალია) დაუპირისპირდება

**ვაჟა დანელია**

# ანდამატის თასზე

ზაფხულობით დაბა გრიგოლეთში ტრადიციად იქცა ჩოგბურთელთა ტურნირი მოზარდებში „ანდამატის თასზე“. ამჯერად შეჯიბრება (მთავარი მსაჯი **ა. მალაიანცი**) ორ ასაკში გაიმართა. 16-წლიანთა ფინალში თბილისელმა **ირაკლი სულაბერიძემ** თანაქალაქელი **გიორგი მელითაური** დაამარცხა და მთავარი პრიზი მოიპოვა. მესამე ადგილი ოზურგეთელ **ირაკლი კაცაძეს** ერგო. 12-წლიანელებში ერევნელმა **ოვანეს მადანიანმა** აჯობა ყველას - გადამწყვეტ პაექრობაში თბილისელ **ლუკა სულაბერიძეს** სძლია.

**ვაჟა დანელია**

● წყალხტომა




# გუჯაბიძის ბრინჯაო

სოფიაში გუშინ დამთავრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. 19-წლამდელთა შორის 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში **ალექსანდრე გუჯაბიძემ** (იგი ცნობილი ალპინისტის - **ბიძინა გუჯაბიძის** ვაჟია) 369 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 415 ქულით პირველი იყო რუსი **ნესტორ მეჭდევი,** ხოლო 403 ქულით მე-2 ადგილი მასპინძელ **ბოიარ სავოვს** ერგო.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გუჯაბიძემ მე-5 ადგილი დაიკავა, 16-წლიანებში **თამარ სიჭინავა** მე-6 ადგილით დაკმაყოფილდა. 24-26 ივლისს ჩვენი სპორტსმენები **ირაკლი ბართაიას** ხელმძღვანელობით რომის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

## რაგბი

● შვიდკაცა რაგბი

# ხუთეული მსოფლიოსთვის საკმარისია

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები პორტუგალიის ქალაქ ელგარვეში დღეს, 2013 წელს მოსკოვში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.**

„შვიდკაცა ბორჯღალოსნები" აქ B ჯგუფში საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის ნაკრებებთან ერთად ითამაშებენ. ამ გუნდების გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად პორტუგალიის, უკრაინის, იტალიის, ლიტვის, ესპანეთის, შოტლანდიის, ჰოლანდიისა და რუმინეთის შვიდკაცა გუნდები იბრძოლებენ.

ჯგუფური ტურნირის შემდეგ მეოთხედფინალში ორ-ორი მოწინავე და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებს. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს პირველი ხუთი გუნდი მიიღებს.

საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში ერთი კვირით ადრე ჩავიდა, რათა ადგილზე ივარჯიშოს და იქაურ კლიმატს შეეგუოს. მწვრთნელებმა **კახა ალანიამ** და **პალიკო ჯიმშელაძემ** ტურნირზე სასპარეზოდ 12 მორაგბე იახლეს, რომელთაგან ხუთი საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეა. ესენია: **მერაბ შარიქაძე** (ჰართფური), **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი), **მერაბ კვირიკაშვილი** (სენ ჟუნიენი), **ლაშა ხმალაძე** (ლელო) და **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო).

დღეს „შვიდკაცა ბორჯღალოსნები" ჯგუფური ტურნირის ორ შეხვედრას გამართავენ გერმანიისა და ბელგიის ნაკრებებთან. ორივე მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდი მეოთხედფინალის საგზურს გაინაღდებს.

საქართველოს ნაკრების მთავარი მეტოქეები პორტუგალიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და შოტლანდიის ნაკრებები არიან. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უკვე მოიპოვეს ინგლისისა და უელსის ნაკრებებმა. რუსეთის შვიდკაცა რაგბის გუნდი კი, როგორც მასპინძელი, ავტომატურადაა დაშვებული.

**საქართველოს ნაკრები:** ბექა ბიწაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (ჰართფური), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ირაკლი გეგენავა, ლაშა ხმალაძე, ბაჩანა კოლელიშვილი (სამივე-ლელო), გიორგი ფრუიძე (აია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), შალვა მახარაშვილი (ბათუმი XV).

**A ჯგუფი:** პორტუგალია, უკრაინა, იტალია, ლიტვა.

**B ჯგუფი:** საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია.

**C ჯგუფი:** ესპანეთი, შოტლანდია, ჰოლანდია, რუმინეთი.

● ლეგიონერები

# ქართული ანკლავი მოსკოვის სპარტაკში

**რუსეთის სარაგბო ჩემპიონატში ქართველი ლეგიონერები მუდამ თამაშობდნენ. მეტიც, რუსებს ისე გაუჭირდათ, რომ სამ ქართველ მორაგბეს მოქალაქეობა მიანიჭეს და ეროვნულ ნაკრებში ათამაშებენ. თუმცა, ის, რაც რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე მოსკოვის „სპარტაკში" ხდება, უპრეცედენტო ამბავია.**

სარაგბო კლუბი მოსკოვის „სპარტაკი" რუსეთის რაგბი ლიგის ჩემპიონატში ასპარეზობდა, მანამდე, სანამ 2008 წელს მის სათავეში ქართველები **დუგლას კავთელაშვილი** და **მამუკა ლოსაბერიძე** მოვიდოდნენ. კავთელაშვილი წარსულში ცნობილი ქართველი მწვრთნელია, რომელთანაც საბჭოთის ხანაში ქუთაისის „აიას" წარმატებები უშუალოდაა დაკავშირებული. ლოსაბერიძე კი მისი შეგირდია, რომელიც იმ პერიოდში „აიაში" ასპარეზობდა.

მოსკოვის „სპარტაკის" ქართველმა ხელმძღვანელებმა გუნდი რაგბი ლიგიდან რაგბიში გადაიყვანეს და წლეულს რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რვა ტურის შემდეგ ორი გამარჯვებით მე-7 ადგილზე არიან.

აღსანიშნავია, რომ სპარტაკელთა რიგებში 12 ქართველი თამაშობს, რომელთაგან შვიდს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. აი ისინიც: **ბექა ადანაია, ზურაბ გოგლიჩაძე, დავით დახუნდარიძე, გოდერძი ჯოგლიძე, თორნიკე ძაგნიძე, ირაკლი კვანტიძე, პავლე კვერნაძე, გიორგი მინაძე, ზურაბ თუთბერიძე, მამუკა ხეჩიკოვი, დავით შარაშენიძე** და **ზურაბ ერისთავი**.

### რუსეთის ჩემპიონატი

1. ენისეი - 39 ქულა, 2. კრასნი იარი - 39, 3. ვვა - 34, 4. სლავა - 19, 5. სმენა - 16, 6. ფილი - 12, 7. სპარტაკი - 10, 8. ბულავა - 10, 9. პენზა - 9, 10. აგროუნივერსიტეტი - 9.



მოსკოვის სპარტაკი

● ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლ ბლექსი ტრადიციას არღვევს

**ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა შესაძლოა დაარღვიოს საუკუნოვანი ტრადიცია და ამ ქვეყნის ნაკრების კვართზე ერთ-ერთი სპონსორის ლოგო გამოჩნდეს.**

ცნობილია, რომ „ოლ ბლექსი" ერთადერთი გუნდია მსოფლიოში, რომელიც მაისურზე სპონსორის რეკლამას არ ათავსებს. ეს ტრადიცია სათავეს შორეული 1880 წლიდან იღებს. ახალი ზელანდიის რაგბის კავშირი თავდაპირველად უარს ამბობდა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე. თუმცა იქაურმა მედიამ გამოიძია და დაადგინა, რომ მოლაპარაკება ამერიკულ სადაზღვევო კომპანია AIG-ისთან მიმდინარეობს.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **სტივ ტიუმ** სწორედ ამის შემდეგ გამოთქვა კომენტარის სურვილი:

*„სავსებით ნორმალურია, რომ ჩვენი ორგანიზაცია მოლაპარაკებას აწარმოებს რამდენიმე კომპანიასთან სპონსორობის თაობაზე. დეტალებს, ცხადია, ვერ განვაცხადებთ, რადგან ჯერ საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ არის.*

*ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ადიდასთან 2019 წლამდე, რაც ჩვენს რაგბის ასულდგმულებს."*

არაოფიციალურად კი უკვე ცნობილია, რომ ამერიკულმა კომპანიამ ახალზელანდიელები საკმაოდ სარფიანი, ხუთწლიანი ხელშეკრულების დადებაზე დაითანხმა. თუმცა ამას ოფიციალურად არავინ ადასტურებს.

რაც შეეხება თავად AIG-ს, ეს კომპანია 2006-2010 წლებში საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის" სპონსორი იყო. თუმცა საყოველთაო ეკონომიკური კრიზისის დროს, კომპანიას სახელი გაუფუჭდა, ის საპენსიო ფონდთან მაქინაციებში დაადანაშაულეს და იძულებული გახდა სახელი გამოეცვალა. ბოლო დრომდე ამ ორგანიზაციას „Chartis" ერქვა და ძველი სახელწოდება ერთი კვირის წინათ დაიბრუნა.

ერთი სიტყვით, დაარღვევენ თუ არა ტრადიციას ახალზელანდიელები, უახლოეს დღეებში გაირკვევა.

# დიდი ინგლისელები დიდების დარბაზში

**კრის რობშო, მარტინ ჯონსონი, პეტ ლამი და უორენ გეთლენდი** ინგლისური რაგბის დიდების დარბაზში შეიყვანეს, იმ წვლილის გამო, რაც ამ პიროვნებებს რაგბის განვითარებაში აქვთ შეტანილი.

რობშო დღესაც „ჰარლიქუინზის" კაპიტანია, ჯონსონი ინგლისის ნაკრებისა და „ლესტერ ტაიგერზის" კაპიტანი იყო, ლამი „ნორსჰემპთონის" ღირსებას იცავდა, გეთლენდი კი „ვოსფს" თავკაცობდა. ისინი დიდების დარბაზის სიმბოლოს - შავ ჰალსტუხს მიიღებენ.

ამასთან ერთად, ინგლისური რაგბის აღმასრულებელმა დირექტორმა, **მარკ მაკფერტიმ** განაცხადა, რომ:

*„აუცილებლად უნდა შევადგინოთ სია იმ მორაგბეებისა, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 1997-98 წლების სეზონის შემდეგ. ჩვენ ვაცნობებთ კლუბების ხელმძღვანელებს იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც მოთამაშეების შერჩევისას უნდა გაითვალისწინონ. ვფიქრობთ, საკმაოდ ვრცელ სიას მივიღებთ".*

# ქირვანი ბლუზში დანიშნეს

**ახალი ზელანდიის ნაკრების ლეგენდარულ გარემარბ ჯონ ქირვანს, რომელიც ბოლოს იაპონიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო, ახლახან ზე რაგბის გათამაშებაში მოასპარეზე ოქლენდის „ბლუზი" ჩააბარეს.**

47 წლის ქირვანმა ამ პოსტზე **პეტ ლამი** შეცვალა, რომელიც გუნდს ოთხი სეზონი ხელმძღვანელობდა. ახალი მწვრთნელი ოქლენდურ გუნდს ორი წლის განმავლობაში უთავკაცებს.

პეტ ლამის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი, „ბლუზის" კატასტროფული სეზონი გახდა. ოქლენდელებმა, რომლებიც ფავორიტებად ითვლებოდნენ, ზე რაგბის გათამაშებაში ყველა ახალზელანდიურ გუნდზე უარესი შედეგი აჩვენეს და საბოლოოდ მე-12 ადგილს დასჯერდნენ.

ქირვანი მშობლიურ კლუბში საქმიანობას 12 აგვისტოდან შეუდგება. მან „ბლუზის" რიგებში 142 მატჩი გამართა, ეროვნულ გუნდში კი 63 კეპი მოიხვეჭა. მორაგბის კარიერის დასრულების შემდეგ ჯონი 2001 წელს ოქლენდური გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, მერე იტალიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში კი იაპონიის ნაკრებს მოძღვრავდა. უნდა ითქვას, რომ სანაკრებო ასპარეზზე, ქირვანმა, როგორც მწვრთნელმა, თავი ვერაფრით გამოიჩინა.

*„ძალიან მიხარია, რომ „ბლუზის" გაწვრთნის საშუალება მომეცა. დარწმუნებული ვარ, მალე ამ გუნდის ისტორიაში ახალი ერა დაიწყება. დიდი მიღწევებისა და ნოვაციების დრო დადგება.*

*ამასთან ერთად, მოხარული ვარ, რომ შინ, ოქლენდში დავბრუნდი, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წელიწადი საზღვარგარეთ ვიმუშავე. სარაგბო კარიერა ამ რეგიონში დავიწყე და ვამაყობ, რომ ოდესღაც „ბლუზის" კვართს ვატარებდი. აქ ძალიან ბევრი სამუშაო დამხვდა, მაგრამ სირთულეების არ მეშინია და მზად ვარ ნებისმიერი წინააღმდეგობის დასაძლევად".* - თქვა ჯონ ქირვანმა.

„ბლუზის" აღმასრულებელმა დირექტორმა **გარი ვეითონმა** ქირვანს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველას მისი დიდი იმედი აქვს.

*„წლეულს „ბლუზს" უმძიმესი სეზონი ჰქონდა. ჩვენი ქომაგები მოუთმენლად ელიან, როდის ითამაშებს გუნდი დიდ რაგბის. მიზანი ჯონისთვის კარგადაა ცნობილი და ჩვენ წარმატებებს მალე ველოდებით. ცხადია, ჯონი სასწაულმოქმედი არ არის, თუმცა საკმარისი გამოცდილება აქვს საიმისოდ, რათა „ბლუზს" ძველი დიდება დაუბრუნოს.*

*ძალიან კარგად გვესმის პეტ ლამისიც. მას ახლა ურთულესი პერიოდი აქვს ცხოვრებაში. ლამი დიდი ხნის განმავლობაში ერთგულად ემსახურა „ბლუზს" და ამისთვის მხოლოდ მადლობას იმსახურებს"* - თქვა მან.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

london 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წლის შემდეგ

## როგორ იქმნებოდა და თამაშობდა 1992 წლის დრიმ თიმი

**გაგრძელება**

ნაწილი მესამე. მონტე კარლოს პრინცები

**ბიჭები მაიკლს ალიზიანებდნენ, რადგან ის ყოველ დილით გოლფს თამაშობდა**

ამერიკის ჩემპიონატზე ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ, "დრიმ თიმმა" მალე მონტე კარლოსკენ აიღო გეზი – სავარჯიშოდ და კაზინოში სათამაშოდ. პროგრამაში აგრეთვე გოლფიც იყო დაგეგმილი.

**კრეიგ მილერი (აშშ-ის საკალათბურთო ასოციაციის PR-დირექტორი):** მახსოვს, იმ სასტუმროს გენერალურმა მენეჯერმა, სადაც ჩვენ უნდა გავჩერებულიყავით, ასეთი რამ მითხრა: "ეს მონტე კარლოა. ეს არის ადგილი, სადაც მეფეები და დედოფლები ჩამოდიან, აგრეთვე როკვარსკვლავები. კალათბურთზე მელაპარაკებით? არ მგონია, რომ ამან ხალხზე შთაბეჭდილება მოახდინოს". ჩვენ ვუპასუხეთ: "კარგით, ჩვენ ამას გავითვალისწინებთ". ჩამოფრენის ღამეს უამრავი ხალხი დაგვხვდა - ისინი ყვიროდნენ და გვესალმებოდნენ. არ იყო არანაირი დაცვა, არანაირი კონტროლი. მე ის მენეჯერი შევამჩნიე, რომელიც მზად იყო დაგვნებებოდა და ხელები მაღლა აეწია. მე ყოველთვის ირონიით ვიხსენებ მის ფრაზას: "ეს მონტე კარლოა! ჩვენთან ყოველთვის მეფეები, დედოფლები და როკვარსკვლავები ჩამოდიან!"

**კიმ ბოჰუნი (NBA-ის საერთაშორისო განყოფილების უფროსი):** მონაკოს თავად რანიესთან და პრინც ალბერთან ერთად ვივახშმეთ. საკმაოდ მკაცრი პროცედურა აღმოჩნდა. მაგალითად, თქვენ არ შეგეძლოთ რანიეზე ადრე ჭამის დაწყება... ასეთი მაგალითი მრავლად იყო. ჩვენ ეს ყველაფერი გუნდთან ერთად ვახშმის წინ განვიხილეთ და ბევრი შოკირებული დარჩა ასეთი წესებით.

**მილერი:** მათ გვითხრეს, რომ თუ პრინცი თავის ჩანგალს მაგიდაზე დადებს და ჭამას შეწყვეტს, ეს დანარჩენებაც უნდა გააკეთონ. მაშინ ჩარლზ ბარკლიმ თქვა: "იმედია, ის მაშინ გაჩერდება, როცა მე ჭამა დამთავრებული მექნება, რადგან იქ ყველაფრის მირთმევას ვაპირებ".

**კარლ მელოუნი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** მე წარმოშობით სოფლიდან ვარ. ჩვენი ეტიკეტი საკმაოდ მარტივია და შემდეგში მდგომარეობს: თუ ვინმე ამბობს: "მომაწოდეთ ლობიო", შენ იღებ და აწვდი ამ ადამიანს კერძს. პრინცს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ეს წესები გამეცნობიერებინა. ეს ჭიქა აქ უნდა იდგეს, ჩანგლის ადგილი სხვაგანაა... იცით რა? მომეცით მშვიდად ვახშმობის საშუალება. ძალიან არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, თან მდიდრულ კოსტიუმში ვიყავი გამოწყობილი.

**პი ჯეი კარლესიმო (აშშ-ის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე):** მონტე კარლოში ვარჯიშები ლეგენდარული იყო. აქ არ გვყავდა სტუდენტური გუნდები, ამიტომაც პირველად ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ.

**მელოუნი:** მწვრთნელები ყოველთვის ცალ-ცალკე აყენებდნენ მეჯიქსა და მაიკლს.

**მეჯიქ ჯონსონი (აშშ-ის ნაკრების გამთამაშებელი):** სწორედ იმ ვარჯიშების დროს ჩავატარე ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო მატჩები, რადგან ყველა ამბობდა: "მოდით, კიდევ უფრო უკეთ ვითამაშოთ".

**ლენი უილკენსი (აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე):** ჩვენი ბოლო მატჩის დროს, მეჯიქის გუნდი უგებდა მაიკლის გუნდს. ბიჭები ჯორდანს ალიზიანებდნენ, რადგან ის ყოველ დილით გოლფს თამაშობდა. ამან მასზე იმოქმედა. იმ მომენტში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

**როდ ტორნი (აშშ-ის ნაკრების სასელექციო შტაბის წევრი):** ის გაბრაზებული იყო და მუდმივად აგდებდა კალათში, როგორც კი ბურთს მიიღებდა. ერთხელ გარღვევაზე წავიდა და მსაჯებმა ძალიან საეჭვო ჯარიმა დააფიქსირეს. მეჯიქმა პასუხად დაიყვირა: "ეს უბრალოდ სასაცილოა! ყველაფერია ისეა, როგორც NBA-ში! ყოველთვის მასზე იძლევით ჯარიმას!"

**იან ჰაბარდი (Newsday-ის საკალათბურთო მიმომხილველი):** მეჯიქი ამბობდა: "ეს თამაში ჩიკაგოს არენაზე მატჩს ჰგავს". ეს იმიტომ, რომ ყველა საკამათო ეპიზოდს მაიკლის სასარგებლოდ წყვეტდნენ. ჯორდანი პასუხობდა: "რა უნდა ვთქვა, 80-იანი წლები დასრულდა, დადგა 90-იანები".

**ჯონსონი:** მაიკლი კლაიდის წინააღმდეგ იცავდა თავს, კლაიდი მაიკლს ეთამაშებოდა. დევიდ რობინსონი პატრიკ იუინგის წინააღმდეგ იყო და პირიქით. კარლ მელოუნი ჩარლზ ბარკლის შეჩერებას ცდილობდა... ასე ვთამაშობდით. რაღაც მომენტში ყველანი სერიოზულ აზარტში შევდიოდით.

**უილკენსი:** როცა სიტუაცია ძალიან იძაბებოდა, იძულებულნი ვიყავით ჩავრეულიყავით და პატარა შესვენება მოგვეწყო.

**ჰაბარდი:** მოგვიანებით, როცა ბარკლი ხასიათზე არ იყო, ასეთი რამ თქვა: "მაიკლი ერთადერთი დიადი მოთამაშე არ არის ჩვენს გუნდში!" და კიდევ რამდენიმე მსგავსი ტიპის ფრაზა დაამატა. მაიკლს საშუალება მივეცი მარტო დარჩენილიყო და მომეჩვენა, რომ ის ოდნავ შეცბუნებული იყო იმ ეფექტით, რასაც გუნდში არსებულ ატმოსფეროზე ბარკლი ახდენდა. მან მკითხა: "როგორ არის ის ბიჭი?" მას მხედველობაში ბარკლი ჰყავდა. მე ვუპასუხე: "თავად მიხვდები, ცოტათი განაწყენებულია". მაიკლმა თქვა: "გაუვლის". ამ დროს ის ნამდვილი ჯორდანი იყო.

**ჩარლზ ბარკლი (აშშ-ის ნაკრების მძიმე ფორვარდი):** მომისმინეთ, იმ გუნდში "ყველა ვარსკვლავის" დონის 10 მოთამაშე იყო, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ. და ნორმალურია, როცა თითოეული ჩვენგანი საკუთარ მოსაზრებას იცავდა. ყველას ჰქონდა გამარჯვებულის მენტალიტეტი.

**კარლესიმო:** ეს ბიჭები მართლაც ნამდვილი სპორტსმენები იყვნენ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. შეუძლებელი იყო მათთან ყოველდღე ერთი საათი მუშაობა მთელი თვის განმავლობაში, რადგან თითოეული მათგანი მზად იყო მოეკლა მეორე. NBA-ის ჩვეულებრივ გუნდში, მაქსიმუმ ორი ასეთი მოთამაშეა. ჩვენთან კი ასეთი 12 იყო. 12 ბიჭი, რომლებიც ვერ იტანდნენ წაგებას ორმხრივ თამაშში და უბრალო ვარჯიშის დროსაც კი.

ნაწილი მეოთხე. ცხოვრება ბარსელონაში

**"ისინი "ბითლზებივით" იყვნენ. ნამდვილი როკვარსკვლავები"**

დადგა ბარსელონაში გამგზავრების მომენტი. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, "დრიმ თიმის" წევრები არა ოლიმპიურ სოფელში, არამედ სასტუმრო "ამბასადორში" გაჩერდნენ.

**მილერი:** ჩვენ გვყავდა ვერტმფრენი, რომელიც აეროპორტიდან სასტუმრომდე მიგვაცილებდა. ერთ-ერთ მცველს, რომელიც მოტოციკლით მოგვყვებოდა, ჩანთაში იარაღი ედო.

**მარვ ალერტი (NBC-ის კომენტატორი):** როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ისინი "ბითლზებივით" იყვნენ. ნამდვილი როკვარსკვლავები.

**პატრიკ იუინგი (აშშ-ის ნაკრების ცენტრი):** დიახ, ჩვენ "ბითლზებივით" ვიყავით, ნამდვილი როკვარსკვლავები.

**ბრენფორდ მარსალისი (მუსიკალური ჯგუფის ლიდერი, ჯეი ლენოსთან ერთად "საღამოს შოუს" წამყვანი"):** ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრება "საღამოს შოუში" მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტი იყო. მახსოვს, ერთხელ იმ სასტუმროს მივადექი, სადაც ჩვენი ბიჭები გაჩერდნენ. ერთ-ერთმა მცველმა მითხრა: "გამარჯობა, სერ! – და სასტუმროში შემიშვა. გამიკვირდა: "ესპანეთში "საღამოს შოუს" უყურებენ!" სასტუმროში ნაცნობს შევხვდი, რომელიც NBA-ის სტრუქტურაში მუშაობს. მან მკითხა: "აქ როგორ შემოხვედი?" მე ვუპასუხე: "თავად არ ვიცი. ერთმა ნაცნობმა შემომიშვა". ამის შემდეგ, იმ მცველთან, სასტუმროს თანამშრომლები მივიდნენ და ჰკითხეს: "რატომ შემოუშვი ეს მამაკაცი სასტუმროში?" მან თქვა: "ის ხომ მეჯიქის ნათესავია. ასე არ არის?" მას ეგონა, რომ მეჯიქის უმცროსი ძმა ვიყავი.

**დევიდ დუპუი (გაზეთ USA Today-ის კორესპონდენტი):** შეგიძლიათ ილაპარაკოთ რაც გინდათ, მაგრამ ამ გუნდში მთავარი მეჯიქი იყო. ერთხელ, როცა ოლიმპიადა დასასრულს უახლოვდებოდა, ჩვენ Sports Illustrated-ის ჟურნალისტ ჯეკ მაკალუმთან ერთად "დრიმ თიმთან" ფოტოს გადაღება გადავწყვიტეთ, რათა ეს სურათი სამახსოვროდ დაგვეტოვებინა. ჯეკს კარგი ურთიერთობა ჰქონდა კარლ მელოუნთან და ერთ საღამოს მან ჩვენი თხოვნა გადასცა. კარლმა უპასუხა: "ვფიქრობ, ეს არ არის პრობლემა, მაგრამ მაინც რჩევა უნდა ვკითხო მეჯიქს". თუ მეჯიქი იტყოდა "ჰოს", მაშინ შეიძლებოდა ამის გაკეთება, თუ ამბობდა – "არას", მაშინ არაფერი გამოვიდოდა.

**ბრაიან მაკინტაირი (NBA-ის ვიცე-პრეზიდენტი):** ბარსელონაში, ჩემს ნომერში დაახლოებით 80 საკალათბურთო ბურთი იყო და უნდა მეთხოვა მოთამაშეებისთვის, თითოეულზე ავტოგრაფი დაეტოვებინათ. ბერდი ბოლო აღმოჩნდა და მკითხა: "ყველაზე სწრაფად ვინ მოაწერა ხელი?". მე ვუპასუხე: "ყველა დაახლოებით 8-12 წუთში ჩაეტია". ბერდმა თქვა: "მაშინ მე ყველაზე სწრაფად გავაკეთებ. დრო დაინიშნე". მან ყველა ბურთზე ხელი მოაწერა, ბოლო ბურთი მესროლა და მკითხა: "რა დრო გავიდა?" "მხოლოდ ოთხნახევარი წუთი". მან პასუხად დაიყვირა: "არის!" ისინი ყველაფერში ნამდვილი გამარჯვებულები იყვნენ – თავიდან ბოლომდე.

**ბოჰუნი:** მოთამაშეებს ქუჩაში გასვლის დიდი სურვილი არ ჰქონდათ, რადგან იქ ჩვენი ნაკრების მიმართ გადამეტებული ყურადღება იგრძნობოდა. მხოლოდ ბარკლი იყო გამონაკლისი. მას უყვარდა ყურადღება და არ ეშინოდა მის გარშემო დიდი თავყრილობების.

**ბარკლი:** მე უბრალოდ არ ვაპირებდი მუდმივად საკუთარ ოთახში ყოფნას.

**ჰაბარდი:** ბარკლი სასტუმროს ქუჩაზე სეირნობდა და ხალხი მას ეკითხებოდა: "ჩარლზ, რატომ სეირნობ დაცვის გარეშე?" პასუხად ის ორივე მუშტს იღერებდა და ამბობდა: "აი, ჩემი დაცვა!" ჩარლზს მუდმივად თან დაჰყვებოდა ბრბო. ისინი ყვიროდნენ, იღიმოდნენ და ფოტოს გადაღებას ცდილობდნენ. მას ეს მოსწონდა.

**დიუპრი:** ბარკლის საავტორო სვეტი ჰქონდა გაზეთში. ის მატჩების შემდეგ მხვდებოდა და ყველაფერზე საინტერესოდ ჰყვებოდა, მე კი ამას ფურცელზე ვიწერდი. ამბობდა: "შევხვდებით აქ და აქ". მე მივდიოდი დანიშნულ კლუბში და, რა თქმა უნდა, ბარკლი ადგილზე არ მხვდებოდა, სამაგიეროდ, იყო მისი შეტყობინება ფურცელზე, რომ მე უკვე სხვა დაწესებულებაში მივსულიყავი. ასე რომ, საჭირო იყო ყოველ ჯერზე დილის ექვს საათამადე მომევლო დაახლოებით ოთხი ან ხუთი კლუბი, სანამ მას მივაგნებდი. სამაგიეროდ, ის ყოველთვის ტოვებდა მესიჯს.

დასასრული შემდეგ ნომერში





რაფა ნადალი

## ნადალი ლონდონში ვერ მიდის

პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ვერ შეძლებს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას. როგორც BBC იტყობინება, ნადალმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ცუდი ფიზიკური ფორმა დაასახელა. მისი თქმით, ის მზად არ არის ტიტულის დასაცავად.

შეგახსენებთ, რომ ოთხ ივლისს, უიმბლდონის მეორე წრიდან გამოვარდნის შემდეგ, სახელგანთქმულმა ესპანელმა შეისვენა და მთელი აქცენტი ლონდონის თამაშებისთვის მზადებაზე გადაიტანა.

*"დღეს ყველაზე ნაღვლიანი დღეა ჩემს ცხოვრებაში. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი ველოდი იმ დღეს, როცა ოლიმპიადის გახსნაზე ესპანეთის დროშას ჩავიბარებდი. ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ ძალიან ეგოისტური საქციელი იქნებოდა ჩემი მხრიდან, ასეთ მდგომარეობაში რომ წავსულიყავი ოლიმპიადაზე"*, - ამბობს პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი.

რაფამ ივნისში მოიგო როლან გაროსი, უიმბლდონზე კი მეორე წრეში ჩეხ **ლუკაშ როსოლთან** დამარცხდა.

■ ■ ■

გუშინ, ლონდონის ოლიმპიადას კიდევ ერთი ჩოგბურთელი გამოაკლდა – ქალთა ტურნირში ვერ ითამაშებს ესტონელი **კაია კანეპი**. მისი უარის მიზეზი ზურგის ტრავმაა, რომლის გამოც ბალტიისპირელმა უიმბლდონი გამოტოვა.

კანეპის ძირითად ბადეში კოლუმბიელი **მარიანა დუკე-მარინო** შეცვლის.

## ლიტვამ იმედი დაკარგა

ძალოსნობაში ლიტვის ნაკრების მთავარი იმედი **აურიმას დიჯბალისი** ლონდონში ვერ გამოვა დადებითი დოპინგ-სინჯის გამო.

21 წლის სპორტსმენმა ტესტი ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის დროს ჩააგდო. თურქეთში გამართულ კონტინენტის პირველობაზე დიჯბალისმა 94-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ახლა, ლიტველს ეს მედალი ჩამოერთვა და ლონდონშიც ვერ გაემგზავრება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი

# ფრანგი მგლებში არ გაუშვეს

## ლიტველი ტალანტი ტორონტოელი გახდა

„პორტლენდის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ გაეშვას „მინესოტაში“ ფრანგი ფორვარდი **ნიკოლა ბატუმი**. „ბლეიზერსმა“ გაიმეორა „მგლების“ საკონტრაქტო წინადადება და 23 წლის კალათბურთელმა თავის ამჟამინდელ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ღირებულება 46.5 მილიონ დოლარს შეადგენს.

„მინესოტას“ თავისუფალი 14 მილიონი დოლარი აქვს სახელფასო ბიუჯეტში და ის გააგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებისთვის ზრუნვას. კლუბი უახლოეს პერიოდში ოფიციალურად გამოაცხადებს **ბრენდონ როისა** და **ალექსეი შვედის** გაფორმებას, გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა უმიზნებს ფორვარდებს **ჯორდან ჰილსა** და **გრეგ სტიემსმას**, აგრეთვე **კორტნი ლისა** და **რონი ბრიუერს**.

■ ■ ■

ლიტვური კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი, „ლეტუვოს რიტასის“ ცენტრი **იონას ვალანჩიუნასი** ოკეანის გაღმა გადაბარგდა. მან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ტორონტოსთან“. შეგახსენებთ, რომ კანადურმა კლუბმა ლიტველი შარშანდელ დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩია.

*„მოხარულები ვართ ჩვენს გუნდში იონასის მიღებით. „რეპტორზის“ გულშემატკივრები მალე მიხვდებიან, რომ ამ კალათბურთელის ერთწლიანი ლოდინი ამაო არ ყოფილა“*, - ამბობს „ტორონტოს“ გენერალური მენეჯერი **ბრაიან კოლანჯელო**.

ვალანჩიუნასი ამჟამად ლიტვის ნაკრებთან ერთად ლონდონის ოლიმპიადისთვის ემზადება.

### NBA 2012. ტრანსფერები

| მოთამაშე | ყოფილი კლუბი | ახალი კლუბი |
|---|---|---|
| ჯეისონ ტერი | დალასი | ბოსტონი |
| რეი ალენი | ბოსტონი | მაიამი |
| რაშარდ ლუისი | ნიუ ორლეანი | მაიამი |
| ჯერი სტეკჰაუსი | ატლანტა | ბრუკლინი |
| მირზა ტელეტოვიჩი | კახა ლაბორალი | ბრუკლინი |
| სი ჯეი უოტსონი | ჩიკაგო | ბრუკლინი |
| ჯო ჯონსონი | ატლანტა | ბრუკლინი |
| რეჯი ევანსი | კლიპერსი | ბრუკლინი |
| ჯერალდ გრინი | ბრუკლინი | ინდიანა |
| დი ჯეი ოგუსტინი | შარლოტი | ინდიანა |
| იან მაინმი | დალასი | ინდიანა |
| დევინ ჰარისი | იუტა | ატლანტა |
| კაილ კორვერი | ჩიკაგო | ატლანტა |
| ლუ უილიამსი | ფილადელფია | ატლანტა |
| იოჰან პეტრო | ბრუკლინი | ატლანტა |
| ენტონი მოროუ | ბრუკლინი | ატლანტა |
| ჯორდან უილიამსი | ბრუკლინი | ატლანტა |
| დეშოუნ სტივენსონი | ბრუკლინი | ატლანტა |
| ჯეისონ კიდი | დალასი | ნიუ იორკი |
| მარკუს კემბი | ჰიუსტონი | ნიუ იორკი |
| რეიმონდ ფელტონი | პორტლენდი | ნიუ იორკი |
| კურტ ტომასი | პორტლენდი | ნიუ იორკი |
| ნიკ იანგი | კლიპერსი | ფილადელფია |
| კვამე ბრაუნი | მილუოკი | ფილადელფია |
| დერილ უოტკინსი | ნიუ ორლეანი | ფილადელფია |
| დორელ რაიტი | გოლდენ სტეიტი | ფილადელფია |
| კაილ სინგლერი | რეალი | დეტროიტი |
| ვიაჩესლავ კრავცოვი | დონეცკი | დეტროიტი |
| კორი მაგეტი | შარლოტი | დეტროიტი |
| ლენდრი ფილდსი | ნიუ იორკი | ტორონტო |
| კაილ ლოური | ჰიუსტონი | ტორონტო |
| ბენ გორდონი | დეტროიტი | შარლოტი |
| რამონ სეშენსი | ლეიკერსი | შარლოტი |
| ბრენდან ჰეივუდი | დალასი | შარლოტი |
| ტრევორ არიზა | ნიუ ორლეანი | ვაშინგტონი |
| ემეკა ოკაფორი | ნიუ ორლეანი | ვაშინგტონი |
| კელენა აზუბუიკე | დალასი | კლივლენდი |
| გუსტავო აიონი | ნიუ ორლეანი | ორლანდო |
| სამუელ დალემბერი | ჰიუსტონი | მილუოკი |
| ჯერემი ლინი | ნიუ იორკი | ჰიუსტონი |
| ტონი დუგლასი | ნიუ იორკი | ჰიუსტონი |
| ჯოშ ჰარელსონი | ნიუ იორკი | ჰიუსტონი |
| ჯერომ ჯორდანი | ნიუ იორკი | ჰიუსტონი |
| იონ ბროკმანი | მილუოკი | ჰიუსტონი |
| იონ ლოიერი | მილუოკი | ჰიუსტონი |
| შონ ლივინგსტონი | მილუოკი | ჰიუსტონი |
| ფურქან ალდემირი | გალათასარაი | ჰიუსტონი |
| ბარი ფორბსი | ტორონტო | ჰიუსტონი |
| ვიქტორ კლავერი | ვალენსია | პორტლენდი |
| ჯოელ ფრილენდი | უნიკახა | პორტლენდი |
| ჯარედ ჯეფრიზი | ნიუ იორკი | პორტლენდი |
| დენ გაძურიჩი | ნიუ იორკი | პორტლენდი |
| მერვინ უილიამი | ატლანტა | იუტა |
| შენ ფოსტერი | დალასი | იუტა |
| მო უილიამსი | კლიპერსი | იუტა |
| ელტონ ბრენდი | ფილადელფია | დალასი |
| დარენ კოლისონი | ინდიანა | დალასი |
| დანტეი ჯონსი | ინდიანა | დალასი |
| ტადია დრაგიჩევიჩი | იუტა | დალასი |
| კრის კამანი | ნიუ ორლეანი | დალასი |
| ჯეი კროუდერი | კლივლენდი | დალასი |
| ჯარედ კანინგემი | კლივლენდი | დალასი |
| გორან დრაგიჩი | ჰიუსტონი | ფინიქსი |
| ლუის სკოლა | ჰიუსტონი | ფინიქსი |
| ედინ ბავჩიჩი | ფილადელფია | გოლდენ სტეიტი |
| ჯარეტ ჯეკი | ნიუ ორლეანი | გოლდენ სტეიტი |
| ბრენდონ როი | უკლუბოდ | მინესოტა |
| ჩეიზ ბადინგერი | ჰიუსტონი | მინესოტა |
| ჯამალ კროუფორდი | პორტლენდი | კლიპერსი |
| ლამარ ოდომი | დალასი | კლიპერსი |
| გრანტ ჰილი | ფინიქსი | კლიპერსი |
| რაიან ანდერსონი | ორლანდო | ნიუ ორლეანი |
| ბრედ მილერი | მინესოტა | ნიუ ორლეანი |
| ჯეიმს ჯონსონი | ტორონტო | საკრამენტო |
| აარონ ბრუქსი | ფინიქსი | საკრამენტო |
| ჯარედ ბეილისი | ტორონტო | მემფისი |
| ჰაშიმ ტაბიტი | პორტლენდი | ოკლაჰომა |
| სტივ ნეში | ფინიქსი | ლეიკერსი |
| სემიჰ ერდენი | კლივლენდი | ეფესი |
| ჯორდან ფარმარი | ბრუკლინი | ეფესი |

ფორმულა 1


ფერნანდო ალონსო

# სპონსორებითაც ლიდერი

გერმანული პრესის ცნობით, „ფერარის“ პილოტი **ფერნანდო ალონსო** არა მხოლოდ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტია ფორმულა 1-ში, არამედ ყველაზე მეტ შემოსავალს იღებს გარე სპონსორებისგან.

როგორც ირკვევა, გასულ წელს, ესპანელმა დაახლოებით 8 მილიონი ევრო მიიღო თავისი პირადი სპონსორებისგან, რომელთა შორის არიან - Puma, Tag Heuer, Santander...

მეორე ადგილზეა „მერსედესის“ პილოტი **მიხაელ შუმახერი**, რომლის სპონსორული შემოსავალი 5-6 მილიონ ევროს უდრის.

ამ მხრივ, შედარებით „ღარიბია“ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** - მას სპონსორები მხოლოდ 3-4 მილიონ ევროს უხდიან. იგივე მაჩვენებელი აქვს ბრიტანელ **ჯენსონ ბატონს**. რაც შეეხება მეორე ბრიტანელის - **ლუის ჰემილტონის** სასპონსორო ჰონორარებს, ეს თანხა 5 მილიონ ევროს უტოლდება.

# უქმეების ანონსი

მომავალ უქმეებზე ფორმულა 1-ის პილოტებს გერმანიის ჰოკენჰაიმი უმასპინძლებს - მეათე ეტაპით მსოფლიოს ჩემპიონატი ეკვატორს მიაღწევს. რა თქმა უნდა, ადგილობრივი პუბლიკა **მიხაელ შუმახერსა** და **სებასტიან ფეტელს** უქომაგებს, მაგრამ პირველი ორი პოზიცია საერთო ჩათვლაში სხვებს უკავიათ. **მარკ უებერი** აშკარად პროგრესის გზას ადგას, რაც შეეხება ლიდერ **ფერნანდო ალონსოს**, ის საკუთარ ძალებში დარწმუნებულია და მესამე ტიტულზე ოცნებობს.

**გერმანიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - ჰოკენჰაიმი
**წრის სიგრძე** - 4,574 კმ
**წრის რეკორდი** - 1.13,780
(კიმი რაიკონენი, 2004)

**საერთო ჩათვლა**

1. ალონსო (Ferrari) - 129 ქულა
2. უებერი (Red Bull) - 116
3. ფეტელი (Red Bull) - 100
4. ჰემილტონი (McLaren) - 92
5. რაიკონენი (Lotus) - 83
6. როსბერგი (Mercedes) - 75
7. გროსჟანი (Lotus) - 61
8. ბატონი (McLaren) - 50

**გრანპრის განრიგი**

20 ივლისი, 12:00 - I პრაქტიკა
20 ივლისი, 16:00 - II პრაქტიკა
21 ივლისი, 13:00 - III პრაქტიკა
21 ივლისი, 16:00 - კვალიფიკაცია
22 ივლისი, 16:00 - რბოლა

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# უცნაური სამხრეთაფრიკელები

სამხრეთ აფრიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლონდონის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე თავისი გუნდის მედროშედ სკანდალურად ცნობილი მორბენალი ქალი - **კასტერ სემენია** აირჩია.

კომიტეტის თავმჯდომარე **გიდეონ სემმა** განაცხადა, რომ სემენია სამხრეთ აფრიკაში ნებისმიერი სპორტსმენისთვისა და ქალისთვის მისაბაძია. ის გაუმკლავდა ყველა პრობლემას და მისი მაგალითი სტიმულს აძლევს ოლიმპიური ნაკრების ყველა წევრს.

სემენიამ, რომელიც 800 მეტრზე სირბილში გამოდის, ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება 2012 წლის აპრილში მოიპოვა, როცა ყველა ეროვნული და საერთაშორისო ნორმატივი შეასრულა.

კასტერი 2009 წელს, გენდერული სკანდალის შედეგად გახდა საყოველთაოდ ცნობილი. იმ წელს, ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ, მძლეოსანს იმის დამტკიცებამ მოუწია, რომ ის მდედრობითი სქესისაა.

საქმის გარჩევის პროცესში ის დისკვალიფიცირებული იყო და დიდ სპორტში 2010 წლის ივლისში დაბრუნდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ტესტმა დაამტკიცა - სემენია ქალი გახლავთ. დაბრუნების შემდეგ, სამხრეთაფრიკელი მორბენალი მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

სხვათა შორის სემენია პირველი ქალი მედროშეა სამხრეთ აფრიკის ოლიმპიური ნაკრების ისტორიაში.

### ჯონსონი პისტორიუსის წინააღმდეგ

ლეგენდარულმა ამერიკელმა მძლეოსანმა **მაიკლ ჯონსონმა** განაცხადა, რომ სამხრეთაფრიკელმა ამპუტანტმა მორბენალმა **ოსკარ პისტორიუსმა** არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჩვეულებრივი სპორტსმენების ტურნირებში.

*„მე კარგად ვიცნობ ოსკარს და მან იცის ჩემი პოზიციის შესახებ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, იღებს თუ არა ის თავისი პროთეზების წყალობით უპირატესობას. ამიტომაც, მისი მხრიდან არასამართლიანია ჩვეულებრივ ტურნირებში მონაწილეობა.*

*ბევრ ადამიანს უჭირს ჩემი პოზიციის გაგება, რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენზე. მე მას ჩემს მეგობრად მივიჩნევ, მაგრამ წინააღმდეგი ვარ მისი ასპარეზობის. თუმცა საქმე არა პირადად მასში, არამედ წესებშია“*, - აღნიშნა ჯონსონმა.

შეგახსენებთ, რომ პისტორიუსი ოლიმპიადაზე 4x400 მეტრზე ესტაფეტაში მიიღებს მონაწილეობას.



კასტერ სემენია

# სერფერები ოლიმპიადისთვის იბრძოლებენ

ბრაზილიელმა სერფერებმა დაიწყეს მსოფლიო პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს სერფინგის შეყვანას 2016 წლის ოლიმპიადის პროგრამაში. თამაშები რიო დე ჟანეიროში გაიმართება და ბრაზილიელების მოთხოვნაა - სერფინგი საჩვენებელ დისციპლინად იყოს წარმოდგენილი.

სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ასოციაცია სიდნეის 2000 წლის თამაშებიდან მოყოლებული, ლობირებდა ოლიმპიურ პროგრამაში სერფინგის შეყვანას, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მას დღემდე არ მისცა შანსი.

სერფინგის ბრაზილიის ფედერაციამ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე, რომელიც მის ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის სოციალურ ქსელში დევს. აქციას უკვე ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი.

*„რიო დე ჟანეიროში ყველა პირობაა იმისთვის, რომ სერფინგი ოლიმპიურ თამაშებზე იყოს წარმოდგენილი. ჩვენ კარგი ინფრასტრუქტურა გვაქვს, პლაჟები შესანიშნავი ტალღებით და ყველაზე ბედნიერი ადამიანები მსოფლიოში“*, - მიიჩნევს სერფინგის პიონერი რიოში **რიკო დე სოზა**.

მთელ მსოფლიოში არსებობს 20-30 მილიონი სერფერი, რომლებიც 100 ქვეყანაზე მეტს წარმოადგენენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორმატივებით კი სპორტის ოლიმპიურ სახეობას ოთხი კონტინენტის 70 ქვეყანაში უნდა ჰყავდეს პოტენციური მონაწილე. 2009 წელს სერფინგი ახლოს იყო იმასთან, რომ 2016 წლის ოლიმპიურ პროგრამაში ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ მაშინ გოლფსა და რაგბის მიანიჭეს უპირატესობა.

*„სერფინგი - ერთ-ერთია სპორტის იმ სახეობებს შორის, რომლებსაც ადამიანისა და მისი გარემოცვის შეცვლის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნია. სერფინგი არა მხოლოდ სპორტი, არამედ ცხოვრების წესია, რომელსაც დიდი ცვლილებები მოაქვს*, - მიიჩნევს მაღალ ტალღებზე ბრაზილიელი სერფერი **კარლოს ბურლე**. - *მისი შეყვანა ოლიმპიურ პროგრამაში აამაღლებს საუკეთესო ადამიანურ ღირებულებებს: ბუნებასთან კავშირსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას, რასობრივი, სოციალური და კულტურული განსხვავებების მიუხედავად“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# საფრანგეთის ეროვნული გმირი



ტომას ფიოკლერი

ტურისმე-16 ეტაპი რეალური შესაძლებლობა უნდა ყოფილიყო **ვინჩენცო ნიბალისთვის**, რათა მას გარდატეხა შეეტანა საერთო ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლაში. ყოველ შემთხვევაში, ეცადა ამის გაკეთება. ველომრბოლელებს ორი უმაღლესი და ორი პირველი კატეგორიის სირთულის მთა უნდა დაელაშქრათ, მათ შორის ლეგენდარული „ტურმალე“, რომელიც ზღვის დონიდან თითქმის 3000 მეტრზე მდებარეობს. თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ ეტაპის ბოლო 13 კილომეტრი დაღმართი იყო, ბევრს სჯეროდა, რომ იტალიელი თავს გამოიჩენდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ვინჩენცომ იაქტიურა, რის გამოც ის შექებას იმსახურებს. შეტევისთვის ყველა შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობდა, მისმა გუნდმა კი შეუდარებელი **ივან ბასოს** მეთაურობით, საკმაოდ სწრაფი ტემპი განავითარა ბოლოსწინა და ბოლო მთაზე. მაგრამ ყოველთვის გვერდით იყვნენ საერთო ჩათვლის ლიდერები, „თიმ სქაის“ წევრები - **ბრედლი უიგინსი** და **კრისტოფერ ფრუმი**. ნიბალი მათ მაშინაც ვერ გაექცა, როცა ბოლო აღმართის თავზე ფრუმმა არცთუ ისე კარგად იგრძნო თავი. მაშინვე ამუშავდა თავად უიგინსი და გაანეიტრალა შეტევა.

თუმცა ნიბალი ამის გამო დიდად არ უნდა განაწყენდეს, რადგან თითქმის გარანტირებული აქვს პირველ სამეულში მოხვედრა. თავის მესამე ადგილს ის იმ შემთხვევაში დაკარგავს, თუ რომელიმე ეტაპზე კრიზისული დღე დაუდგება. ისეთი, როგორიც ამ ეტაპზე ტურის მოქმედ ჩემპიონს **კეიდელ ევანსს** ჰქონდა.

ავსტრალიელმა კონკურენტებთან ხუთ წუთზე მეტი წააგო, რითაც საბოლოოდ დაკარგა პოდიუმზე ასვლის შანსი. უფრო მეტიც, გენერალურ კლასიფიკაციაში მას ახალგაზრდა თანაგუნდელმა **ტიჯეი ვან გარდერენმა** გაუსწრო.

რაც შეეხება უშუალოდ ეტაპზე გამარჯვებისთვის ბრძოლას, თავდაპირველად პელოტონს 40-კაციანი ჯგუფი გაექცა. აქ ბევრი ცნობილი ველომრბოლი იყო, ყველაზე საინტერესო კი შვედი **ფრედერიკ კესიაკოფისა** და ფრანგი **ტომას ფიოკლერის** დუელი უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი ერთმანეთს „მთის მეფის“ მაისურს ეცილებოდნენ. თითქოს კესიაკოფი უკეთ გრძნობდა თავს, მაგრამ ერთ მომენტში ფიოკლერი თავის თანამემამულე **ბრის ფეილიუსთან** ერთად გაიქცა და სკანდინაველმა ვერაფერი მოახერხა - ის კეიდელ ევანსის ჯგუფთან ერთად მივიდა ფინიშთან.

ტომას ფიოკლერმა კი პრაქტიკულად მარტომ იმუშავა 80 კილომეტრი და ფინიშზე პირველი მივიდა. მისი უპირატესობა მეორე ადგილზე გასულ დანიელ **კრის ანკერ სიორენსენთან** თითქმის ორ წუთს შეადგენდა. ფიოკლერის ფინიშის შემდეგ, ცრემლები ვერ შეიკავა ტომასის გუნდის - Europcar-ის მენეჯერმა **ჟან-რენე ბერნადომ**.

ზედიზედ მეორე ტურია Europcar ბრწყინვალედ გამოდის. შარშან ფიოკლერმა ათი დღე გაატარა ლიდერის ყვითელი მაისურით, **პიერ როლანმა** კი სამეფო სამთო ეტაპი მოიგო. წელს ბერნადოს შეგირდებმა უკვე სამ ეტაპზე გაიმარჯვეს (ფიოკლერის ანგარიშზე დუბლი მოდის), თან ფიოკლერმა ხელთ იგდო „მთის მეფის“ მაისურა.

### XVI ეტაპი

1. **ტომას ფიოკლერი** (საფრანგეთი - Europcar); 2. **კრის ანკერ სიორენსენი** (დანია - SaxoBank-Tinkoff Banmk) - +1,40; 3. **გორკა ისაგირე** (ესპანეთი - Euskaltel-Euskadi) - +3,22; 4. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზახეთი - „ასტანა“) - იგივე დრო; 5. **ბრის ფეილიუ** (საფრანგეთი - Saur-Sojasun) - +3,58; 6. **იენს ფოხტი** (გერმანია - RadioShack-Nissan) - +4,18; 7. **დანიელ მარტინი** (ირლანდია - Garmin-Sharp) - +6,08; 8. **სიმონე სტორტონი** (იტალია - Lampre-ISD) - იგივე დრო; 9. **ჯან-პაულო კარუზო** (იტალია - „კატიუშა“) - იგივე დრო; 10. **ლორენს ტენ დამი** (ჰოლანდია - Rabobank) - +6,11...

### საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +2,05; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +2,23; 4. **იურგენ ვან დერ ბრეკი** (ბელგია - Lotto-Belisol) - +5,46; 5. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +7,13; 6. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +7,55; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +8,06; 8. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - ასტანა) - +9,09; 9. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar) - +10,10; 10. **ტიბო პინო** (საფრანგეთი - FDJ) - +11,43...

ჰოკეი

# ფილადელფიას სერიოზული ნაბიჯი


ში უებერი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი სერიოზული გარიგება მზადდება - NHL-ის ერთ-ერთმა წამყვანმა მცველმა **ში უებერმა** „ფილადელფიას“ წინადადება მიიღო - 100 მილიონ ევროდ შეფასებულ 14-წლიან კონტრაქტს დათანხმდა.

ასე რომ, „ნეშვილმა“ წამყვანი მცველის **რაიან სუტერის** შემდეგ, შესაძლოა, კიდევ ერთი ლიდერი (და ამასთან, კაპიტანი) დაკარგოს. შეგახსენებთ, რომ უებერი შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი გახლავთ.

„ნეშვილს“ შვიდი დღე აქვს იმისთვის, რომ არ დაუშვას ამ გარიგების განხორციელება. ამისთვის მან, მინიმუმ, უნდა გაიმეოროს „ფილადელფიას“ წინადადება. შარშან, უებერმა ერთწლიანი კონტრაქტის თანახმად 7.5 მილიონი დოლარი მიიღო. „პრედატორზი“ ყველანაირად ცდილობდა ხელშეკრულების გახანგრძლივებას, მაგრამ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ვარაუდობენ, რომ „ნეშვილი“ გაუშვებს უებერს, სანაცვლოდ კი დრაფტის პირველ რაუნდში ოთხი არჩევანის უფლებას მიიღებს.

ში უებერმა გასულ სეზონში 78 მატჩი ჩაატარა და 49 ქულა (19+30) დააგროვა. „ფილადელფიასთან“ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ის ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ჰოკეისტი გახდება. შედარებისთვის, სუტერი „მინესოტაში“ 13 წელი თამაშის სანაცვლოდ 98 მილიონს მიიღებს, **სიდნი კროსბიმ** კი „პიტსბურგთან“ 104 მილიონ დოლარზე გათვლილი 12-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

კრივი



ტიმოტი ბრედლი

# ბრედლი მადაზე მოვიდა

ნახევრად საშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონმა **ტიმოტი ბრედლიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკვე იცის, ვის აირჩევს მომავალ მეტოქედ იმ შემთხვევაში, თუ მისი გუნდი ვერ შეძლებს პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ **ფლოიდ მეივეზერთან** მოლაპარაკებას. შეგახსენებთ, რომ ბრედლიმ ივნისის დასაწყისში, მსაჯების საეჭვო გადაწყვეტილებით დაამარცხა ფილიპინელი **მენი პაკიაო**.

*„მინდა ყველა შესაძლო ვარიანტიდან უძლიერესს შევხვდე. დენი გარსია ამჟამად შესანიშნავად გამოიყურება, ამიტომაც მასთან ბრძოლა შესაძლებელია. ლამონტ პიტერსონი მალე უნდა დაუბრუნდეს რინგს. არის კიდევ რამდენიმე შესანიშნავი ვარიანტი*, - ამბობს ბრედლი. - *იმის ალბათობაც არსებობს, რომ მე მიგელ კოტოს შევხვდები. ის ბრწყინვალე მოკრივეა. მე მას პატივს ვცემ, ის - მე. პოტენციური მეტოქე ძალიან ბევრია, მაგრამ მინდა საუკეთესოსთან მოვაწყო შეხვედრა. კასამაიორის დონის მოკრივეებთან ბრძოლები აღარ იქნება“*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **II საკვალიფიკაციო** | |
| ანჟი-ჰონვედი | 1:0 |
| მილსამი-აქტობე | 4:2 |
| ხაზარი-ლეხი | 1:1 |
| მეტალურგსი-ლეგია | 2:2 |
| ნაფტანი-ცრვენა ზვეზდა | 3:4 |
| ლოკომოტივი (პ)-ვიტესი | 4:4 |
| რენოვა-გომელი | 0:2 |
| ლევადია-ანორთოსისი | 1:3 |
| ინტერი (ბ)-ასტერასი | 1:1 |
| იუვიასკიულა-ზეტა | 3:2 |
| ოლიმპია-ტრომსიო | 0:0 |
| დიფერდანჟი-გენტი | 0:1 |
| შახტიორი-რიდი | 1:1 |
| აიკ-ჰაფნარი | 1:1 |
| აპოელ-შენიცა | 2:0 |
| ბნეი იეჰუდა-შირაქი | 2:0 |
| ესქისეჰირი-სტ. ჯონსტონი | 2:0 |
| ტირანა-ოლესუნდი | 1:1 |
| ლევსკი-სარაევო | 1:0 |
| მეტალურგი (დ)-სელიკი | 7:0 |
| ბოლესლავი-ტორი | 3:0 |
| რუსენბორგი-ორდაბასი | 2:2 |
| რუხი-მეტალურგი (ს) | 3:1 |
| სლავენი-პორტდაუნი | 6:0 |
| ტრნავა-სლიგო | 3:1 |
| დაჩია-ელფსბორგი | 1:0 |
| რაპიდი (ბ)-მიუპა | 3:1 |
| იანგ ბოიზი-ზიმბრუ | 1:0 |
| ჟალგირისი-ადმირა | 1:1 |
| ტვენტე-ინტერი (ტ) | 1:1 |
| სერვეტი-განძასარი | 2:0 |
| მაკაბი (ნ)-კუოპიო | 1:2 |
| მურა-ცსკა (ს) | 0:0 |
| ოსიეკი-კალმარი | 1:3 |
| სლოვანი-ვიდეოტონი | 1:1 |
| ჰაიდუკი-სკონტო | 2:0 |
| ვოივოდინა-სუდუვა | 1:1 |
| შიროკი ბრიეგი-სტ. პატსი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კაიზერი-კიოგე | 3:1 |
| ბრაგა-ავეში | 2:1 |
| დენ ბოში-იფსვიჩი | 1:1 |
| ფორტუნა (ს)-გენკი | 0:2 |
| მალმიო-ვესტ ბრომვიჩი | 1:0 |
| ბრედა-კორკი | 4:1 |
| სიონი-სტოკი | 0:1 |
| ბაროუ-ბარნლი | 3:0 |
| დანდი იუნ-ევერტონი | 0:1 |
| სპორტინგი-ჩარლტონი | 0:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა** | |
| ბამბერგი-ბაიერნი (მ) | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-ერებრო | 2:1 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კოტკაპა-ოულუ | 0:1 |
| **ბელარუსის თასი** | |
| სმორგონი-ნემანი | 1:3 |
| **ლატვია** | |
| იურმალა-სპარტაკსი | 0:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ბრიტანეთი-აშშ | 78:118 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. გშტაადი** | |
| კუბოტი-გრანოლერსი | 6:4, 6:2 |
| ჰერნიხი-ხირალდო | 6:3, 2:6, 6:4 |
| დიმიტროვი-ბრაუნი | 7:6, 3:6, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-ფიშერი | 4:6, 7:6, 6:3 |
| **ATP. ჰამბურგი** | |
| მონაკო-მუნიოსი | 7:6, 6:3 |
| ფონინი-კოლშრაიბერი | 5:7, 2:6 |
| შარდი-რაისტერი | 7:5, 6:4 |
| ალმაგრო-დავიდენკო | 6:4, 6:3 |
| **ATP. ატლანტა** | |
| ბლეიკი-ებდენი | 7:6, 4:6, 4:6 |
| მიულერი-ფიში | 4:6, 2:3 უარი |
| **WTA. კარლსბადი** | |
| უ. რადვანსკა-ოუდინი | 6:2, 6:1 |

TV პროგრამა

**20 ივლისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ლილი.
**11:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰანოვერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ინტერი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ლიონი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ლაციო.
**20:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ნიუკასლი.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. ვულვზი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. პორტლენდი-მემფისი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ტოტენჰემი.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. პორტლენდი-მემფისი.
**00:00** ბრძოლა წესების გარეშე.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**13:50** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:05** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰამბურგი. გერმანია (LIVE).
**22:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 23 | 34 | (მზე) |
| ბათუმი | 21 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 22 | 32 | (მზე) |
| ზუგდიდი | 22 | 34 | (მზე) |
| გორი | 21 | 28 | (მზე) |
| თელავი | 21 | 30 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 20 | 32 | (მზე) |
| ბაკურიანი | 15 | 24 | (მზე) |
| ბორჯომი | 17 | 32 | (მზე) |
| მესტია | 14 | 28 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0378 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6559 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5983 |
| 100 რუსული რუბლი | 5.162 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიადა მოგვიახლოვდა, მოვიმარჯვოთ ნერა[illegible]

გასულ შაბათს ძველი თაროები გადავქექე და ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრების“ (Наука и Жизнь) რამდენიმე ნომერი ავარჩიე. 1979 წლის აგვისტოს ნომრით დავიწყე და ახლაც მაგიდაზე გადაშლილი მიდევს (ნებოს ყავლი აქვს გასული და ფურცლები სანახევროდაა ამოვარდნილი). მაინცდამაინც ის ნომერი შემხვდა, რომელშიც ოლიმპიადების ისტორიაზე ვრცელი სტატია ეწერა - ამოკრებილი იყო რამდენიმე საინტერესო ამბავი ჩეხი მეცნიერისა და მოგზაურის, ვოიცეხ ზამაროვსკის წიგნიდან „ოლიმპიის აღდგენა“.

აქამდეც წამიკითხავს ოლიმპიადების ისტორიის შესახებ, მაგრამ პუბლიკაციის ბოლო სიტყვასთან წერტილს რომ გავცდი, მივხვდი:

არ არის სწორი - მომდევნო კვირას ლონდონში XXX ოლიმპიადა დაიწყება.

სწორია - მომდევნო კვირას ლონდონში 223-ე ოლიმპიადა დაიწყება.

დიახ, ოლიმპიადების დაარსების ისტორიაში ლონდონის თამაშები რიგით 223-ე იქნება. რატომღაც ათვლას 1896 წლიდან საბერძნეთში გამართული პირველი თანამედროვე ოლიმპიადით ვიწყებთ, ის კი გვავიწყდება, რომ მანამდე ძველ ელადაზე 293-ჯერ აენთო ოლიმპიური ჩირაღდანი (ეს მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტებით დადასტურებული რიცხვია).

თამაშები სხვადასხვა ისტორიული მოვლენის გამო არაერთხელ შეწყდა, თუმცა ძველი წელთაღრიცხვის 776 წელს შეჯიბრებებმა რეგულარული სახე მიიღო და მას მერე ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. სწორედ 776 წელი ითვლება ოლიმპიადების დაბადების თარიღად.

დაბადების ადგილი კი ბავშვმაც იცის - ოლიმპია. იგი მდებარეობს პელოპონესის ნახევარკუნძულის დასავლეთში, კრონოსის გორისა და მდინარე ალთეას შორის. მართალია, სადღეისოდ იქ 1000 კაცზე ნაკლები ცხოვრობს, მაგრამ საბერძნეთის ნებისმიერი მასშტაბის რუკაზეა დატანებული.

როგორი იყო პირველი სტადიონი, რატომ გადაწყდა ოლიმპიადების ჩატარება და საერთოდ, როგორ გამოიყურება ოლიმპიადების დაბადების ადგილი, ამაზე ვოიცეხ ზამაროვსკი მოგვითხრობს. იგი ძველი ოლიმპიადების ჟამთაამწერელი (ჩვენებურად ჟურნალისტი) რომ იყოს, წერის სტილიც რეპორტაჟული იქნებოდა, მაგრამ იგი მსჯელობს სპორტისთვის ყველაზე ღირებულ ისტორიულ ძეგლზე, რომლის გათხრებზე არაერთხელაა ნამყოფი.

„ევროპელებმა ამერიკა აღმოაჩინეს, ჩავიდნენ ავსტრალიაში, ანტარქტიდაზე, ამოთხარეს დაკარგული ნინევია და ბაბილონი, ოლიმპიაზე კი მხოლოდ წერილობითი ცნობები არსებობდა. პირველად ანტიკური ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი მე-19 საუკუნის ბოლოს გაითხარა, რამაც ხელი შეუწყო თანამედროვე ოლიმპიადების ჩასახვას.

საუკუნეების მტვრიდან გასუფთავებულმა ნაგებობებმა დაადასტურა წერილობითი ცნობები, რომ ოლიმპია ბერძნებისთვის წმინდა ადგილი იყო. იქ ათიათასობით ადამიანი იკრიბებოდა სპორტსმენთა სრულყოფილების სანახავად. ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები საკუთარი შეხედულებების გასავრცელებლად ჩადიოდნენ, მხატვრები და მოქანდაკეები - შემოქმედების სახალხოდ გამოტანისთვის.

ოლიმპია ზევსის სამფლობელოდ ითვლებოდა. სწორედ მისი ტაძარი იდგა ცენტრალურ ადგილას. იქაურობას ელინური ღმერთებისა და ოლიმპიური ჩემპიონების ძეგლები ამშვენებდნენ. თუნდაც ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რამდენად ღირებული იყო ოლიმპიადაზე გამარჯვება. რომაელები წერდნენ: მას, ვინც ზეთისხილის რტოს ატარებდა, ისევე ტრიუმფალურად ხვდებოდნენ, როგორც მეფეებსა და იმპერატორებს ომში გამარჯვების შემდეგ.

ალთიის წმინდა წრის (სადაც ზევსის ტაძარი იდგა) გარეთ სპორტული დაწესებულებები იყო: სტადიონი, იპოდრომი, გიმნასტების მოედანი, აუზები. ასევე ორგანიზატორთა საცხოვრებლები, სასტუმროსმაგვარი შენობა, მოქანდაკე ფიდიასის სახელოსნო და საპატიო სტუმართა „ლოჟები“ იყო გამართული. იქვე ცხოვრობდნენ რელიგიური მსახურები და მოქანდაკეები, რომლებიც ჩემპიონების ფიგურებზე წლობით მუშაობდნენ. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპია კარვებით ივსებოდა.


ოლიმპია. რეკონსტრუქცია

სიანი. პერგამონის სპორტულ მოედანს სულაც სპეციალური გადახურვა ჰქონდა.

ოლიმპიაში სტადიონის სამხრეთით იპოდრომი მდებარეობდა (ბერძნულად: „ჰიპოს“ - ცხენი, „დრომოს“ - გზა, სირბილი). რა სახის შეჯიბრება ტარდებოდა, ამას თავადაც ხვდებით, ერთს დავ-

დადასტურებულია მორბენალთა მოსყიდვის სამი შემთხვევა; წინასწარი შეთანხმება კრივისას; ერთი შემთხვევა ვარჯიშზე დაგვიანების მიზეზების ახსნისას სიცრუის გამოყენებისა; სილაჩრის გამოვლენა, როცა სპორტსმენი მოედნიდან გაიქცა. ვინ იცის, კიდევ რამდენი შემთხვევა დარჩა გაუხმაურებელი...

ოლიმპიაში კოლონებით დამშვენებული ერთ-ერთი შენობა გიმნასიუმი იყო, სადაც სწავლა-აღზრდის პროცესი მიმდინარეობდა. თავიდან იგი მხოლოდ სპორტული აღზრდისთვის იყო განკუთვნილი. ამას სახელიც ადასტურებს - „გიმნოს“ ბერძნულად ფეხს ნიშნავს. ვარჯიშობდნენ სირბილში, მშვილდისა და დისკოს ტყორცნაში, ჭიდაობაში, ტანვარჯიშსა და კრივში. მოგვიანებით ამ დისციპლინებს ფილოსოფია, რიტორიკა და ხელოვნების ისტორია მიემატა...

დაახლოებით ათასი წლის განმავლობაში იზიდავდა ოლიმპია ელადის საუკეთესო სპორტსმენებს. მისდამი პატივისცემას რომაელი იმპერატორებიც იჩენდნენ, თუმცა თეოდოს I-მა ოლიმპიური თამაშები ისტორიას ჩააბარა - აკრძალა, როგორც წარმართული ღონისძიება. 426 წელს იმპერატორ თეოდოსი II-ის ბრძანებით ოლიმპია მიწასთან გასწორდა. რაც რომაელმა მმართველებმა დააკლეს, ორმა დამანგრეველმა მიწისძვრამ დაასრულა - 522 და 551 წლებში.

...ასე გაქრა ისტორიულ წიალში ერთ დროს მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ღონისძიება. ათასი წელი უცდიდა ოლიმპია მტვრისგან განმენდას, ხოლო ოლიმპიური თამაშები - აღდგენას.“

ამ თალს გაივლიდნენ სპორტსმენები სტადიონზე შესასვლელად



1952-61 წლებში არქეოლოგებმა ოლიმპიური სტადიონი მიწისაგან გაწმინდეს და მივიღეთ სწორედ ისეთი სახით, როგორიც 2200 წლის წინათ იყო. თუმცა უფრო ძველ ფენებში კიდევ ორი სტადიონი აღმოჩნდა. შესასვლელი ორიგინალური ჰქონდა: სპორტსმენებს თალში უხდებოდათ გავლა, რომელიც გვირაბს უფრო მოგაგონებდათ, რადგან 30 მეტრი სიგრძისა იყო.

2200 წლის წინანდელი სტადიონი 212.5 მეტრი სიგრძისა და 31 მეტრი სიგანის სარბენი ბილიკი იყო. თუმცა ოლიმპიაში მთლად სწორკუთხა არ იყო, რასაც ოპტიკური გამართლება აქვს: სწორედ „დეფექტების“ გამო შესასვლელიდან სპორტსმენის წინაშე პერსპექტივაში სწორკუთხად მოჩანდა.

სტადიონის გარშემო ოთხი გორა იყო (სამი ხელოვნურად აღმართული), რომლებიც 40-45 ათას მაყურებელს იტევდა. სხვათა შორის, ათენის სტადიონი 60-ათასიანი იყო, ხოლო ეფესისა - 70-ათასიანი. პერგამონის სპორტულ მოედანს სულაც სპეციალური გადახურვა ჰქონდა.

ძენთ - სპორტსმენები საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულები ეჯიბრებოდნენ.

ცნობილია, რომ ეტლებით რბოლაში რომის იმპერატორი ნერონიც მონაწილეობდა. გაიმარჯვა კიდეც. თუმცა, იმასაც წერენ, კონკურენტებმა გასწრება ვერ გაბედესო.

მსაჯებისა თუ მეტოქეების მოსყიდვა ძველი ოლიმპიადებისთვის უცხო არ იყო. ოლიმპიას სტადიონის გვირაბიდან დაბრუნების შემდეგ 16 ლოდს შენიშნავთ, რომლებზეც ერთ დროს ბრინჯაოს ქანდაკებები იდგა. პავსანიუსის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ ბრინჯაოს ფიგურები ჯარიმებიდან შესული ფულით მზადდებოდა. თითოეული ფიგურის პოსტამენტს ეწერა: „ოლიმპიური გამარჯვების მოპოვება არა ოქროთი და ვერცხლით, არამედ ფეხის სისწრაფითა და სხეულის სრულყოფილებით შეიძლება“.



კალათბურთი. U 16. B დივიზიონი

## აი, როგორ უნდა გუნდური გამარჯვება!

19 ივლისი

**რუმინეთი–საქართველო 51:55**

10:15, 14:7, 13:20, 14:13

**რუმინეთი:** ნეაგუ (7ქ), ჩეორგე (2ქ), კოვრიგი (5ქ), ტანასიე (2ქ), ჩიოტლაუსი (16ქ, 7მ, 8ჩ), კუტი (13ქ), ბარბასი (2ქ), ჩატე (4ქ, 11მ).

**საქართველო:** ბობილევი (19 წთ, 3ქ, 10მ, 2დ), ისიანი (13 წთ, 2ქ, 2დ), გოგალაძე (24 წთ, 9ქ), გუგეშაშვილი (24 წთ, 7ქ), ცინცაძე (1 წთ), რევაზაშვილი (20 წთ, 2ქ, 5მ), ზაქრაძე (31 წთ, 11ქ, 3პ, 4ჩ), პეტრიაშვილი (5 წთ, 4ქ), ლომიძე (20 წთ, 6ქ), მაჭავარიანი (26 წთ, 9მ, 8ქ), მასხულია (16 წთ, 3ქ).

ქართველებმა B დივიზიონი ღირებული გამარჯვებით გახსნეს. მათ მასპინძელ რუმინეთს 55:51 აჯობეს.

მართალია, თამაშის ნახვის საშუალება არ გვქონდა, მაგრამ თამამად შეიძლება დაიწეროს - **გია კაზანჯიანის** გაწვრთნილმა ნაკრებმა მეტოქეს გუნდური თამაშის წყალობით აჯობა. თავად განსაჯეთ: სათამაშო დრო 10 კალათბურთელზე მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა. მათგან ყველაზე მეტი 11 ქულა ზაქრაძის ანგარიშზეა.

მოკლედ, მწვრთნელმა დაძაბული მატჩი ისე მოიგო, რომ ზედმეტად არავინ დაუტვირთავს და მომდევნო შეხვედრაში ჩვენი გუნდისგან კიდევ უფრო უკეთეს თამაშს ველით. დღეს ქართველთა მეტოქე ბოსნიაა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

პრემიერა

**გუშინ** გაიმართა პრემიერა გოგი თორაძის დოკუმენტური ფილმისა „ქართული კალათბურთი“, რომელიც წარმოგვიდგენს ქართული კალათბურთის ისტორიას დასაწყისიდან დღემდე


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ლევან ჯანეზაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608